ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №30 (1731) | 10 – 16 აგვისტო, 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

## რუსებმა ომალო და მიმდებარე სოფლები დაბომბეს

რუსულმა ავიაციამ დარტყმა მიაყენა ომალოს. კიდევ ერთხელ დაღვარეს ქართული სისხლი. საქართველოს ხელისუფლების რეაქცია ჯერ არ ვიცით, მაგრამ ვიცით შემდეგი:

1. პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუძლებელია, თუ აგრესორის ვინაობა არ დაასახელეთ ანუ ნოტით თუ არ მიჰმართეთ რუსეთს, საჩივრით — გაეროს. საქართველოს ხელისუფლებას ეს ჯერ არც ერთხელ არ გაუკეთებია — არც აფხაზეთის ომის გამო და არც ცხინვალის ომის გამო. ამით მან რუსეთს აგრესიის გაგრძელებისა და გაღრმავების საშუალება მისცა.

2. საქართველოს ფიზიკური დაცვა აგრესორისგან შეგვიძლია მხოლოდ შეიარაღებულ ძალთა შექმნით. ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობები ხელისუფლებამ დღემდე არ გამოიყენა და არც გამოიყენებს.

3. თავდაცვა წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ზურგში მოწინააღმდეგის ძალები არ დგას. საქართველოდან რუსეთის ძალების გაყვანა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ოფიციალურად დასდოს ბრალი რუსეთს იმაში, რაც მოხდა. ვალდებულია აგრეთვე, რუსეთს დასდოს ბრალი აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი გენოციდის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კიდევ ერთხელ ამხილებს თავს, როგორც აგრესორის თანამონაწილე პასუხისმგებლობისაგან მისი განთავისუფლების საშუალებით.

ნ. ნათაძე

«... ამ საშინელებას მე თვალს ვადევნებდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო»

მეხუთე გვერდი

## განძის გადარჩენის



## მომხრეთა წინააღმდეგ

მეექვსე გვერდი



## ახალი კამპანია დაიწყო

## გურულები შერიგდნენ... ვინ არის რუხი კარდინალი?

(გაგრძელება პუბლიკაციისა „გურული „ავაზაკები" და „მცირე რევოლუცია ლანჩხუთში")

მეთერთმეტე გვერდი



## კვირაიას ექიმის წინაშე ქონების მართვის სამინისტროც სცოდავს და უზენაესი სასამართლოც?!

მესამე გვერდი

## შევებულებაში მყოფ პრეზიდენტს მოსვენებას არ აძლევენ

შვებულებაში გასულ შევარდნაძეს დასვენება, როგორც ჩანს, არ უწერია; ალიანსების თვალთვალი სულაც არ გახლავთ პრეზიდენტის საქმე, მაგრამ სავარაუდოა, რომ 10 აგვისტოს 70 არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ალიანსის პრეზენტაციაზე მიწვეული პრეზიდენტი ამ სიამოვნებას ნამდვილად არ გამოტოვებს, მით უფრო, რომ, როგორც ამბობენ, ეს ალიანსი პრეზიდენტის გავლენის ქვეშ იქნება.

„ახალი ქართული ალტერნატივა" ალიანსის შექმნაზე დიდ იმედებს ამყარებს. ისინი თვლიან, რომ ერთიანი ძალებით ბევრ პრობლემას მოაგვარებენ. ალიანსის შექმნის მთავარი მიზანი, მისი წევრების განცხადებით, იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე ზემოქმედებაა, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძვიან.

## სმირბას თბილისში „მოწვევით" გენპროკურატურა წყალს ნაყავს

გენერალურმა პროკურატურამ ბათუმის მერს, ასლან სმირბასა და სანაოსნოს ყოფილ ხელმძღვანელს ბიჭიკო ვარშანიძეს „შემოვლითი გზით" უწყება გაუგზავნა თბილისში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემის შესახებ. სანაოსნოს საქმესთან დაკავშირებით „დასაკითხები" ჯერჯერობით თბილისში არ ჩამოსულან. გენპროკურორის მოადგილე აცხადებს სმირბასა და ვარშანიძის გენპროკურატურაში დროული გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამომძიებელს ბათუმში გავგზავნითო.

საინტერესოა, რისთვის სჭირდებოდა გენპროკურორს წყლის ნაყვა, იქნებ ყოველგვარი ფორმალობის გარეშე გამომძიებლის პირდაპირ ბათუმში გაგზავნა უფრო დროული და საშური გადაწყვეტილება ყოფილიყო?

## უშიშროება „ვაჰაბისტებში" საშიშროებას ხედავს

კარგა ხანია არსებობს ინფორმაცია საქართველოში ვაჰაბისტების საქმიანობის შესახებ, მაგრამ როგორც ჩანს, უშიშროების სამინისტროში ახლაღა გადაწყვიტეს რეაგირება მოეხდინათ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ვაჰაბისტები შეიარაღებული რელიგიური დაჯგუფებაა და აგრესიულობით გამოირჩევა. დღეისათვის პანკისის ხეობაში 30-მდე ვაჰაბისტი ცხოვრობს. უშიშროების სამინისტრო თვლის, რომ პანკისის ხეობაში კრიმინალურ სიტუაციას სწორედ ეს შეიარაღებული რელიგიური პიროვნებები ქმნიან. მათ საქართველო ნარკობიზნესის სატრანზიტო გზად აქციეს და ადამიანებისა თუ საქონლის გატაცებასაც უწყობენ ხელს.

ვის ინტერესებს ემსახურებიან ვაჰაბისტები, უშიშროება ამაზე არ საუბრობს, თუმცა, გარკვეული პირები მათ უკან საუდის არაბეთის სპეცსამსახურებს მოიაზრებენ; როგორც ამბობენ, არაბეთის ხელისუფლებას ნავთობის საბადოებით მდიდარი ტერიტორიები ხიბლავს და ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი გავლენის გაძლიერებაც იმისთვის სჭირდება, რომ როგორმე რუსეთს სანავთობე რეგიონები — ჩეჩნეთი და დაღესტანი მოსწყვიტოს. ჩრდილოეთ კავკასიით დაინტერესებულ საუდის არაბეთს, გამორიცხული არ არის ინტერესის ობიექტად ხვალ საქართველო მოეჩვენოს და სათანადო ზომების წინასწარ მიღება-გათვალისწინება საშიშროების თავიდან აცილების მიზნით უშიშროების მიერ აუცილებლობას წარმოადგენს.

## ივერიელთა ერთობის ტრაქტატი

მეშვიდე გვერდი

ელექტრონული ვერსია http: // www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

## „გაჩუქებულ“ საბაჟოებს ექვსი თვე ვერ დავიბრუნებთ

ნაადრევი გამოდგა ხელისუფლების სიხარული საბაჟოების „გაჩუქების“ შესახებ. დროზე ყურად არავინ იღო არც ბათუმის შეგონება, არც ედპ-ს პროტესტი, და სატენდერო კომიტეტმა ღმერთმა უწყის რისი გათვალისწინებით უპირატესობა ბრიტანულ კომპანია „ATS-ს“ მიანიჭა. აღმოჩნდა, რომ კომპანია დანაპირებს ვერ ასრულებს. რუსეთის, თურქეთისა და ცხინვალის რეგიონების საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მექანიზმი კონტრაქტში ჩადებული არ აღმოჩნდა. დაპირებად დარჩა კომპანია ATS-ის მომსახურების სიიაფის საკითხიც. მის მიერ შემოთავაზებულ საფინანსო წინადადებებში კონტრაქტებში 0,94%-ით განსაზღვრული ფობი (საქონლისა და დატვირთვის ღირებულება) გაიზარდა, რასაც არც ევროკომისია ეთანხმება და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაც კრძალავს, მაგრამ უკვე გვიანაა თითზე კბენანი, საჭიროების შემთხვევაში ბრიტანული კომპანიისათვის პრეტენზიების წაყენება ქართული მხარისათვის არამომგებიანია. კომპანიამ სამი თვის განმავლობაში შედეგს რომ ვერ მიაღწიოს, კონტრაქტის გაუქმება ექვს თვემდე მაინც შეუძლებელია.

სავარაუდოდ, ანგარიშს სატენდერო კომიტეტი სექტემბერში წარუდგენს პარლამენტს. საინტერესოა, გამჟღავნდება თუ არა ბოლოსდაბოლოს, ვის ინტერესში შედიოდა საბაჟოს ბრიტანულ კომპანია ATS-სთვის „მიჩუქება“, ან ვინ აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ამგვარი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის გამო, თუმცა რა, ხეზე ასვლის ბოლო ილეთს, ვინც ჯერ არს, ბოლოსთვის ალბათ, შემოინახავდა და ახლა დამნაშავის ძებნა ბნელ ღამეში შავი კატის ძებნას დაემსგავსება.

## რას მოგვიტანს ქართველებს რუსეთის პრემიერის გამოცვლა?



რუსეთში მთავრობის ხშირი ცვლა პოლიტიკურ კრიზისზე მიანიშნებს, არასტაბილური მმართველობა თავისთავად არასტაბილურ ვითარებას ნიშნავს. რუსეთშიც ის ხდება, რაც საქართველოს ხელისუფლებაში — ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის.

ელცინის მორიგ რჩეულს რუსეთის პრემიერის პოსტზე — ვლადიმირ პრუტინს საქართველოს პოლიტიკურ წრეებში არ იცნობენ. ელცინის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს პოლიტიკურ წრეებში მოულოდნელობის ეფექტი ჰქონდა. მთავრობის შეცვლას ჩვენში მხოლოდ რუსეთის შიდა საქმეს უწოდებენ, თუმცა, რუსეთის მთავრობისა და მისი მეთაურის პოზიცია საქართველოზე გავლენას ყოველთვის ახდენდა. ამ გავლენაზე ქართველ პოლიტიკოსებს დღეს საუბარი უკვე უჭირთ.

## „ნამდვილ“ ზვიადისტებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაგვართვეს, — აცხადებს გიორგი ხუციშვილი

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ხუციშვილის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ხუციშვილის „მრგვალი მაგიდასა“ და კიკაჩეიშვილის იგივე სახელწოდების ბლოკს შორის დაწყებული დაპირისპირება უზენაეს სასამართლოში სხვა ფორმით განვითარდა. ამჯერად ხუციშვილმა სასამართლოში სარჩელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ შეიტანა და იგი მიკერძოებაში დაადანაშაულა. ხუციშვილი აცხადებს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ფსევდოზვიადისტურ ბლოკს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა, ნამდვილ ზვიადისტებს კი ჩამოართვა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ხუციშვილი არჩევნებში მონაწილეობისთვის ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

## ინტერვიუ

### დავით გუჯაბიძე:

## „უცხოურ ინვესტიციებზე, დახმარებებზე დამოკიდებული საქართველო ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს“



**დავით გუჯაბიძე დაიბადა 1968 წლის 25 სექტემბერს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი. 1989 წლიდან აქტიურ პოლიტიკაშია. 1991 წ. ჩამოშორდა პოლიტიკას და მრეწველობაში ჩაება. მონაწილეობდა აფხაზეთის მოვლენებში 1989 და 1992 წლებში. აქვს საწარმო, რომელიც ამჟამად გაჩერებულია.**

**ბ-ნი დავითი საქართველოს სახალხო ფრონტის წევრია მისი აღდგენის დღიდან და აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავს იდებენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, ქვეყნისთვის სასიკეთო საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას. გთავაზობთ ინტერვიუს მასთან.**

**— ბატონო დავით, როგორც მეწარმე და როგორც სსფ-ს წევრი, როგორ შეაფასებთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას?**

— საქართველოში მოხდა მაფიების მიერ ეკონომიკის მონოპოლიზაცია. აბსოლუტურად ყველა მაფია უშუალო კავშირშია ხელისუფლებასთან, კერძოდ, მის ჩინოვნიკებთან. ხელისუფლებამ ვერ განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის ოპტიმალური კურსი, არ განახორციელა სამართლიანი საპრივატიზაციო პოლიტიკა, არ არის სრულყოფილი საგადასახადო, საბაჟო, სააქციზო სისტემები, რომელმაც არა თუ არ აალორძინა, არამედ, პირიქით, ჩაკლა ეროვნული მრეწველობა. ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ უცხოური, არამედ ქვეყნის შიდა ბაზარიც. იგი იაფფასიანი და კონტრაბანდული გზით შემოსული დაბალი ხარისხის პროდუქციის ხელშია. ეროვნული მუშახელი ქუჩაშია გამოყრილი ლუკმა-პურის საშოვნელად, მოსახლეობის 70% უმუშევარია, 800 ათასამდე ჩვენი თანამემამულე უცხოეთშია წასული სამუშაოდ. ეს, რაც შეეხება ეკონომიკას.

პოლიტიკურადაც კრიზისია საქართველოში, რადგან ხელისუფლებაში არიან ის პირები, რომლებიც მხოლოდ პირადი წარმატებით არიან დაინტერესებულნი და არა ქვეყნის ინტერესებით. მათი მეშვეობით ტარდება არასწორი პოლიტიკა. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, რომელიც ასპარეზზე ჩანს, არ არის დაინტერესებული ქვეყნის ბედ-იღბლით, ხოლო იმ პარტიებს, რომლებიც ეროვნულ პოზიციაზე დგანან, არ გააჩნიათ ისეთი ფინანსური საშუალებები, რომ გარკვეული ამოცანები გადაჭრან დღევანდელი საქართველოს ასპექტში.

**— ბლოკების, კოალიციების შექმნის შემთხვევაში შეუძლიათ გადაჭრან ეს ამოცანები?**

— მათ შეუძლიათ ბევრი რამის გაკეთება, მაგრამ ფინანსური დახმარების გარეშე ვერ გადაწყვეტენ პრობლემას. ჩვენი ბლოკი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან და ეროვნულ-რადიკალურ პარტიასთან, მე ვიტყოდი, არის ერთადერთი ეროვნული ბლოკი, რომელიც ფიქრობს ეროვნული მრეწველობის აღმავლობაზე. არის უამრავი პარტიები და ბლოკები, რომლებშიც მრეწველები არიან გაერთიანებულნი, მათში ერთ-ერთ ეროვნულ, ნათელ წერტილს ვხედავ გოგი თოფაძის ირგვლივ გაერთიანებულ მრეწველებში, სადაც ჩანს ის ნაპერწკალი, რომელმაც შეიძლება თქვას ის სიტყვა, რომელიც მართლა სჭირდება ეროვნულ მრეწველობას.

დღეს ორი ურთულესი პრობლემაა საქართველოში — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და უმუშევრობა. მე ვფიქრობ, ერთი მეორიდან გამომდინარეობს. როცა საქართველოში მუშახელი დასაქმებული იქნება, მრეწველობა აღდგება და ბიუჯეტი შეივსება, შესაძლებელი იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. უცხოურ ინვესტიციებზე, ტრანშებზე, დახმარებებზე დამოკიდებული საქართველო ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს. კი, უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დახმარებები, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორგანიზაციებს საკუთარი ინტერესები აქვთ. შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, სავალუტო ფონდის ექსპერტები დღედაღამ ჩვენი წარმოების განვითარებაზე ფიქრობენ. მათ ჭარბწარმოების კრიზისის გამო სჭირდებათ ახალი ბაზარი, საქართველოს ეკონომიკური აღორძინება ეროვნული წარმოების განვითარებაზეა დამოკიდებული. მე ასე მიმაჩნია.

დღესდღეობით შეუძლებელია იყო მეწარმე, მუშაობდე დიდი სიმძლავრით და ატარებდე სწორ პოლიტიკას (მხედველობაში მაქვს გადასახადები, რაც კანონით არის დაწესებული) და არ გაკოტრდე.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ არასწორი საგადასახადო პოლიტიკაა. ამასთან ერთად, დამატებითი ღირებულების გადასახადი წარმოებისთვის არის დამ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## პასიური პოზიცია არჩევნების მიმართ დამღუპველია ქვეყნისათვის

საარჩევნო ციებ-ცხელება კულმინაციას 31 ოქტომბერს მიაღწევს, ანუ იმ დღეს, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დღედ გამოაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ და თავად კი ლიკანს მიაშურა მომავალი საარჩევნო ბატალიებისათვის ძალ-ღონის მოსაკრებად.

მანამდე, სანამ ცნობილი გახდებოდა არჩევნების თარიღი, საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ პრეზიდენტი ნოემბერში დანიშნავს არჩევნებსო, მაგრამ აზრი აზრად დარჩა და არჩევნებიც 31 ოქტომბერს დაინიშნა. მავანთა თქმით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ სექტემბერში მრავალმილიონიან უცხოურ ტრანშს ელოდებიან ხელისუფლები, რომლითაც უნდა დაიფაროს თვეობით გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება და არჩევნების წინ ამით ხალხის გულის მოგება ფრიად წაადგება სახელისუფლებო პარტიებს მეტი ხმების მოგროვებაში.

არის სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, იმასაც ამბობენ, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეგნებულად დაამთხვია საქართველოში საპრალამენტო არჩევნების დღე უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღს, რადგან არჩევნების მეთვალყურე საერთაშორისო ორგანიზაციები ძირითადად უკრაინაზე იქნებიან კონცენტრირებულნი, ჩვენთვის იმდენად ვერ მოიცლიან და აქედან გამომდინარე, არჩევნების გაყალბების ალბათობა მეტად გაიზრდებაო.

კაცმა რომ თქვას, არც ერთი არგუმენტი არაა უსაფუძვლო, ორივე ჭკუასთან ახლოსაა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ წინა არჩევნების გამოცდილებას, დღევანდელ ხელისუფალთა სწრაფვას ხელისუფლების შენარჩუნებისათვის და იმ მეთოდებსაც, რა მეთოდებითაც ხდება ჩვენში არჩევნების ჩატარებაც, მასში გამარჯვებაც და საერთოდ, სკამების შენარჩუნებაც.

შევარდნაძეს და მის გარემოცვას ბევრ რამეში სდებენ ბრალს მათი ოპონენტები და ეს ბრალდებები მასმედიის საშუალებით ყველასთვის კარგადაა ცნობილი. საზოგადოების დიდ ნაწილს მართებულად მიაჩნია ბრალმდებელთა არგუმენტები და იმაშიც ეთანხმებიან მათ, რომ კიდევ ერთი ვადით დღევანდელ ხელისუფალთა ქვეყნის სათავეში დატოვება საერთოდ დაანგრევს ქვეყანას. თუმცა, აქვე იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ამ უკანასკნელთა დამარცხება არც ისე იოლია, რადგან თუ მათ ქვეყნის მართვის ნიჭი და უნარი არ გააჩნიათ, სამაგიეროდ სკამების შენარჩუნების ნიჭი და უნარი ნამდვილად აქვთ და ყველაფერს ილონებენ იმისათვის, რათა ქვეყნის მართვის სადავეები შეინარჩუნონ.

არის კი მომავალი არჩევნები იმის გარანტი, რომ ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ? ბევრი ფიქრობს, რომ ეს შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, ამომრჩეველმა ეს ისურვა და საკუთარი პოზიციის დაცვაც შეძლო. არიან ისეთებიც, რომლებიც ცალსახად მოქკავშირისა და შევარდნაძის გუნდის გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ და არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი სიყვარულით სარგებლობენ ხალხში, არამედ სწორედ იმ მეთოდების გამო, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელთა გამოყენებითაც ისინი გაიმარჯვებენ.

რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მოსაზრება პატრიოტულად განწყობილი და ქვეყნის სიკეთისათვის გულშემატკივარი მოქალაქისათვის „ამოდ სასმენი“ არ არის, მაგრამ რეალობას მოკლებული ნამდვილად არაა და მას ის ფაქტებიც ამაგრებენ, რაც წინასაარჩევნო ბატალიებს უძღოდა წინ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების კანონი, 7 პროცენტიანი ბარიერი და ა. შ.

თუ ეს მოსაზრება გამართლდა, ანუ მომავალ პარლამენტშიც თუ მოქკავშირი და მისი სატელიტები მოგვევლინენ უმრავლესობაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელისუფლება მთლიანად იქნება უზურპირებული პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის მიერ და ახლო მომავალში, შესაძლოა, ეს უკანასკნელი თურქმენბაშის, ნაზოვის როლშიც ვიხილოთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ქართულ სინამდვილეში. ამისი გარკვეული ნიშნები, შეფარულად, მაგრამ მაინც ჩანს.



ღმერთმა დაგვიფაროს მოვლენათა ასეთი განვითარებისაგან, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, ლოგიკურად შევაფასოთ ხელისუფალთა ყოველი ნაბიჯი, თუნდაც ბოლოდროინდელი მოვლენები და იმ დასკვნამდე მივალთ, რომ შევარდნაძეს და მის მომავალ მემკვიდრეებს (რომლებიც

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კვირაიას ექიმის წინაშე ქონების მართვის სამინისტროც სცოდავს და უზენაესი სასამართლოც?!



არსებობისათვის ბრძოლა ბუნებრივი კანონზომიერებაა და ჯერ კიდევ ველურ სანყისებში ჰპოვებდა გამოვლენას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობისათვის ბრძოლას შედარებით ცივილიზებული სახელი — კონკურენცია ეწოდა, მაგრამ დღეს იგი უფრო მძაფრი სახით წარმოგვიდგება ისე, როგორც არასდროს. ამ ბრძოლას უკვე ღიად ეწოდება სამკვდრო-სასიცოცხლო. ცხადია, ცივილიზებული მეთოდებით კონკურენტთან ბრძოლა და გამარჯვება მეტად საშური და თანაც საამაყო საქმეა, მით უფრო, როცა საკითხი ყოფნა-არყოფნას ეხება, ანუ არსებობისათვის იბრძვის ერთ-ერთი მათგანი. ალბათ, სწორედ ასე დაემართა ქალაქის მუნიციპალურ კორდიოლოგიურ კლინიკას და მის დირექტორს ბატონ გაიოზ ცინცაძეს, რომელმაც ქალაქის №1 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე გახსნილ კერძო კარდიოლოგიურ კლინიკა „გულს“ და მის დირექტორს ანზორ მელიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა.

„შეუიარაღებელი“ თვალითაც ნათლად ჩანს, რომ ყოფილი უშიშროების მინისტრის შოთა კვირაიას ექიმის, ანზორ მელიას სახელის გარშემო ატეხილი სკანდალის, ცინცაძე-მეგრელაძის (ზემოხსენებული მუნიციპალური კარდიოლოგიური კლინიკის დირექტორი და მოადგილე) დაუსრულებელი ჩივილის საძირკველი კონკურენცია გახლავთ. როგორც ჩანს, ცივილიზებული მეთოდებით — მომსახურების მაღალი დონით, შეღავათიანი ფასებით და ყველა იმ სიკეთით, რაც საბაზრო ეკონომიკას ახლავს თან, ვერ დასჯაბნეს „მოწინააღმდეგე“ კლინიკა „გული“ და დაუსრულებელი სასამართლო პროცესებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით მოინდომეს მისი სრული განადგურება.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, რას უჩივის კონკურენტს ქალაქის მუნიციპალური კარდიოლოგიური კლინიკის დირექცია. ეს უკანასკნელი ანზორ მელიას პირველი კლინიკური საავადმყოფოს შენობის ნაწილის პრივატიზების კანონიერებაში ედავება, სადაც ამჟამად კერძო კარდიოლოგიური კლინიკა „გულია“ განთავსებული. როგორც ჩანს, მათ პრობლემას მხოლოდ და მხოლოდ იმ კონკურენტის „მეზობლობა“ წარმოადგენს, რომელიც თავის პრაქტიკაში მედიცინის მიღწევათა ყოველდღიურ დანერგვას უწყობს ხელს.

ბოლო გახმაურებულ სასამართლო პროცესს, რომელიც უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს, მაგრამ ვერა და ვერ გამოაქვს უზენაესი სამართალი, წინ მთელი სერიალი უძღოდა ცინცაძე-მეგრელაძის ჩივილებისა, საქმის განხილვებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა, მაგრამ 6 სასამართლო პროცესი მაინც კლინიკა „გულის“ გამარჯვებით დასრულდა. ანზორ მელიას მოწინააღმდეგე მხარე ბასრ იარაღად ექს-მინისტრ შოთა კვირაიას სახელს იყენებს და ამტკიცებს, რომ კანონგარეშე პრივატიზაცია სწორედ უშიშროების ექს-მინისტრის დახმარებითა და აქტიური მონაწილეობით გააკეთა კლინიკა „გულის“ დირექტორმა. თავის მხრივ მელიას ადვოკატი ნიაზ ჯავახიშვილი აცხადებს: „შ. კვირაიას სახელით სპეკულირება და საზოგადოების მოტყუება იოლია. „მე გესვრი ტალახს და მის ჩამორეცხვაზე შენ იზრუნეო“ — ამგვარი ბინძური მეთოდების გამოყენებით ებრძვიან ისინი ანზორს. შ. კვირაია მესამე წელია თანამდებობაზე აღარ არის და რაღა უშლის ხელს მეგრელაძესა და ცინცაძეს ეგრეთწოდებული ჭეშმარიტების დად-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ერთგული მეუღლე

საბჭოთა კავშირის ექს-პირველ ლედის რაისა გორბაჩოვას ექიმებმა საშინელი დიაგნოზი დაუსვეს — სისხლის კიბო ანუ ლეიკემია. გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში მყოფ ქ-ნ რაისას თავზე მისი მეუღლე და ქალიშვილი ადგანან. როგორც მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა, მისი უპირველესი ამოცანაა — მეუღლის ფეხზე დაყენება.

### ქალმა თუ გაიწია ...



ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ დიდხანს უყურა ბრძნულად წინასაპრეზიდენტო მოვლენებს, ბოლოს კი იფიქრა: „თქვენ რომ გგონივართ, ვაჟაო, არცა ეგეთნი ქალნი ვართო“ და განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებო. ის ფიქრობს, რომ ასლან აბაშიძეს თბილისში არავინ არ მისცემს ხმას, ისევე, როგორც ჯუმბერ პატიაშვილს, რომლის ზურგზეც 9 აპრილის ტრაგედიაა.

თბილისში ვინ ვის მისცემს ხმას, არ ვიცით, მაგრამ ძველთაგან ნათქვამია: „ქალმა თუ გაიწიაო ...“

### „ეს ზღვა ჩემია, ეს ცა ჩემია“ (?)



როგორც ამბობენ, საქართველოს საჰაერო სივრცეს ამერიკელები გააკონტროლებენ. პენტაგონი აპირებს რადიოლოკაციური სისტემების დადგმას საქართველოში. პროექტს დააფინანსებს აშშ-ს სამხედრო დეპარტამენტი. ეტყობა, უცხოელებს მარტო ქართული მიწა და წყალი აღარ აკმაყოფილებთ და ჰაერსაც მიწვდნენ.

### „ჭკვიანი“ ქართველები და „უჭკუო“ უცხოელები



იმ დროს, როცა ხალხი იმაზე ფიქრობს, ხომ არ იმოქმედებს მზის დაბნელება მათ ჯანმრთელობაზე და ფსიქიკაზე, საზღვარგარეთის მთავრობები ამ მოვლენაზე ფულს აკეთებენ. საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა 35 მილიონი სპეციალური მზის სათვალე გამოუშვეს, რომელიც დიდ მოგებას მოუტანს ამ სახელმწიფოებს. რუმინეთი და ბულგარეთი თავიანთი ეკონომიკის აყვავებას ამ მოვლენას უკავშირებენ. წინდახედულმა ადამიანებმა, რომელთა სამოსახლოდან კარგად შეიძლება ამ მოვლენის დაფიქსირება, უკვე გააქირავეს თავიანთი ნაკვეთები და ავტოსადგომები უცხოელ ტურისტებზე. ტურისტებისთვის გაიყიდება სპეციალური მოტორიზებული სკეიტბორდებიც.

ჩვენ კი, „რა ვქნათ, რომ ბედი არ გვწყალობს“ და არც სპეციალური სათვალე გვაქვს და არც მოტორიზებული სკეიტბორდები. ჩვენი ასტროფიზიკოსები გვირჩევენ, ვიხმაროთ კარგად გამურული მზის სათვალეები, გაფუჭებული ფოტოაპარატის ლენტები და ასევე გაფუჭებული კომპიუტერის დისკეტები.

უცხოელებს ჩვენნაირი ჭკუა რომ ჰქონდეთ, ხომ არ გადაყრიდნენ ზედმეტ ფულს!

### გადაცმული მეფეები

იორდანიის მეფე აბდალამ ერთ დღეს გაიკეთა პარიკი და გავიდა ქუჩაში, რათა გაეგო, როგორ ცხოვრობდა ხალხი (ნაზირ-ვეზირები ხომ ყოველთვის უმალავენ მეფეს სიმართლეს!). ჩვენს პრეზიდენტსაც არ აწყენდა მიებაძა იორდანიის მეფისათვის, მით უმეტეს, ქართველებს ამის მაგალითად გიორგი I-ც გვყავს.

# გაეროს ახალი რეზოლუცია — კიდევ ერთხელ ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან



საქართველოს წინასაარჩევნო მარათონის დაწყება ზაფრავს და ამ დროს 31 ივლისს გაერო იღებს კიდევ ერთ მორიგ არაფრისმთქმელ რეზოლუციას აფხაზეთთან დაკავშირებით, რომელიც, ცივი კი არა, გაყინული წყლის გადასხმის ტოლფასია ქართული დიპლომატიისათვის.

ერთის მხრივ, ექვსთვიანი ოპტიმისტური მოლოდინი, მეორეს მხრივ, ბატონ თამაზ ნადარეიშვილის რაღაც იმედის მომცემი ვოიაჟი ევროპაში და უცებ გაეროს არაფრისმთქმელი რეზოლუცია.

ხშირად ფიქრობ ადამიანი — ამდენი პოლიტიკოსი და ვაიპოლიტიკოსი გვყავს და დაე, მათ იმტვრიონ პოლიტიკაზე თავი, ჩვენ კი, უბრალო ადამიანებს, რა გვესაქმება; მაგრამ სახელმწიფო ხომ სწორედ რიგითი ადამიანებისაგან შედგება უპირატესად და პოლიტიკოსთა თუ ვაიპოლიტიკოსთა ყოველი ნაბიჯი პირველ რიგში სწორედ მათ ცხოვრებაზე აისახება.

არადა, პირდაპირ საოცარია, ვინც გაეროს წარმომადგენლის ლივიუ ბოტას ვოიაჟებსა და განცხადებებს გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს, მისთვის ადრევე ნათელი იყო, თუ როგორ „პრო“ მოხსენებას წარუდგენდა იგი გაეროს გენერალურ მდივანს, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა მხოლოდ 30 ივლისს შეიტყვეს.

ასევე გაუგებარია, ქართულმა დიპლომატიამ რატომ ვერ გამოიცნო ჩვენი „დიდი მეგობრის“ ლევ მირონოვისა და მისი დელეგაციის მოსალოდნელი ვიზიტი და მოსალოდნელი შედეგები, რომ რაიმე ეღონა მისი მცირედი ნეიტრალიზაციისათვის მაინც.

ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა — ჩვენ წინასწარ ერთი თვე მაინც უნდა წაგვემუშავებინა გაეროშიო.

სავალალოა, მაგრამ ფაქტია, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა და აფხაზეთის დევნილი მთავრობა სხვადასხვა პოლუსებზე დგანან, აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით.

ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ ჩვენი აზრით, ყველაფრიდან ჩანს, რომ გაეროს ახალი რეზოლუციის დასკვნები და შეფასებანი კიდევ ერთი ნაბიჯია აფსუა-აფხაზი სეპარატისტების დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ და ამას არძინბას ახლანდელი დაუგეგმავი თუ ფარულად დაგეგმილი ვიზიტიც ადასტურებს მოსკოვში.

ჩვენს დიპლომატიას დიდ მიღწევად მიაჩნია რეზოლუციაში ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, მაგრამ ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა ტერიტორიული მთლიანობა ალაზნისპირეთიდან ენგურამდე, რადგან ყველა კარგად ხედავს, რომ აქ რუსი მესაზღვრეები დგანან მშვიდობის დამცველთა ნიღბით.

ჩვენი დიპლომატიის ყურადღებას ჩვეულებისამებრ, ალბათ, ისიც მოადუნებს, რომ გაეროს რეზოლუციაში არაკანონიერადაა მიჩნეული არძინბას მიერ დანიშნული არჩევნები და თუ ასე გავაგრძელეთ, გასაკვირი არ იქნება, თუ არჩევნების შემდეგ რომელიმე პოლიტიკოსი გამოვიდეს და „გული გაგვიკეთოს“ — ცოტა ადრე რომ გამოვფხიზლებულიყავით, არძინბა ასე წარმატებით ვერ ჩაატარებდაო არჩევნებს.

არადა, წინასწარ ყველაფრიდან ჩანს, რომ აფხაზეთში უკანონოდ ჩატარებული არჩევნები ყოფილი „უფროსი ძმის“ წყალობით კანონიერად გადაიქცევა და მსოფლიოს ფაქტის წინაშე დააყენებენ, ხოლო საქართველოს კიდევ ერთ „ტკბილ“ რეზოლუციას შეაჩეჩებენ;

ამას ისიც მოწმობს, რომ ჰააგაში მოქმედებს არაღიარებული ქვეყნებისა და ხალხების ორგანიზაცია (UNPO), გაეროს მსგავსად, სადაც პირველ ნომრად „აბხაზია“ ირიცხება და ეს ორგანიზაცია და მისი წარმომადგენლები სისტემატურად „ბომბავენ“ გაეროს აფსუების სასარგებლოდ, ავრცელებენ ყალბ ინფორმაციებს საქართველოსა და აფხაზეთის შესახებ, თავისებურ ატმოსფეროს და ფონს ქმნიან მსოფლიო მასშტაბით და ყოველივე ამის შესახებ ჩვენში ხეირიანად არც კი იციან, რასაკვირველია, იმათ, ვისაც პირველ რიგში, ევალებათ ამისი ცოდნა.

ღმერთმა ქნას, ჩვენი პროგნოზი არ გამართლდეს, მაგრამ ვაითუ შინაური არჩევნების ალმა და კვამლმა შეუმჩნეველი გახადოს აფსუა-აფხაზთა არჩევნები; არც ისაა გამორიცხული, რომ არძინბას გალში ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება გაათამაშებინონ, ამით არჩევნები დაულეგიტიმირონ და არჩევნების შემდეგ კი ქართველები ისევ გამოაძევონ. ჩვენი პოლიტიკოსები კი ჩხუბის შემდეგ მოჰყვებიან მუშტების ქნევას.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ არ გვესმოდეს, რომ პოლიტიკა, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებასთან ერთად, ბინძური საქმეცაა და ყველა ჭკვიანი თავისი ინტერესებისათვის იბრძვის ყველანაირი ხერხებით, მაგრამ, როცა აფსუების ერთ-ერთი დიდი ჩინოვნიკი მოსკოვში აცხადებს, ქართველებმა აფხაზური კულტურის ძეგლები გაანადგურესო და არავინ ეპასუხება; როცა საქართველოში აფსუასა და აფხაზს ვერ ანსხვავებენ და უმაღლეს სახელმწიფო დონეებზე აფსუა და აფხაზი გაიგივებულია, როცა ქართველი და აფხაზი, საქართველო და აფხაზეთი ცალ-ცალკე აღიქმება; როცა უმაღლეს ეშელონებში არ უნდათ გაიგონ, რომ თანამედროვე აფხაზი (ანუ აფსუა) და ისტორიული აფხაზი (ანუ ქართველი) ორი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფია; როცა არ უნდათ გაიგონ, რომ თანამედროვე აფხაზი ანუ აფსუა-აფხაზი, აგერ 200 წლის წინ ჩრდილო კავკასიიდანაა ჩამოსული და მას საქართველოს კულტურასა და ისტორიასთან არაფერი აკავშირებს, მაშინ სხვას რაღა მოვკითხოთ.

**ბიძინა თავაძე**
**საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვები“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღმერთმა ნუ ქნას, ლებონი იყოს მართალი!



**„უმჯობესია ერთხელაც ფეხზე დადგე წელგამართული, მაგრამ თავგატეხილი, ან თავშეხვეული, ვიდრე თავგაუტეხავი მუდამ სხვის წინაშე მუცლით ხოხავდე“**

**მაჰათმა განდი**

გაზეთ „საქართველოს“ (20-26 ივლისის, 28-2 აგვისტო) 27 და 28 ნომრებში, გამოქვეყნდა ბატონ ბიძინა თავაძის დასაბუთებული სამართლიანი გულისწყრომით ალსავსე წერილი „ვინ დაიცავს ქართულ ენას, ანუ ესპანური chico ქართულად კიკო ნამდვილად არ იქნება“ და ბატონ რევაზ სალიას დაახლოებით ასეთივე პათოსის, არგუმენტირებული სტატია „ნუ ვამახინჯებთ ქართულ ენას“. შეუძლებელია სინდისის მქონე ქართველი არ დაეთანხმოს ამ ავტორებს.

სამწუხაროდ, დღეს იშვიათად ვამახვილებთ ყურადღებას ამა თუ იმ პრობლემის წარმოშობის მიზეზებზე, ამ შემთხვევაში — თუ რატომ მახინჯდება დღემდე ჩვენი ენა თუ სარწმუნოება, ნიჭი გვაკლია თუ სპეციალისტების ნაკლოვანებას განვიცდით? იქნებ ჩვენს ზნეს დაემართა რამე?- თორემ ლამის მეორე საუკუნეა ვწერთ და ვიძახით „ნუ ვამახინჯებთ ქართულ ენასო“, „არიქა, გადავარჩინოთ მშობლიური ენა!“ და ა. შ. საშველი კი მაინც არ დაგვადგა — ერთხელ და სამუდამოდ გადაგვეწყვიტა ეს საკითხი. რომლის გასაღები სინამდვილეში, როგორც თითოეული ჩვენგანის, განსაკუთრებით საქართველოს ხელისუფლების, მისი (სამწუხაროდ, თუნდაც გახლეჩილი) ინტელიგენციის ზნეობრივ-პოლიტიკური ნების არქონაში ძევს. ისტორიული თვალსაზრისით, როცა საქართველოს კისერზე გაცილებით „მსუბუქად აჯდა“ მეფის რუსეთის იმპერია, ვიდრე მილიონობით ადამიანთა ზნეობის გამრყვნელი საბჭოთა იმპერიული რუსეთი, საკითხი ქართული ენის გადარჩენისა, როგორც ეროვნული ცნობიერების საყრდენისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, უკვე მწვავედ იდგა გასულ საუკუნეშიც. შესაბამისად იდგა მაშინდელი ქართველ ხელისუფალთა და ქართული ინტელიგენციის ნაწილის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინაშე გუნდრუკის მკმეველი ფსიქოტროპიის, ზნეობრივ-პოლიტიკური ნების პრობლემაც, რამეთუ მაშინაც კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ამ ორ ძირითად სოციალურ რგოლზე ფაქტობრივად იყო, და არის, დამოკიდებული, ეროვნული ცნობიერების, სარწმუნოების, და საერთოდ, ხალხის რწმენის არსებობა.

ეს თეზა სრულიად ნათლად ჩანს გასული საუკუნის ქართულ გაზეთში. „დროებაში“ (იხ. 1877 წ. №61 ხუთშაბათი, 2-თიბათვე) გამოქვეყნდა წერილი „ორი სასწავლებელი“ ფსევდონიმით „პარტიზანი“, რომელშიც ვკითხულობთ: „აი, მოიყვანეს 8-9 წლის ქართველი ბიჭი. ამან ვერც კი მოასწრო კისრის გასწორება, როგორც დაუწყეს მას ჩიჩინი მისთვის სრულიად გაუგებარ ენაზედ, რომლის მსგავსი მის ყურებს არა ჰსმენია. მასწავლებლებმა დაუწყეს ბავშვებს — მამისათა Во имя отца, და ძისათვის и сына святого და სულისა წმიდისათა и духа святого, ამინ, ....ე. ი. დაუწყეს მას ყველა საგნების გადაცემა სხვა ახლანდელი პედაგოგების ბრძენი ჭკუით გაგონილის ქართულ-რუსული ენით ... ჩვენი პედაგოგები კი ზემოთქმულ-გვარად რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, შემდეგ კი სწერენ მთავრობას, რომ ამა და ამ სკოლაში — В особенности прекрасны успехи в русском языке ... და სხვა .... ამის შემდეგ, კიდევ ჩივიან, რომ ჩვენ ხალხში აღარ არის რწმენა და პატივისცემა ამ სჯულისადმი, რომლის მეოხებითაც ერთ დროს ჩვენი ქვეყანა იყო ქვაზედ უმაგრესი, სავსე ყოვლის პატიოსნებითა, კაცობრიული გრძნობებითა“.

ცენზურის შიშით, ცხადია, ავტორი ხელს არ აწერს. ამ ციტატიდან სრულიად ნათელია, რომ დღესაც, როცა ტექნიკურ პროგრესთან ერთად ადამიანთა ნებელობითი მადაც გაიზარდა, გამრავალფეროვნდა, შესაბამისად შეიცვალა ქართველ ხელისუფალთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი ზნეობრივ-პოლიტიკური დამოკიდებულების სტილი და ნილბები.

საბჭოურ პერიოდში, როცა საქართველომ სრულიად დაკარგა დამოუკიდებლობა და ქართული ენის დაცვის პრობლემის (სამწუხაროდ, დღესაც ასეა) დაიწყო მხოლოდ მოჩვენებითად — „ფსევდოდემოკრატიისა“ და „ფსევდოინტერნაციონალიზმის“ საშუალებით მანიპულირება და სინამდვილეში კი იგი გადაუჭრელი რჩებოდა. ეს ფაქტი, ბუნებრივია, ანტიეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდასთან ერთად ათეული წლების მანძილზე იწვევდა ქართველთა გაკოსმოპოლიტებას და ასევე მთელი მოსახლეობის ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნებისა და ზნეობრივი თვისებების დაქვეითებას. ფაქტიურად საქართველოს მთავრობა არაქართველ მოსახლეობას არწმუნებდა — ნუ ისწავლით საქართველოს სახელმწიფო ენას, აი, თქვენ რუსულ ენაზე ტელე-რადიო, ჟურნალ გაზეთები (სახელმწიფო დაფინანსებით), რუსულენოვანი წარწერები ქუჩასა და დაწესებულებათა აბრებზე, მიდით, იცხოვრეთ, ძმებო, თავს ნუ აიტკენთ ქართულის სწავლითო და ამგვარმა სტალინური პოლიტიკის შედეგმაც არ დააყოვნა — სახეზე გვაქვს (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ბოლნისი და ჯავახეთი).

როგორც ვხედავთ ქართული ენისა და სარწმუნოების დაცვა პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ხელისუფლების (თითოეული ჩვენგანის) მიერ ზნეობრივ-მოქალაქეობივი პრინციპების დარღვევასთან. „როდესაც ზნეობრივ პრინციპებს ვკარგავთ — ამბობს მაჰათმა განდი — მაშინ აღარც მორწმუნენი ვართ“. ინდოეთის ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტი იგონებს, რომ ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ხანაში ინდოეთის პოლიტიკური ლიდერები და პრესის მუშაკები (და სხვა დარგის წარმომადგენლები) ერთ მუშტად შეიკვრნენო. სამწუხაროდ, ჩვენში ასე არ მოხდა— მაშინ, როცა განსაკუთრებით დღეს, ტელეჟურნალისტიკა (რომელიც დღეს ასევე გახლეჩილია) და მასმედიის სხვა საშუალებები უდიდესი იარაღია ენისა და ეროვნული ცნობიერების სამართავად.

რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ვერც ჩვენმა მწერლებმა ვერ გამოიჩინეს აქტიურობა ქართული ენისა და ცნობიერების გადარჩენის საქმეში. არ გადაუდგამთ რაიმე სამაგალითო მკვეთრი ეროვნულ-პატრიოტული ნაბიჯი.

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებში, როდესაც ინდოეთში ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, „ინდოეთის ბულბულად“ წოდებულმა ოცდათვრამეტი წლის, წარმოშობით ბენგალიელმა, ქალმა პოეტმა — საროჯინი ნაიდუმ, რაკი ინგლისში მიიღო აღზრდა და განათლება და მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერდა, ლექსების წერას თავი მიანება, შეცდომა აღიარა და თქვა — პოეტი უწინარესად თავის მშობლიურ ენაზე უნდა წერდესო. ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, სამოცდაათი წლისა ისე გარდაიცვალა, რომ ინგლისურ ენაზე ლექსი აღარ დაუწერია. ზნეობრივ-მოქალაქეობრივი შეგნების გამომხატველი კიდევ ერთი მაგალითიც: იურიდიული განათლებით ინგლისიდან მშობლიურ ინდოეთში დაბრუნებულ ახალგაზრდა მაჰათმა განდის ის კი არ უთქვამს, დიდი ხელფასი დამინიშნეთ, თორმე მოვიპარავო, არამედ ის, რომ ინდოეთის სასამართლოში ქრთამებს იღებენ და მე იქ ვერ ვიმუშავებო. სამსახური დატოვა და სამხრეთ აფრიკაში ინდურ დიასპორაში ადამიანთა უფლებების დაცვას შეუდგა. განა მას არ შეეძლო თავისი უნიკალური ინტელექტით, რომელიმე კავშირის ლიდერი გამხდარიყო, ან ინდოეთში ომბუცმენად დამჯდარიყო ფეშენებელურ ოფისში, დიდ ხელფასზე, როცა მის ირგვლივ (როგორც დღეს ჩვენში) უმრავლესობა შიმშილობდა? როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩაბმული ქვეყნის, განსაკუთრებით, საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პირადი ცხოვრების წესის მაგალითით ხელი უნდა შეუწყონ ხალხში ზნეობრივი პრინციპების განმტკიცებას. ასეა ჩვენში დღეს? პასუხი მკითხველის სინდისზე იყოს!

არამც თუ გამვლელს, თვით ჩვენი მთავრობის მოხელეს რომ ჰკითხოთ, საქართველოში კონსტიტუციურად რამდენენოვანი ფორმულა მოქმედებს— ერთენოვანი, ორენოვანი თუ სამენოვანიო, ან რა ფუნქცია აკისრია რუსულს და რა ინგლისურს, ვეჭვობ, რომ ზუსტი პასუხი მიიღოთ. სრული ქაოსი სუფევს სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებასა და სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე გაკეთებულ აბრებსა თუ სარეკლამო სტანდარტიზაციაშიც: ზოგ სახელმწიფო დაწესებულებას ორენოვანი — ქართულ-ინგლისური წარწერა ამშვენებს, ზოგს რუსულ-ქართული, ზოგს რუსული, ქართული და ინგლისურენოვანი და ა. შ. ზოგიერთ ქუჩას ქართულ ენაზე აქვს დასახელება, ზოგს, ძველებურად ქართული და რუსული. მოდით და გაარკვიეთ ,რომელია საქართველოში სახელმწიფო ენა. რა ნიშნით შეიძლება მიხვდეს ასეთ ქაოსში, ვთქვათ უცხოელი რომ საქართველოში ქართული ენაა სახელმწიფო ენა. ან რომ ერი და ბერიც პატივს სცემს თავისი ქვეყნის მშობლიურ და სახელმწიფო ენას. ცხადია, ასეთი ვითარებაა მთელს საქართველოში, რაც მომავალი თაობის ფსიქიკასა, მისი ცნობიერების გაკოსმოპოლიტებას ხელს უშყობს და საბოლოოდ იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფო ქაოსშია და დეზორიენტირებულია. რაკი საუბარი ჩამოვარდა კოსმოპოლიტიზმზე, ვნახოთ, რას ფიქრობდნენ შუაგულდასავლელი ფრანგები „პატრიოტიზმზე“ ჩვენი საუკუნის დასაწყისში: 1904 წლის ჟურნალ „მოამბეში“ (№2, გვ. 34-45) გამოქვეყნდა ივანე მაჭავარიანის წერილი (ძირითადად ნათარგმნი მასალა ფრანგულიდან) სათაურით „კოსპომოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. მასში ვკითხულობთ: „შესაძლებელია პატრიოტი იყოს კაცი და ამავე დროს კაცობრიობაც უყვარდეს? ამ კითხვით მიმართა ფრანგულმა Revne-მ მასწავლებელთ, მწერალთ, პოლიტიკურ მოღვაწეთ, და ერთი და იგივე პასუხი მიიღო თითქმის ყველასაგან: კაცობრიობის სიყვარული იგივე გრძნობაა, რაც სამშობლოს სიყვარული, ოღონდ უფრო განვითარებული. ვინც სამშობლოს ემსახურება — კაცობრიობას ემსახურება“ და იქვე მოტანილია ამ მოღვაწეთა შემდეგი გამონათქვამები, მაგალითად: „დიონი — ნურავინ იტყვის თანასწორად მიყვარს ყველაო, რადგანაც ამის მთქმელს სრულიადაც არავინ უყვარს თავის თავის მეტი“, „ანჯელო გუბრანტი — ვისაც სამშობლო არ სწამს, არც სიყვარული იცის, არც ცხოვრების მიზანი და არც სათნოება“, „ფურნიერი — გონებით კაცობრიობის შვილი ვარ, გულით საფრანგეთისა ... ჩვენი ერის ყველა ღირსებითა და ნაკლოვანებებით აღჭურვილი შვილი ვარ და სადაც არ უნდა ვიყვე, ყველა იტყვის ჩემზე ფრანგიაო“, „ფრანსუა კოპე — მე ჩემი სამშობლო მირჩევნია სხვის სამშობლოს, თუმცა ავი არავისთვის არ მსურს, სწორედ როგორც ბავშვს თავისი დედა ურჩევნია სხვის დედას“. საყურადღებოა აქვე ამავე ტორდის მოსაზრება ენის შესახებ: „კაცობრიობისაგან საერთაშორისო ენად მიღებულთან ერთად სხვა ენებიც დარჩება, რადგან შეუძლებელია ისე შედუღდნენ ევროპელნი ერთმანეთში, რომ ერთს ერს და ენას წარმოადგენდნენ“. ვფქრობ, მთლიანად მიესადაგება თანამედროვეობას ამავე პუბლიკაციაში ანატოლ ფრანსის შემდეგი გამონათქვამი: „ხალხი ჯერ საკმარისად მომზადებული არ არის, რომ ცხოვრება მოიწყოს და მმართველობისათვის კი სასარგებლოა ერთა შორის შუღლის ჩამოგდება, ბრძოლის ატეხვაო“. როგორც ვხედავთ, ჩვენზე „მცირე ასაკოვან“, მაგრამ ალბათ უფრო ცივილურ, (არა პრეზიდენტის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაყოფილ) ფრანგულ ინტელიგენციას სხვაზე არანაკლებ ჰყვარებია თავისი სამშობლო. უთუოდ ამიტომაც დღეს საფრანგეთის ფრანგი თუ არაფრანგი მოქალაქე კონსტიტუციური კანონით ვალდებულია იცოდეს ფრანგული და სხვა ერის წარმომადგენელთათვის მთავრობა არ ხსნის საგანგებო სახელმწიფო საინფორმაციო ტელეარხებს (როგორც ეს ჩვენში დღეს ხდება — სულ უფრო მატულობს რუსულენოვანი ტელეარხები ვესტნიკი, პერეკრიოსტოკი, მირი და სხვებიც სამზა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მეორე გვერდიდან

## დავით გუჯაბიძე:

## „უცხოურ ინვესტიციებზე, დახმარებებზე დამოკიდებული საქართველო ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს“

ღუპველი (დღგ-ს საკითხი ვრცელი თემაა და ამაზე სხვა დროს გვექნება საუბარი). მოჰყავთ არგუმენტები, რომ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში ყველგან არის მაღალი დღგ. არ შეიძლება ჩვენ გავუტოლდეთ გერმანიას, იაპონიას, სხვა მძლავრ სახელმწიფოებს, რომელთაც გააჩნიათ ძლიერი მრეწველობა და ეკონომიკა. იაპონიაში მრეწველობია ფეხს რომ იდგამდა, იყო მხოლოდ მიწის გადასახადი, საწარმოები გათავისუფლებულნი იყვნენ გადასახადებისგან, სანამ კონკურენტუნარიანნი არ გახდებოდნენ და თავიანთი ბაზრიდან უცხოურ ბაზარზე არ გავიდოდნენ. იყო შემუშავებული სწორი ფულადსაკრედიტო პოლიტიკა. ჩვენთან პირიქით ხდება. უცხოური პროდუქციის შემოტანით საბაჟოზე ფული კეთდება.

**— საბაჟოებს უცხოელები გააკონტროლებენ, იქნებ, ამის შემდგომ აღარ შემოვიდეს კონტრაბანდული საქონელი ...**

— შევარდნაძემ ამ ნაბიჯით აღიარა, რომ მის გუნდში არ მოიძებნება 20 პატიოსანი კაცი, საბაჟოზე ხელმძღვანელად რომ დააყენოს. ნოდარ ნათაძის თქმისა არ იყოს, ეს ისეთი რამეა, ბავშვის გასაკეთებლად მეზობელს დაუძახოს კაცმა. უცხოელები, რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი იქნებიან, რაც შეიძლება მეტი თანხა ამოიღონ, მაგრამ მოგების 50% თვითონ წაიღებენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ უცხოური ფირმები მეტ შემოსავალს შეიტანენ ბიუჯეტში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გადაჭრის ბიუჯეტის შევსების პრობლემას.

საქონელი რომ შემოდის საბაჟოზე, ტარდება მისი დაახლოებით 15%, დანარჩენი არის „მარცხენა“ საქონელი, რითაც არის გაჯერებული ბაზარი. აქ ეროვნული პროდუქცია ვერ უწევს კონკურენციას, დღევანდელი საგადასახადო სისტემის მიხედვით, ამ დაუბეგრავ საქონელს.

**— თქვენ, როგორც მეწარმე, გამოსავალს რაში ხედავთ?**

— მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდი ძალიან კარგად ხედავს, როგორ უნდა აღორძინდეს ეროვნული მრეწველობა, მაგრამ არ უნდა ამის გაკეთება და ვერც გააკეთებს კორუფციაში ჩაძირული გუნდი.

შვეციის ერთ-ერთი მინისტრი გადააყენეს იმის გამო, რომ შაბათ-კვირას, უიკ-ენდზე, გამოიყენა არადანიშნულებისამებრ სახელმწიფო ავტომობილი და პრესაში ატეხილი აყიოტაჟის გამო გადადგა. ჩვენთან კი საქართველომ თავისი საზღვაო ფლოტი თითქმის დაკარგა, პასუხს არ აგებს არც სანაოსნო და არც ტრანსპორტის მინისტრი.

გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ იმაშია, რომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. ახალმა ხელისუფლებამ უნდა გაატაროს პროტექციონისტული კურსი ეროვნული მრეწველობის აღორძინებისათვის. მე მხედველობაში მაქვს ფულად-საკრედიტო სისტემა. საგადასახადო სისტემა ძირფესვიანად გადასახედია. საბაჟოზე უნდა იდგნენ პატიოსანი ადამიანები, რომელთაც ექნებათ მაღალი ანაზღაურება.

**ამირან ჯანაშია**

## პოეზია

### ავთანდილ ხარაიშვილი

# ჩამოკიდებულნი

**ცხრა მარაბდას მორწყავდა,**
**მე რაც სისხლი მდენია.**

*ზურაბ გორგილაძე*

**სამი ათასი კაცი შეიძნა მსხვერპლი ასპინძის ომში, — მხოლოდ ოცდაათი ქართველი**

*(ი. გოგებაშვილი, „ასპინძის ომი“)*

ღმერთი დღეებს მოძღვრავდა,
უილბლოს თუ ილბლიანს;
ცხრა ევროპას მორწყავდა,
ჩვენ რაც სისხლი გვიღვრია.
სული კბილით მიჭირავს, —
ო, რამდენი ჭორია!
ზეჭირად და ქვეჭირად,
ბევრი გასაჯორია.
სულ სისხლ-ხორცად მეთვისა
„მხედრული“ თუ „ლილეო;
გევედრები, ძელვთისავ,
ცოდვილთ გამაცილეო!
...ტაძრივით ნაძვნარის
ღვენთავს მღვრიე სალამო;
ხერთვისს ნავენახარი
მიხმობს, — მომესალამოს.
ერთ დროს დედამესხეთი, —
რუსთავით თუ ვარძიით;
ათონით თუ ბესლეთით;
დიდგორით თუ ტანძიით, —
ათენებდა ქართულად,
დავითით თუ თამარით, —
ქართულ შუბლშემართულად,
უმთავრესზე მთავრით!
ოცდაათი ჩვენ მოგვკლეს, —
მტრისგან, — სამი ათასით ...

ერეკლობდა ერეკლე
და ხმალს ჰქონდა სხვა ფასი.
სხიპეს თავი ასპიტთა,
საზვარაკოდ ბელზებლის;
ბიჭვინთას თუ ასპინძას
ვერ დავიცავთ ბეზღებით.
საშინაო შენს საქმეს
მხოლოდ შენს ხალხს კითხავდე;
ვინ უსმენდა მესამეს,
სად არის განმკითხავი!
ვერ შესულხარ შენს სახლში
ვაშინგტონის გარეშე;
ყველა მხარეს შესახლდი,
ყველა მოითარეშე ...
ყველას ჩამოვეკიდეთ, —
გალმაა თუ გამოღმა;
ჯერ სადა ხართ, ჯერ კიდევ,
სადღაც ვილაც დაბობლავს.
ეროვნული რაც არი,
არა კაცს არ აწუხებს;
ცხვირში ცხელი ნაცარი
ცრუპატრიოტ კაცუნებს!
ერთად, ერთად მხარი-მხარს!
ერთად თქვენი კვნესამე;
გარეთ ნულარ გარბიხართ,
ჩვენ მივხედოთ ჩვენს საქმეს!!!

## აფხაზეთის ტრაგედია

# «... ამ საშინელებას მე თვალს ვადევნებდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო»

თანამედროვე ქართველობა გახდა თვითმხილველი იმ საშინელებათა, რომლის მსგავსსაც ვკითხულობდით ისტორიულ ქრონიკებში. ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა ომით განადგურებული ოჯახები, უდროოდ დაქვრივებული დედები, დაინვალიდებული ახალგაზრდა ბიჭები ... ეს სია საკმაოდ გრძელია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

აფხაზეთის ომმა მრავალი უბედურება წარმოშვა, მაგრამ ყველაზე მეტად ნორჩი, პატარა, ჯერ კიდევ ცხოვრებისაგან შეუბილწავი გულები დაზარალდნენ. მათ ადრეულ ასაკში ეწვიათ ხანდაზმული ადამიანის სიბრძნე.

დღეს მინდა ერთ-ერთი მათგანი გაგაცნოთ. მისი სახელი და გვარია დიმა მოსკოვჩი. მას ჯერ 17 წელი არ შესრულებია და თითქმის ერთი წელია, რაც თბილისში იმყოფება. სჯობია თავად დიმას მოვუსმინოთ:

— მართალია უკრაინული გვარი მაქვს, მაგრამ დედით ცხვარაძე ვარ, მამაც სანახევროდ ქართველი იყო. აფხაზებისგანაც ყოველთვის ქართველებად მოვიაზრებოდით.

დავიბადე ბიჭვინთაში 1982 წელს. მშობლები განქორწინებაში იყვნენ და დედა-ბებიასთან ვიზრდებოდი. როცა ომი დაწყო, ცხრა წლის ვიყავი. საკმაოდ შეძლებულად ვცხოვრობდით და ქალაქიდან გასვლა გუნებაში არ გვიფიქრია. მას შემდეგ, რაც ქართული ჯარი მდ. გუმისთაზე ჩადგა, ჩვენ აფხაზების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. ერთი წლის განმავლობაში სახლიდან არ გამოვდიოდით. თავი რომ გვერჩინა და შიმშილით არ დავხოცილიყავით, ბებიას ოჯახიდან ჭურჭელი, სხვადასხვა ნივთები გამოჰქონდა გასაყიდად.

**— დიმა, აფხაზი მოსახლეობა თქვენთან როგორ ურთიერთობაში იყო?**

— ბიჭვინთის სასტუმროებში სოხუმიდან დევნილი აფხაზები ცხოვრობდნენ. მათ ძალიან აღიზიანებდათ, როცა თავისუფლად მოვაჭრე ბებიას ხედავდნენ. თავიდანვე აგვითვალწუნეს. სულ გაიძახოდნენ: „ჩვენ გამოგვყარეს და ამათ რამდენის უფლებას აძლევენო".

არასოდეს დამავიწყდება 24 აგვისტოს კოშმარული ღამე. ორი საათი იქნებოდა, მოულოდნელად სახლში ორი ჩეჩენი და სომეხი შემოიჭრა, დედა და ბებია ძალით გაიყვანეს ეზოში და იქვე დახვრიტეს (მანამდე მამაჩემი გაგრის სტადიონ „დინამო"-ზე სხვა ქართველებთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს). (აქ დიმა ცოტა ხანს შეჩერდა, საუბრის გაგრძელება გაუჭირდა და მოწოლილ ცრემლებს აკავებდა).

**— შენ როგორ გადარჩი?**

— ჩვენ დიდი სახლი გვქონდა და ერთ-ერთ ოთახში ვიყავი დამალული. მკვლელები იქ არ შემოსულან. ამ საშინელებას მე თვალს ვადევნებდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო. გვამების დამარხვაც კი ვერ მოვახერხე. შემდეგ მამიდასთან გადავედი საცხოვრებლად, ის რუსია და მან შემიფარა.

**— რამ გაიძულა თბილისში გეპოვნა თავშესაფარი?**

— სანამ არასრულწლოვანი ვიყავი, კიდევ შეიძლებოდა იქ ცხოვრება. კიდევ ორი წელი რომ დავრჩენილიყავი, მეც იგივე დამემართებოდა, რაც ჩემს მშობლებს დამართეს აფხაზებმა.

**— როგორ მოახერხე გადმოსვლა, ვინმე დაგეხმარა?**



— აქეთ წამოსვლა დიდი ხნის დაგეგმილი მქონდა. აფხაზეთში ხალხი ფულს მანდარინით აკეთებს. ვაჭრობა რუსეთის საზღვართან, მდ. ფსოუსთან მიდის. მეც არასრულწლოვნობით ვისარგებლე და ამ მონაკვეთს თავისუფლად გადავდიოდი. აფხაზ მამაკაცებს საზღვარზე არ უშვებენ, ამიტომ ისინი უფრო იაფად ყიდიან ციტრუსს, ვიდრე რუსები. მე მანდარინს აფხაზებთან ვყიდულობდი და რუსებთან ვყიდდი. სამგზავრო ფული ასეთი ხერხით დავაგროვე. თექვსმეტი წელი შემისრულ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მესამე გვერდიდან

# ქვირაიას ექიმის წინაშე ქონების მართვის სამინისტროც სცოდავს და უზენაესი სასამართლოც?!



გენაში? ხომ მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს? არნახული და ჯერარგაგონილი მხარდაჭერა მიიღეს, როგორც უზენაესი სასამართლოდან, რომელმაც აბსურდული მიზეზი მოიშველია საქმის განხილვის გაჭიანურებისათვის და დღემდე ახალი გარემოებების აღმოჩენას ელოდებიან მომჩივნებისაგან, ასევე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსაგან, რომელიც დღემდე იქექება საპრივატიზაციო საქმის მასალებში და ეძებს ახლადაღმოჩენილ გარემოებას, რომ მომლოდინე უზენაეს სასამართლოში საქმის აღძვრის საბაბი აღმოაჩინოს, რადგან ამ სამინისტროს არგუმენტი — ქონება მუნიციპალური არ იყოო, საპნის ბუშტის ოპერა გამოდგა მხოლოდ".

სასამართლო პროცესზე, რომელიც მაისის თვეში უზენაეს სასამართლოშიში გაიმართა, მოსამართლემ გადაწყვეტილება ვერც ერთი მხარის სასარგებლოდ ვერ გამოიტანა. ქონების მართვის მინისტრი — უკლება ამტკიცებდა, ქალაქის I კლინიკური საავადმყოფო ქალაქის მერიის საკუთრება არ იყო და პრივატიზაციის უფლება არ ჰქონდაო. მოპასუხე მხარემ (კლინიკა „გულმა") სასამართლო პროცესზე 1993 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №536 წარადგინა, რომელშიც რესპუბლიკის საკუთრებიდან ქალაქის საკუთრებაში სამედიცინო ობიექტების გადაცემაზეა საუბარი და თან ერთვის ამ ობიექტების ნუსხა, სადაც მე-11 ადგილი სწორედ I კლინიკურ საავადმყოფოს ეკავა. კურიოზული იყო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა 1993 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება (?!). საჭირო გახდა გარკვეულიყო, მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტზე იყო თუ არა მაშინდელი ჯანმრთელობის მინისტრის ვიზა. ცხადია, ზემოხსენებული დადგენილების პროექტი მაშინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ხელმოწერით არსებობდა და მოპასუხემ მეორე დღესვე წარადგინა სასამართლოში.

თუმცა რა, მთავრობის დადგენილება ჯანმრთელობის მინისტრის ვიზის გარეშეც რომ ყოფილიყო გაცემული, კლინიკა „გულს" უნდა ეგო ამისათვის პასუხი?

ბატონი ანზორ მელია ამტკიცებს, საქმის განხილვა მაინც გადაიდო იმ მოტივით, რომ კათედრამ მოსამართლეს მიმართა, ვიდრე დამატებით მასალებს არ მოვაგროვებთ, საქმეს მანამდე ნუ განიხილავთო. რამდენად კანონიერია უზენაესი სასამართლოს ქმედება ამგვარ შემთხვევაში? კათედრას ამგვარი მიწერილობის გაკეთების უფლება არ ჰქონდა, ეს მხოლოდ ქონების მართვის მინისტრის პრეროგატივა გახლავთ, რადგან მოსარჩელე მხარეც სწორედ ეს უკანასკნელია, მაშინ რატომ დააკმაყოფილა იგი უზენაესმა?

როცა უზენაესი სასამართლოს სწორ გადაწყვეტილებაზე და კანონიერ ქმედებაზე ვსაუბრობთ, ურიგო არ იქნება, ორიოდე სიტყვა იმ უნომრო წერილზეც ვთქვათ, რომლითაც 1999 წლის 20 ივლისს უზენაესი სასამართლო ანზორ მელიას აცნობებს უპრეცედენტო შემთხვევას: საქმის განხილვა გადაიდო კარდიოლოგიური კლინიკის ა/წ 18 ივნისის წერილის საფუძველზე დამატებითი მასალების წარმოდგენამდეო.

წერილს ხელს აწერს უზენაესი სასამართლოს საჩივრებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი ნ. ლაშხი. ამის შემდეგ როგორ შეგვიძლია აუღელვებლად ვისაუბროთ უზენაესი სასამართლოს სწორ გადაწყვეტილებებზე და კანონიერ ქმედებებზე. უზენაესი სასამართლოს ბლანკიან წერილზე ხელს ხომ არარსებული განყოფილების უფროსი აწერს. „უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ასეთი განყოფილება აღარ არსებობს. საუბარი ალბათ უკვე ზედმეტია იმაზე, რომ საჩივრის განხილვას კანონით დადგენილი ვადები აქვს. საინტერესოა, რა მასალების წარმოდგენას ელოდება უზენაესი სასამართლო 3 თვის მანძილზე ან სად არის განჩინება ამგვარ შემთხვევაში საქმის განხილვის შეჩერების შესახებ?

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, როდის შეძლებს უზენაესი სასამართლო მართალი სამართლის აღმოჩენას ან „აკადემიის კლინიკის" (თურმე ასე უწოდებენ მუნიციპალური ქონების ბაზაზე შექმნილ კარდიოლოგიურ კლინიკას ცინცაძე და მეგრელაძე, ეს ახალი აღმოჩენა გახლავთ ჯანდაცვის სისტემაში, ამბობენ, ბატონებს ერიდებათ ჯერ და ვერ წერენ, თორემ კარდიოლოგიურ კლინიკას ზეპირ საუბარში „მამაჩემის კლინიკად" იხსენიებენო. აქ კი ცხადია სახელმწიფო საკუთრებაზე საუბრებიც გამორიცხულია) ნება-სურვილის დაკმაყოფილებას.

მოწინააღმდეგე მხარეს მელიას „მაკომპრომეტირებელი" მასალებიც მოუძევია, ანზორი რაიონიდან ჩამოსული ექიმიაო, ამტკიცებენ თურმე. ამ უკანასკნელის ადვოკატი მარწმუნებლის დაცვაზე „უარს ამბობს", ოღონდაც მისი მშობლიური რაიონი მაჩვენეთ, სადაც მელიამ უმაღლესი განათლების მიღება შეძლოო. ჩვენის მხრივ ერთ უმნიშვნელო დეტალს დავუზუსტებდით დაინტერესებულ პირებს: „თბილისელი თვით ვახტანგ გორგასლის ხოხობიც არ იყო, ნადირობისას თბილ წყლებში რომ ჩაუვარდა მეფეს". მნიშვნელობა აქვს ადამიანის სადაურობას, თუკი იგი ყველაფერს პროფესიული სიყვარულით უდგება და ქვეყნის სასარგებლო საქმეს აკეთებს? თუმცა ჩვენს ანომალიებით, სავალალო კურიოზებით სავსე ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი და თუმცა კლინიკა „გულის" მესვეურნი გულს არ იტეხენ — „სამართალი პურსა სჭამსო", სულაც არ არის გამორიცხული, რომ ამდენ ხანს მოშიებული სამართალი ბოლომდე მშიერი დარჩეს.

**მანანა ლოგჯანიძე**

მეორე გვერდიდან

# პასიური პოზიცია არჩევნების მიმართ დამღუპველია ქვეყნისათვის

ჯერ ჩვენთვის უცნობია) ამოძრავებთ ერთი დიდი სურვილი: მუდმივად იყვნენ ქვეყნის სათავეში.

შეიძლება ვინმე შემეკამათოს, საიდან ასეთი დასკვნაო, მაგრამ პასუხი მოკლე და მარტივი იქნება: ხელისუფლებას, რომლის უგუნური პოლიტიკის წყალობით ამდენი უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას, წესით და რიგით, მორალური უფლება არ უნდა ჰქონდეს უკიჟინოს ხალხს, ისევ ჩვენ აგვირჩიეთ, თუ არა დაიღუპებითო. ესენი ამას არ აკეთებენ, პირიქით, ყველანაირად ცდილობენ ხელისუფლებაში დარჩენას და აქედან დასკვნაც: ხელისუფლებაში მუდმივად ყოფნა სურთ.

ამ მოსაზრებას ერთი ბოლოდროინდელი ფაქტიც ამაგრებს: ამას წინათ ტელევიზიით საქართველოს ამერიკელი ლობისტის (ამერიკის ხელისუფლებაში) გამოსვლა გვიჩვენეს, სადაც ეს ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ ამერიკის ხელისუფლებას სურს ქართული ხელისუფლების პირველი პირები დარჩნენ ხელისუფლებაშიო. ამ ამერიკელი ლობისტის გამოსვლა ამ არჩევნების წინ, რბილად რომ ვთქვათ, საარჩევნო „მარიაჟი" რომ არის, ამას ბავშვიც მიხვდება, მაგრამ ჩვენი უბედურება სხვა რამეშია: რატომ უნდა ვეკითხებოდეთ ამერიკელებს, თუ ვინ უნდა გვყავდეს ქვეყნის სათავეში, ან რატომ უნდა ცდილობდნენ ისინი ამას და რაც მთავარია, შევარდნაძის და მისი გუნდის მხარდაჭერას კი არ უნდა ცდილობდეს ეს ამერიკელი, არამედ ქვეყანას, საქართველოს უნდა დაუჭიროს მხარი, თუმცა ცალკეული ქვეყნების პრეზიდენტებისადმი მხარდაჭერის ფაქტები სხვა ქვეყნების ხელმძღვანელთა მხრიდან ჩვენთვის უცხო არაა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა მხარდასაჭერი ლიდერები მსოფლიო პოლიტიკის გვერდით საკუთარ ქვეყანასაც პატრონობენ და მის ინტერესებს მსოფლიო პოლიტიკას უხამებენ. ჩვენთან, სამწუხაროდ, პირიქით ხდება — საკუთარი ხალხის გალატაკება-გამათხოვრების ფონზე ხორციელდება მსოფლიო პოლიტიკის დიქტატი.

თუ რა დიქტატია ეს და რაში გამოიხატება მისი არსი, ჩვენი გაზეთის გათვითცნობიერებულმა მკითხველმა შესანიშნავად უწყის და ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ. ეს ცალკე წერილის თემაა და სასაუბროც ბევრია. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ჩვენთვის, ქართველი ერისათვის, საქართველოს მოსახლეობისათვის, მთავარია არჩევნებში სწორი ორიენტაციის გაკეთება, ანუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციების არჩევა, რომლებიც ხასიათდებიან ღრმა ეროვნულობისა და პატიოსნების ნიშნით. ასეთები, სამწუხაროდ, არც ისე ბევრია ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში და ამომრჩეველმაც, ყოველ შემთხვევაში, მათმა დიდმა ნაწილმა, კარგად უწყის, თუ ვინ არიან ესენი. მათ ისიც იციან, თუ რომელი პოლიტიკური პარტია რა როლს თამაშობდა ქვეყნის უახლესი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში და აქედან გამომდინარე, პოზიციაც ერთგვარად ჩამოყალიბებული აქვთ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური ბლოკი, „საქართველო", რომელშიც შემავალი ორგანიზაციების, სახალხო ფრონტის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელები, ბატონი ნოდარ ნათაძე და ქ-ნი თამარ ჩხეიძე საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური ლიდერები, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავგადადებული ადამიანები და პატიოსანი პოლიტიკოსები. ამომრჩეველმაც სწორედ ასეთ ორგანიზაციებზე, პოლიტიკურ ბლოკებზე უნდა გააკეთოს აქცენტი, იმ ადამიანებს უნდა მისცეს ხმა, ვინც ქვეყნის მრეწველობის ფეხზე დასაყენებლად იბრძვის (მაგალითისათვის, ბ-ნი გოგი თოფაძე და მისი პარტია), ვინც მის სოფლის მეურნეობას აღორძინებს, ვინც ქართველ გლეხს, მეურნეს ფეხზე დააყენებს, საშუალო ფენის შექმნაზე, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე იზრუნებს და ა. შ.

ამავე დროს, ამომრჩეველმა ფხიზლად უნდა შეხედოს მოვლენებს, შეძლოს ერთმანეთისაგან განასხვავოს ჭეშმარიტი ეროვნული ძალა ფსევდოპატრიოტულისაგან, ოპოზიცია ფსევდოოპოზიციისაგან, კარგად აწონოს დღევანდელ ხელისუფალთა ნაკეთები საქმეები და მის ოპონენტთა პოლიტიკური იმიჯი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებაც მიიღოს, თუ ვის მისცეს არჩევნებში ხმა.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მოქკავშირს, ხელისუფლებას იმდენი ფული და მექანიზმი გააჩნია, ამ არჩევნებს უეჭველად მოიგებს და, აქედან გამომდინარე, პასიური პოზიცია არჩევნების მიმართ დამღუპველია ქვეყნისათვის, ელექტორატმა უნდა გაიცნობიეროს, რომ თუ მისი მტკიცე ნება, სურვილი იქნება, არჩევნებს ვერავინ გააყალბებს, ხალხის მტკიცე ნებას ვერანაირი ძალა ვერ დაუპირისპირდება და ეს კარგად გამოჩნდა, მაგალითისათვის, განძის გატანის საკითხთან დაკავშირებითაც. ამდენად, ჩვენი ბედი და ქვეყნის ბედიც ჩვენს ხელშია, ოღონდ მთავარია ჩვენი პოზიცია, ჩვენი სურვილი, — ავირჩიოთ ის ძალები, ის ადამიანები, რომლებიც საკუთარი კუჭისათვის, კლანისათვის კი არ იზრუნებენ, არამედ საქვეყნო საქმისათვის გადადებენ თავს და ქვეყანას ამოიყვანენ იმ კრიზისიდან, რომელშიც ჩააგდო იგი დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი შვიდწლიანი მმართველობის პერიოდში.

**სერგო ჯანაშია**

# განძის გადარჩენის მომხრეთა წინააღმდეგ ახალი კამპანია დაიწყო

უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის აქცია, რომელიც განძის საზღვარგარეთ გატანის წინააღმდეგ ამ თემაზე საუბრების დაწყებისთანავე გაიმართა, წარმატებით დაგვირგვინდა. ბევრი პოლიტიკოსი, თუ უბრალოდ ეროვნული შეგნების მატარებელი ადამიანი სიხარულით შეხვდა პრეზიდენტის განცხადებას — განძი საქართველოდან არ გავაო, მიუხედავად იმისა, რომ იმთავითვე ნათელი იყო, შევარდნაძეს ეს თავაზიანი რევერანსი არჩევნებისთვის სჭირდებოდა.

სასამართლო კოლეგიამ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სარჩელი განძის საქართველოდან გატანის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა, პრეზიდენტმა კი ქულები დაიწერა საარჩევნო კამპანიის წინ: რადგან ეროვნული მთლიანობა უპირველესია და ორასი-სამასი (ძველმოდურად მოაზროვნე) კაცის შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო-საზოგადოებრივ აზრს არ ემთხვევა, განძის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას დავარღვევთო.

ბატონ ედუარდს ან სრულყოფილი ინფორმაცია არ მოეპოვებოდა განძის გატანის მომხრე-მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობის შესახებ, ან შეგნებულად იცრუა სატელევიზიო გამოსვლისას...

მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო ხელისუფლებას ჩვენს ქვეყანაში არანაირი ძალა არ გააჩნია და მისი გადაწყვეტილების სისწორე სწორედ რომ მთავრობის ნებასურვილზეა დამოკიდებული (პრეზიდენტს ეს მშვენივრად მოეხსენება!), მაშინ გამოდის, შევარდნაძემ გმირობაც კი ჩაიდინა და სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღება განძზე ყადაღის დადების შესახებ მისი თანხმობით მოხდა და უცხოელ პარტნიორებთან თავის გამართლების იარაღად სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში ბატონ პრეზიდენტს შეგნებული სიცრუე ან სრული ინფორმაციის არქონა უნდა ვაპატიოთ, (მეტი რა გზა გვაქვს?!) თორემ სხვაგვარად კანონი კანონია და პრეზიდენტიც ისევეა ვალდებული მას დაემორჩილოს, როგორც ნებისმიერი მოქალაქე.

საბედნიეროდ, განძი საქართველოდან გატანას გადარჩა და, როგორც ამბობდნენ, ქრისტეს შობის 2000 წლისთავს ცარიელი დარბაზებით აღარ შევხვდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა სხვაგვარი კამპანია წამოვიდა მათ წინააღმდეგ, ვინც ამ დიდი ეროვნული საქმის უშუალო მონაწილე და წრფელი ზრახვებით აღსავსე გახლდათ.

„სრული საუკუნე გადის, რაც მთელ განათლებულ ქვეყნის აგენტები დაუკითხავად დაძრწიან ჩვენს უპატრონო მამულში და დაუკითხავადვე გააქვთ უცხოეთში უკანასკნელი



ნაშთები და ნანგრევები ჩვენი შემოქმედებისა და წარსულ-დიდებისა, ჩვენი ნაშრომი და ნაამაგარი, ღვაწლი და ანდერძი ჩვენი წინაპრებისა. თითოეული ნაშთი, საქართველოდან გატანილი, ნაფლეთია ჩვენი ერის სულიერი სხეულისა, ერთი ჯამი სისხლია იმის ორგანიზმისა, ნაკვეთია იმ ტანისა, ნაწილი მისი სულისა. მთელი საუკუნის განმავლობაში უცხოელნიც და შინაურნიც, მახლობელნიც და შორეულნიც გულმოდგინედ და შეგნებით ანგრევენ სულიერ ხიდს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის, სწყვეტენ საერთო ძაფს, შლიან ჩვენი კულტურის კვალს და უძირო ხრამს სთხრიან აწმყოსა და წარსულს შორის. სთხრიან და კარგად იციან, რასაც სჩადიან" — წერდა ჯერ კიდევ 1909 წელს ჩვენი დიდი წინაპარი და საზოგადო მოღვაწე, მიხეილ ჯავახიშვილი.

ყოველივე ეროვნულს ეროვნულის ნიღბით უნდა ებრძოლოო, ასეთი გახლდათ კომუნისტების დევიზი თავის დროზე. დღეს კი ყოველივე წმინდას და ზნეობრივს კომუნისტების დევიზის გათვალისწინებით დაუწყეს განადგურება და სუფთა, წრფელი გულით ღვთის წინაშე აღვლენილ ლოცვა-ვედრებას ზოგიერთები ფანატიკოსობად მიიჩნევენ, უფრო სწორად კი, კი არ მიიჩნევენ, უბრალოდ ასე უწოდებენ. სწორედაც რომ ხრამს სთხრიან და კარგადაც უწყიან, რასაც სჩადიან.

ეროვნული საუნჯის — სიწმინდეების გადარჩენისათვის მმარხველ, მლოცველ, ახალგაზრდათა ქმედება მარხვისა და ლოცვის აბსოლუტურ პროფანაციად შეირაცხა.

„მარხვა ხდება საკუთარი ცოდვების წინააღმდეგ და ქრისტეს მიბაძვით, რომელმაც 40 დღე იმარხულა უდაბნოში, ხოლო მარხვა რაიმე პოლიტიკური ან გნებავთ, საზოგადოებრივი მოთხოვნით ამ რელიგიური რიტუალის პროფანაციაა", — აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში დეკანოზი ბასილ კობახიძე. მან ამავე ინტერვიუში, საუბედუროდ, არა მარტო მლოცველი ახალგაზრდები გააკრიტიკა, არამედ განძის გადარჩენის მომხრე მამები და მთელი საპატრიარქოც. კაცს, რომელიც ყველასა და ყველაფერში უარყოფითს ეძებს და ხედავს, შეიძლება ერწმუნო, თუნდაც სასულიერო პირი იყოს იგი?

24 საათიანი განუწყვეტელი მარხვითა და ლოცვით ახალგაზრდები ღმერთს მიმართავდნენ, შემწეობას ელოდნენ, დეკანოზი ბასილ კობახიძე კი ფანატიკოსს უწოდებს ყველას, ვისაც ღვთის იმედისა და სასწაულის სჯერა და ნაცვლად იმისა, რომ სასულიერო პირმა განძის გადარჩენის შემდეგ ეტაპად გაძარცვული ეკლესიისთვის სიწმინდეების უკან დაბრუნებაზე ისაუბროს, იმ სიწმინდეებისა, რომლებიც ლოცვისთვისაა შექმნილი და ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს, სჯულის კანონს უკუღმა განმარტავს და თამამად აცხადებს: ხატების და საეკლესიო ნივთების ეკლესიიდან გატანა თუ გამოფენისთვისაა საჭირო, სასჯელს არ ექვემდებარებაო, და თანაც ზედმიწევნით გულმოდგინედ, უარყოფითად ახასიათებს მრავალ სასულიერო პირს და გულმოდგინედვე აკრიტიკებს მათ. ილაშქრებს საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ (რომლის წევრი თავადაც გახლავთ), არაკომპეტენტურად მიიჩნევს „ძველმოდურად" მოაზროვნე საპატრიარქოს თანამშრომლებს და ითხოვს, მოხდეს „ნორმალურად" მოაზროვნე ახალგაზრდა სასულიერო პირების ხელდასხმა (ასეთებად, ალბათ, თავის მსგავსებს მიიჩნევს, ვისთვისაც „ქრისტიანობა და მართლმადიდებელი ქრისტიანობა" ერთი და იგივეა). უმჯობესი იქნებოდა სასულიერო პირის ამ ნება-უნებლიე შეცდომებს სწორედ საქართველოს საპატრიარქოს ან მისი რანგის სასულიერო პირმა გასცეს პასუხი, ალბათ, ეს ასეც მოხდება, მანამდე კი შეუძლებლად გვეჩვენება, არ ვთქვათ, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე სიარული უცხოეთში გათქვეფა-აღრევის აუცილებლობას სულაც არ წარმოადგენს და ეროვნული თუ სასულიერო ტრადიციების ხელშეუხლებლად შენახვა „გაევროპელების" მსურველებს ცოდვად და ფანატიკოსობად რომ ეჩვენებათ სულაც არ არის დანაშაული.

„რაც წაიღეს, წავიდა და აღარ დაბრუნდება. თუ შნო და უნარი შეგვწევს, ის მაინც შევინარჩუნოთ, რაც წაულებელია, რაც დაგვრჩა და რაც ჯერჯერობით ისევ ჩვენს ხელშია. ჯერ კიდევ გვიან არ არის, და თუ ერს ერობა უნდა, თუ კიდევ აქვს სურვილი და უნარი თავის შენახვისა, ძალა სიცოცხლისა და ცოტაოდენი ენერგია, შეიძლება დარჩენილის შეგროვებაც, მისი შენარჩუნებაც და პატრონობაც" (მ. ჯავახიშვილი).

სწორედ ამ სურვილსა და უნარს გვიკლავენ დღეს. ხდება ის, რაც წინასწარ ჩაიფიქრეს. თანდათანობითი ღია თუ შეფარული კრიტიკით, ლანძღვითა და გინებით მოხდება ერის გაგულგრილება, მოდუნება, წმინდა ზრახვების გაუფასურება, რომ დღეს თუ არა ხვალ საწადელი მაინც აისრულონ... განძი განძია და ფასს არასდროს კარგავს. იგი ყოველთვის იქნება ვილაცისთვის შემოსავლისა და გამდიდრების წყურვილის აღმძვრელი...

პრეზიდენტს კი სულაც არ მოუცია პირობა, რომ სიწმინდეთა გატანის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა. საშიშროება სამ-ოთხ წელიწადში შეიძლება კვლავაც განმეორდეს. სწორედ ამიტომ დადგა, ალბათ, დრო იმისა, რომ ვიბრძოლოთ, განძი კანონიერ მეპატრონეს — ეკლესიას დაუბრუნდეს და სამუდამოდ საიმედო ხელს ჩაბარდეს.

**მანანა ლობჟანიძე**

---

მეხუთე გვერდიდან

## «... ამ საშინელებას მე თვალს ვადევნებდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო»

და თუ არა სოჩიდან მატარებლით ვლადიკავკაზში გადავედი, იქიდან კი ჩამოვედი თბილისში — ჩემთვის სრულიად უცნობ ქალაქში, სადაც მხოლოდ ბებიაჩემის ძმასთან შემეძლო მისვლა, მისამართი მამიდამ მომცა.



გზაში რუსი ქალი გავიცანი, ჩემი გასაჭირი გაიზიარა და ნათესავის ბინის მოძებნაში დამეხმარა. (ის ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ოთხოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობს). მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მას გურამი ჰქვია. „მასპინძელი" სახლში არ დაგვხვდა, სამსახურში ყოფილიყო. მეზობელმა, სომხის ქალმა, ჩემი ვინაობა და ავანჩავანი რომ შეიტყო, მითხრა: — შეიძლება გურამმა არც მიგიღოსო.

ოთხი საათის ლოდინის შემდეგ ისიც გამოჩნდა (მაშინ ქართულად ცუდად ვლაპარაკობდი, დავიწყებული მქონდა). რუსულ-ქართულად ვცდილობდი ამეხსნა ვინ ვიყავი და საიდან მოვდიოდი. მან კი უხეშად მიპასუხა: „რუსული არ ვიცი და არ მესმის რას მეუბნები (არადა, ამ ენაზე ჩემზე უკეთ საუბრობს). მე არავითარი და არ მყავს, არაფრის გაგონება არ მინდა, აქედან წადი, თავი დამანებეო". კარი მიიხურა და არც გამოუხედავს.

მე მისგან ბევრს არაფერს ვთხოულობდი. მხოლოდ რამდენიმე დღით თავშესაფარი მოეცა, მერე კი სადმე სწავლის დაწყებას მოვახერხებდი (ჩემთან საუბრის მთელი ხნის მანძილზე, დიმა განსაკუთრებით სწავლას უსვამდა ხაზს. მრავალი უბედურების გადამტანს მთავარ მისწრაფებად ესლა დამრჩენიაო). მახსოვს, ზაფხულობით გურამი ჩვენთან — ბიჭვინთაში ხშირად ჩამოდიოდა დასასვენებლად.

**— დიმა, შემდეგ სად წახვედი?**

— ქუჩაში შეშინებული, თვალცრემლიანი გამოვვარდი. ჯიბეში მხოლოდ 60 ათასი რუბლი მქონდა, გადავახურდავე და პირველივე შემხვედრ ტაქსს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში მივაყვანინე თავი. იქ მითხრეს: აფხაზეთის მილიციას უნდა მიაკითხო, ეს ჩვენი საქმე არ არისო. მიმიყვანეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობაში — ნადარეიშვილთან. მას პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ ჩემს შესახებ მოახსენეს. იმავე დღეს დამაბინავეს სასტუმროში „ოქროს საწმისი". იქ ერთ ოთახში, ერთი თვის განმავლობაში ვცხოვრობდი ბიჭვინთის მილიციის ყოფილ უფროსთან მურმან აბესალაშვილთან. მას გაგონილი ჰქონია ჩვენი ოჯახის ტრაგედია, თურმე მეც დაღუპული ვეგონე. ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა.

მირჩიეს კადეტთა კორპუსში ჩამებარებინა, მაგრამ გამოცდაზე არ დამიშვეს. ახლომხედველი ვარ.

**— ამჟამად სად ცხოვრობ?**

—ამ პერიოდისთვის საჯარისო ნაწილში ვცხოვრობ, უზნაძის ქუჩაზე. სამხედრო ფორმა ფორმალურად მაცვია, უბრალოდ, ამის მეტი არაფერი გამაჩნია. მთავარია თავშესაფარი მაქვს და მაჭმევენ, ოღონდ არ მკითხოთ — რას!

ადრე დევნილთა სკოლაში დავდიოდი. ეხლა სამხედრო აკადემიაში ვაბარებ. სამი გამოცდა ჩაბარებული მაქვს, ორიღა დამრჩა. მართალია, ძალიან არ მომწონს სამხედრო საქმე, მაგრამ რას ვიზამ, არჩევანი არა მაქვს. უსაქმოდ მაინც არ ვიქნები. თამაზ ნადარეიშვილმა სთხოვა გენერალ შუბლაძეს: „თუ საშუალება არის, დაეხმარეთ ამ ბავშვს და აკადემიაში მიიღეთო". როგორც შეუძლიათ — მეხმარებიან.

**— ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან როგორი თხოვნით მიდიხარ?**

— გაგებული მაქვს, რომ ობოლ ბავშვებს, რომელთაც მშობლები ომში დაეღუპნენ, პენსია ენიშნებათ. მე კი მითხრეს, ხუთი წელი უკვე გასულია და აღარ გეკუთვნისო. იქნებ ვაშაკიძემ რამე დახმარება გამიწიოს. თვეში ათი ლარის მეტს არაფერს ვიღებ. საკუთარი ერთი ოთახიც არ გამაჩნია, როდემდე ვიცხოვრო ჯარისკაცებთან?!.

P.S. დიმასთან შეხვედრის შემდეგ საოცრად შემრცხვა ჩემი ყოველდღიური მოთხოვნილებებისა თუ კაპრიზების გამო. . . რაოდენ უსუსური, მარტივი აღმოჩნდა ჩემი საფიქრალი მის საფიქრალთან ...

**ესაუბრა**
**ირმა ურბნელაშვილი**

---

მეოთხე გვერდიდან

## ღმერთმა ნუ ქნას, ლებონი იყოს მართალი!

დისშია უთუოდ).

მართლაც სრული განუკითხაობა სუფევს ჩვენს მასმედიაში უცხო ტერმინების გადმოქართულებისას, სულ ერთია, ეს იქნება ტექნიკური, ტოპონიმი, ეთნონიმი თუ სხვა. როგორც ინდოლოგმა, შემიძლია ვთქვა, რომ ინდოეთთან დაკავშირებული ყველა ტელე თუ საგაზეთო მასალაში ინდური ტერმინების ქართული შესატყვისები, დღესდღეობით (განსაკუთრებით „კვირის პალიტრაში") დამახინჯებული, უზუსტო ფორმით მიეწოდება მკითხველს, რის შესახებ არაერთხელ აღვნიშნე პრესის საშუალებით მრავალი ათეული წლის მანძილზე. მაგალითად, ინდუსი — რუსული კალკაა, უნდა ვწეროთ ჰინდუ, მაშასადამე, სწორია ჰინდუ-მუსულმანთა კონფლიქტი, ასევე სწორია „კაშმირი" და არა „ქაშმირი", „პანჯაბი" და არა "ფენჯაბი" და ა. შ. ქართული „კ"-ს „ქ"-თი გარბილებაზე მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები მაგონდება — ქართული მყიფე ენებს ეკუთვნის და ნუ ვაფრანგულ-ვასპარსულებთო ე. ი. ნუ ვარბილებთ, როცა არ არის საჭიროო. ასევე სამარცხვინოდ იყო დამახინჯებული ინდური ტერმინები სულ ახლახან ქართველი იოგა-თერაპევტის ბ-ნ ა. იაკობაშვილის (სამწუხაროდ, თავად იუბილარიც მეტად უზუსტოდ წარმოთქვამდა) საიუბილეო არხის ტელეგადაცემაში, სადაც დიქტორი რიხიანად წარმოთქვამდა ინდური ტერმინების აბსურდულ ქართულ შესატყვისებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იუბილარის მეტად სასარგებლო წიგნებში, მაგრამ, სამწუხაროდ, უხვად გაფანტული ინდური ტერმინების უზუსტო ქართულ ფორმებს. მსგავსი ფაქტები განსაკუთრებით სატელევიზიო გადაცემებიდან უხვად შეიძლება დასახელდეს, რაც ჩვენი ტელეჟურნალისტების (რა თქმა უნდა, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა) მშობლიური ენისადმი უპატივცემულობასა და დაბალ კვალიფიცურობაზე მეტყველებს, განსაკუთრებულ სიზუსტეს თხოულობს იოგასა და სხვა ინდური ფილოსოფიური ტერმინების გადმოქართულება, რამეთუ ზოგჯერ მის ჟღერადობაშიც ჩადებულია ლოგოსური არსი. ამდენად, ამგვარი ენობრივი დარღვევის მიზეზი ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტის ზნეობრივ-მოქალაქეობრივი შეგნებასთან არის დაკავშირებული, რადგან სენსაციებს დადევნებული მრავალი ჟურნალისტი დღეს ფაქტიურად გაურბის მეცნიერების ინტელექტუალური წრის წარმომადგენელს (რომელთა რიცხვი დიდია საქართველოში). მათი ტელე და საგაზეთო მასალებით მიდის მოსახლეობაში ტოტალური გამოთაყვანება ღირსეული თუ უღირსო პოლიტიკური ინტრიგების შესახებ, რაც შესაბამისი დონის ენობრივ-კულტურულ ატმოსფეროს ქმნის. ისედაც რომ არაფერი ვთქვათ ტელეწამყვანების დიქციასა თუ მეტყველების კულტურაზე, რომელიც ათასჯერ დაბალია იმ „ავადსახსენებელ" პერიოდთან შედარებით. ამ შემთხვევაში ამ პრობლემის მრავალი ქვეტექსტის გახსნისაგან თავს შევიკავებ, რამეთუ ვფიქრობ ქართული ტელევიზიის პრობლემა ერთ დღეს უსათუოდ გახდება საგანგებო მსჯელობის საგანი. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენი ეროვნული ენის — ცნობიერებისა და რწმენის დაცვა, არსებითად არა სიმდიდრეზე ან სიდუხჭირეზეა დამოკიდებული, არამედ ყველა ჩვენგანის ზნეობრივ-მოქალაქეობრივ შეგნებასა და წვრთნაზე ხასიათისა, რომელმაც ჩვენს საუკუნეში ბევრი მანკიერი თვისება შეძინა, ლამის მამა-პაპისეული გენი დაჰკარგა და უცხო სულის მიმბაძველობის ინერციით საქართველო კარგავს ეროვნულ ენასაც და მამულსაც, არადა ცნობილი სოციოლოგ-ფსიქოლოგი გუსტავ ლებონი ამბობს — „ქვეყნად არიან ხალხები, რომელთაც ეროვნული ხასიათი ხელს უშლის, რათა წარმატებას მიაღწიონ პოლიტიკაშიო". ღმერთმა ნუ ქნას მართალი იყოს ლებონი, რადგან ჩვენი სიცოცხლის აზრი მამულის უკვდავებაშია.

**ნიკოლოზ კენჭოშვილი**

ისტორია

# ივერიელთა ერთობის ტრაქტატი

## ეროვნული თანხმობა — ერთადერთი გზა ოცნების საქართველოსაკენ

ივერიელთა ერთობის ტრაქტატი არ შეიძლება მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტად დარჩენილიყო და ათასგვარი ოფიციალური, ყაულგასული საბუთივით ჩაკარგულიყო სხვა დოკუმენტებს შორის.

ის ჩვენი დღევანდელობის გამომხატველიცაა, ჩვენი სწრაფვისა სულიერი ერთიანობის მისაღწევად.

ამიტომაც ორი საუკუნის წინანდელი ტრაქტატი მტკიცედ უნდა ჩაბეჭდილიყო ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, როგორც ანდერძი, როგორც მარადიულ ღირებულებათა ანარეკლი.

ტრაქტატის შესავალი და ექვსივე მუხლი გულმოდგინედაა აწონილ-დაწონილი და დახვეწილი.

ამიტომაცაა ასე დაწურული და ტევადი, ასეთი ზუსტი და ექსპრესიული.

სამწუხაროდ, ის განზრახვა ოცნებად დარჩა, ლამაზ, აღუსრულებელ ოცნებად.

მაგრამ ოცნება იმისაა, რომ ერთხელაც იქნება სინამდვილედ იქცევა.

ღმერთმა ქნას, ეროვნული თანხმობის მიღწევა დღეს მაინც აღარ დარჩეს ამათ განზრახვად.

ვიხსენებთ ისტორიის საბედისწერო ჟამს და იმედით გავყურებთ მომავალს.

1790 წელს შედგენილი თფილისის ტრაქტატი გვაღელვებს თავისი შინაარსით.

გვაღელვებს თავისი გარეგნული სახითაც — დღეს ის უკვე ხელოვნების ნიმუშიცაა და შეგვახსენებს აუცილებლობას, რომ ამ ნიმუშმა ყველა ქართულ ოჯახში დაივანოს, როგორც რელიქვიამ.

შეჰყურებდე და კითხულობდე მას და გჯეროდეს საქართველო.

ეროვნული თანხმობა ერთადერთი გზაა იმ ოცნების საქართველოსაკენ.

ტრაქტატის ფართო საზოგადოების გაცნობის იდეა ეკუთვნის ჟურნალისტ თამაზ ქველაძეს, მაგრამ მარტო იდეა სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებდა ჩვენს მოუწესრიგებელ რეალობაში, თუ არა ფირმა „ომეგას“ კიდევ ერთი თაოსნობა ქართული სულიერების სასიკეთოდ.

ფირმის ხელმძღვანელებმა გამოძებნეს ორიგინალური და შთამბეჭდავი ფორმა ივერიელთა ერთობის ტრაქტატის გასახმაურებლად, ამ ჩანაფიქრს კი, დაგვერწმუნებით, ოსტატურად შეასხა ხორცი მხატვარმა კარლო ფაჩულიამ.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

## ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა

ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა კახეთისა, იმერა, ოდიშისა, და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ გავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის ჰირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელმცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების.

უფლისა იესო ქრისტესა მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილიშვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიის სვიმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა ესრეთ:

### მუხლი პირველი

შევრაცხოთ ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლისა სამეფოსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

### მუხლი მეორე

მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყანისა თქვენისა, და ყოვლისა შემლებისა ჩემისამებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღმდგომად მტერთა თქვენთა.

### მუხლი მესამე

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად მეთა იმერეთისათა ვითარცა მამა საზოგადო მათი.

### მუხლი მეოთხე

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა მალითა, სიტყვითა და საქმითა შემლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

### მუხლი მეხუთე

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარიცა მაქვნდეს შეკრულება. ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბაშად ერთისა უავღუსტესისა კარისათა.

### მუხლი მეექვსე

აღთქმა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობათა თვით მეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა და საზოგადოდ ერთა სჯულვუდებ, საუკუნოდ ერთგვარად შეერთებასა ამას ქვემოისა ივერისა თანადა ვამცნებ ყოველთავე რათა მტკიცედ ებნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამისა ჩემისაებრ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე
დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან
საქართველოს კათალიკოსი ანტონ
ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე






# ამნისტია



შალვა ქოლიაური

## წარსულის გახსენება

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №7)*

წერილი გავშალე და სასწრაფოდ გადავიკითხე, ვერ გეტყვით, კიცამ და ლიხაშერსტოვმა ერთად მოიფიქრეს, თუ ცალ-ცალკე შეიმუშავეს ერთი და იგივე აზრი, ივანეც იმასვე მწერდა: — შენი იმედი მაქვს, რომ ბრიგადა არ ჩაიშლება, ბრიგადირობა იკისრეო. მე რეჟიმის ციხეში მგზავნიან დროებით და თუ ბოლომდე არ გინდა ბრიგადირობა, ჩემთვის მაინც შეინახეო. წერილის დასასრულს მთხოვდა, როგორმე სიგარეტი ან წეკო მეშოვა და შემეგზავნა, როგორც ზემოთაც არაერთგზის მოვიხსენიე, ლიხაშერსტოვთან ძალიან ახლო მეგობრობა მქონდა, ამიტომაც ჩავიქნიე ხელი, რაც მოხდება, მოხდეს-მეთქი და გადავწყვიტე, დავთანხმებულიყავი ბრიგადირობაზე.

საპასუხო ქსივა მივწერე, — ჯანდაბას, რაც არის, არის, ხათრს ვერ გაგიტეხ-მეთქი, ამის შემდეგ გადავქექეთ ჩვენი ეკონომიური სარჩო-საბადებელი, სიგარეტი „სევერი", პაპიროსი „ბელომორკანალი", წეკო, ესენი ბლომად მოვაგროვეთ, მასვე მივუმატეთ ფარდულში ნაყიდი რამდენიმე ცალი თეთრი პური, ლორის ნაჭერი, მაყალოს ჩირი, ერთი კოლოფი ჩაი და კიდევ სხვა რაღაც წვრილმანები, ეს ყველაფერი ჩავაწყვეთ ხელჩანთაში და წერილთან ერთად ჩავაბარეთ კარცერის უფროსს, რომელმაც დაუბრკოლებლად გადასცა ყოველივე ადრესატს და პასუხიც მოგვიტანა მისგან.

მეორე დღეს, სამუშაოდან დაბრუნებულმა ვივახშმე და შემდეგ ვეწვიე კიცას. მისალმებაზე სალმითვე მიპასუხა, თანაც დაჟინებით მომაშტერდა, უნდოდა ულაპარაკოდ ამოეცნო ჩემი გადაწყვეტილება, მერე ორივეს სიცილი აგვივარდა, ბოლოს კი ასე მითხრა:

— ვიცოდი, დამთანხმდებოდი, ან კი რაზე უნდა გეთქვა უარი — აგერ ჩაიკა, დღესაც ყოფილა ლაგერის უფროსთან და კიდევ კარგი, ადგილზე არ დახვედრია, თუმცა ჩვენს უკითხავად არავის დანიშნავდა, მაგრამ...

ტკბილმოუბარი პიროვნება იყო კიცა, განსაკუთრებით გულისხმიერებას იჩენდა პატიმრების მიმართ, თუმცა დღეს უფრო კეთილი მეჩვენა, არ მომეშვა, სანამ არ დამსვა. მერე გამიბა საუბარი ჯერ ბრიგადირის მოვალეობაზე, მერე ოჯახური ამბები გამომკითხა. ოჯახის ხსენებამ, ცოტა არ იყოს, დამანაღვლიანა, რაც კიცას არ გამორჩენია და ასე მითხრა: — ნუ გეშინია, ჯერ ერთი, დიდი სასჯელი აღარა გაქვს დარჩენილი, მეორეც კიდევ ის, რომ მოსალოდნელია, სტალინის გარდაცვალებას დიდი ამნისტია მოყვეს. მოგცემენ თავისუფალი მოქალაქის პასპორტს და სამ-ოთხ დღეში შენს მზიურ საქართველოში ამოყოფ თავს. ეხ, ალბათ, ერთ თვეს არც კი გამოგაფხიზლებენ და სულ სასმელში გაბანავებენ დღე და ღამე. ერთ კვირაში გადაგავიწყდება კიდეც სუხობეზვოდნის, უნჟლაგის ბალანდა. ხო მართლა, თუ იცი, რატომ ჰქვია პატიმრის ულუფა კერძს ბალანდა? მოულოდნელად შემეკითხა იგი. — არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.

— ჰო, ეგ კი სირცხვილია, რომ აქამდე არ გცოდნია, — მითხრა კიცამ და წამოიწყო: — 37-იან წლებში აქ, ტაიგაში პირველად შემოსახლდნენ „ტროცკისტი" პატიმრები, ცხადია, ათასგვარი გაჭირვება და უბედურება ხვდათ წილად და რაღა თქმა უნდა, შიმშილობაც, რაც ყველაზე დიდი საშინელებაა ადამიანისათვის. იმ დროს ერთ-ერთ ლაგერში მზარეულად ყოფილა ვინმე ბალანდირი. ეს არამზადა თურმე პატიმრის კუთვნილ ულუფას იპარავდა და „ასუხარებდა". შიმშილითა და სხვა უბედურებით გაწამებულმა პატიმრებმა ველარ აიტანეს ბალანდირის თავხედობა და ერთ დღეს ადუღებულ სუპში, დიდ ქვაბში ჩააგდეს და შიგვე მოხარშეს. ამის შემდეგ შეარქვეს პატიმრის ულუფა კერძს ბალანდა. — დაასრულა კიცამ.

— საინტერესო ამბავია, მაგრამ აქ, ჩუმას ბრიგადასაც ხომ ჩაუგდია ორი მზარეული სუპიან ქვაბებში, რატომ მათი გვარები არ შემორჩა ჩვენს რომელიმე ულუფას? — ვიკითხე მე.

— ჯერ ერთი, ისინი ცოცხლები გადარჩნენ და მეორეც ის, რომ ათასჯერ ხომ არ შეიცვლება ულუფის სახელწოდება, — მომიგო კიცამ.

ასე ვიმუსაიფეთ კარგა ხანს, გავიხსენეთ ჩუმას უიღბლო ბედიც და უკვე საკმაოდ შეღამებული იყო, კიცას რომ დავემშვიდობე და ამნისტიის იმედით ფრთაშესხმულმა სწრაფად მივირბინე ბარაკში.

ბრიგადირად ჩემს არჩევას ყველა კარგი განწყობილებით შეხვდა, გარდა სამი კაცისა: ჩაიკა, რომელიც თვითონ ეპოტინებოდა ბრიგადირობას, და ორნიც სხვები, — ეროვნებით სომხები, მათ მეორე დღესვე წამოიწყეს რაღაც ბუნტის მაგვარი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და გაჩერდნენ, რამდენიმე დღეში კი სხვა ბრიგადებში გადავიდნენ. არც მიცდია მათი დაბრუნება, პირიქით, თვითონ გამოვუცხადე მთელ ბრიგადას, თუ კიდევ ვინმეს გსურთ წასვლა, მე თვითონ ვთხოვ უფროსობას, თქვენს გადაყვანას-მეთქი.

ბრიგადიდან წასვლის მსურველი სხვა აღარავინ აღმოჩნდა და ჩვენი შრომითი საქმიანობაც ჩვეულებრივი გზით წარიმართა. მაგრამ ვერა და ვერ ვიტანდი უმუშევრობას, ხან ხერხი მეჭირა ხელში, ხან შეშის საპობი. ზოგჯერ კიცა, ან რომელიმე ხე-ტყის მიმღები შემომივლიდა, შემოვუსხდებოდით კოცონს და საუბრით ვიჯერებდით გულს. ასე გადიოდა დრო და აი, გათენდა 1953 წლის 27 მარტი.

იმ დილას რატომღაც რადიო არ ლაპარაკობდა. ასე რომ, დილით არავითარი ახალი ამბავი არ ვიცოდით.

საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულებმა ვივახშმეთ და ბარაკებს მივაშურეთ, ყველანი ჩვენ-ჩვენი საქმით ვიყავით გართული, ზოგი ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობდით, ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგი „კიშბეშს" (ეს თამაში მაშინ ახლად გამოგონებული ჰქონდათ პატიმრებს).

და აი, მოსკოვის დროით 21 საათზე, სრულიად მოულოდნელად, რადიომ გადმოსცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. ბრძანებულების ტექსტი საკმაოდ ვრცელი იყო, მაგრამ მთავარი, რაც ჩემი ყურით გავიგონე, ის იყო, რომ ამნისტია ეხებოდა ყველას, ვისაც კი ხუთ წლამდე სასჯელი ჰქონდა.

ენით აუწერელია ის სიხარული, რომელიც ამნისტიის გამოცხადებამ გამოიწვია პატიმრებში. ვიცინოდით, ვტიროდით, ვეხვეოდით, ვკოცნიდით ერთიმეორეს. ზოგი კედელს ახლიდა თავს, ეგებ სიზმარია და ცხადი არც არისო. ზოგნი გარეთ გარბოდნენ, ყვიროდნენ და ისევ შემორბოდნენ ბარაკებში და აქაც ყვიროდნენ: გაუმარჯოს ვოროშილოვს; გაუმარჯოს პეგოვს! — გაუმარჯოს მათს ადამიანობას და სხვა ათასგვარი შეძახილები. ზოგნი მეორედ დაბადებას უწოდებდნენ ამნისტიის გამოცხადებას, მაგრამ რის მეორედ დაბადება? ან პირველად დაბადებულმა რა იცის თავისუფლების შესახებ. პატიმრისათვის პირველიც ეს ყოფილა და მთავარიც. ამაზე მეტი სიხარულის განცდა, ალბათ, არ შეუძლია ადამიანს, ცხოვრების რაგინდ მაღალ საფეხურზეც მოექცეს.

ჰოი, ღმერთო, ნეტავ თუ მართლა ცხადია ყოველივე ეს და არა სიზმარი.

არა, სანამ გაზეთს არ წავიკითხავ, მანამ არ დავრწმუნდები ამნისტიის სინამდვილეში.

ის ღამე ყველამ ასეთ ბორგვაში სულ უძილოდ გავატარეთ.

28 მარტს, საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებულებს ვახშამი არავის გაგვხსენებია, ბარაკებში შევცვივდით და მორიგეებთან ჩვენ-ჩვენი გაზეთები (რაც გამოწერილი გვქონდა) დავიტაცეთ. მე გაზეთი „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე" და ჟურნალი „ნაუკა ი ტეხნიკა" მქონდა გამოწერილი.

როგორც კი გაზეთი გავშალე, პირველივე გვერდზე, დაბლა მარცხენა კუთხეში შევნიშნე ჩვენთვის ესოდენ სანუკვარი ბრძანებულება ამნისტიის შესახებ. მაგრამ მეტისმეტმა განცდამ და სიხარულმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ უცებ ვერ შევძელი მისი წაკითხვა და თითქოს ადგილსაც ვერ ვპოულობდი საიმისოდ, რომ წამეკითხა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვერიე ნერვებს, ნარზე ჩამოვჯექი და როგორღაც მშვიდად წავიკითხე ბრძანებულების მთლიანი ტექსტი, რომლის შინაარსიც ასეთი იყო:

(მომყავს ქართული თარგმანით)

„ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამნისტიის შესახებ

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების, მოქალაქეთა შეგნებულობის ზრდის, თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისადმი, მათი პატიოსნური დამოკიდებულების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდა კანონიერება და სოციალისტური უფლებრივი წყობილება, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ამ პირობებში საჭირო აღარ არის კვლავ პატიმრობაში იყვნენ ის პირნი, რომელთაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ დაუბრუნდნენ პატიოსან შრომით ცხოვრებას და საზოგადოების სასარგებლო წევრები გახდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან პატიმრობისაგან და სასჯელის სხვა ზომისაგან, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთაე, მსჯავრდებულნი 5 წლამდე ვადის ჩათვლით.

2. განთავისუფლებულ იქნან პატიმრობისაგან, მიუხედავად სასჯელის ვადისა, მსჯავრდებულნი თანამდებობრივი და მეურნეობრივი დანაშაულისათვის, აგრეთვე სამხედრო დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: 193-4 პუნქტი „ა", 193-8, 193-10, 193-10 „ა", 193-14 (ჩემი სასჯელის მუხლი არ არის მითითებული 193-12 „ა" შ.ქ.), 193-15, 193-16 და 193-17 „ა" და სხვა მოკავშირნე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

3. განთავისუფლებულ იქნან პატიმრობისაგან, მიუხედავად სასჯელის ვადისა, მსჯავრდებულნი: ქალები, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის შვილები, და ორსული ქალები, არასრულწლოვანნი 18 წლის ასაკამდე, 55 წლისაზე მეტი ხნის მამაკაცები და 50 წლისაზე მეტი ხნის ქალები, აგრეთვე მსჯავრდებულნი, რომელნიც შეპყრობილნი არიან მძიმე, უკურნებელი სენით.

4. სანახევროდ შეუმცირდეთ სასჯელის ვადა იმათ, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით.

5. წარმოებით შეწყდეს ყველა გამოსაძიებელი საქმე და სასამართლოს მიერ განუხილველი საქმეები ამ ბრძანებულების გამოცემამდე ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ.

ა) რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით 5 წლის ვადამდე, ან სასჯელის სხვა ზომები, რომლებიც დაკავშირებული არ არის პატიმრობასთან.

ბ) თანამდებობრივ მეურნეობრივ და სამხედრო დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც — ჩამოთვლილია ამ ბრძანებულების მე-2 მუხლში.

გ) იმ დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც ჩადენილია ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ პირთაგან.

სხვა საქმეებზე იმ დანაშაულობათა შესახებ, რაც ჩადენილია ამ ბრძანებულების გამოცემამდე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელიწადზე მეტი ვადით, სასამართლო თუ საჭიროდ ცნობს, აირჩიოს სასჯელის ზომა თავისუფლების აღკვეთის სახით 5 წელზე მეტი ვადით, — სასჯელის ვადას სანახევროდ ამცირებს.

6. მოეხსნათ ნასამართლობა და საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა იმ მოქალაქეებს, რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ წინათ და მოიხადეს სასჯელი ანდა ვადამდე განთავისუფლებული იქნენ სასჯელისაგან ამ ბრძანებულების საფუძველზე.

7. ამნისტია გამოყენებულ არ იქნას იმ პირთა მიმართ, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან 5 წელზე მეტი ვადით, კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის, სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით დატაცებისათვის, ბანდიტიზმისა და განზრახ მკვლელობისათვის.

8. საჭიროდ იქნას მიჩნეული სსრ კავშირისა და მოკავშირე რსპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვა, მიღებულია რა მხედველობაში ის, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგიერთი თანამდებობრივი, მეურნეობრივი, ყოფაცხოვრებითი და სხვა ნაკლებსაშიში დანაშაულისათვის შეიცვალოს ადმინისტრაციული და დისციპლინარული სახის ზომებით, აგრეთვე შემსუბუქებულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცალკეულ დანაშაულობათათვის.

დაევალოს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სათანადო წინადადებანი და შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განსახილველად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარსადგენად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

კ.ე. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი, 27 მარტი 1953 წელი.

გაზეთი „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე", № 14-16488

შაბათი 28-3-1953 წელი.

რამდენჯერმე წავიკითხე ბრძანებულების ის ადგილი, რომელიც მე მეხებოდა, — „განთავისუფლდეს ყველა ხუთ წლამდე ჩათვლით", ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მეც ნამდვილად თავისუფალი ვარ, ვაშა! — მე მართლა თავისუფალი ვარ, გიჟივით ავღრიალდი და აფრიალებული გაზეთით ხელში ბარაკიდან გარეთ გამოვვარდი. სხვებიც ჩემსავით, შეშლილებივით ხტოდნენ, იცინოდნენ, ტიროდნენ, გორაობდნენ თოვლში და სხვა.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც არ იზიარებდნენ ჩვენს სიხარულსა და აღტაცებას. ის პატიმრები, ვისაც ამნისტია არ ეხებოდა, ზოგს კი ეხებოდა, მაგრამ არ იცოდნენ, სად წასულიყვნენ, განთავისუფლების შემდეგ უსახლკარონი და უპატრონონი.

ბრძანებულება ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ გადავიკითხე და რაც უფრო ვუკვირდებოდი მის ტექსტს, მით უფრო მიტანდა შიშის განცდა იმის გამო, რომ იქ ჩემი მუხლი არ იყო მითითებული.

ღმერთო ჩემო, ეს რას ნიშნავს, ნუთუ არ შემეხება ამნისტია, მაგრამ იქ ხომ სწერია, ხუთ წლამდე ყველა განთავისუფლდესო, როგორ გავიგო, შემეხება თუ არა? აი, ასეთმა მტანჯველმა ფიქრმა შემიპყრო და მოსვენებას ველარ ვპოულობდი, ბოლოს გულმა აღარ მომითმინა და მაჩალკინთან წავედი, გულს გადავაყოლებ-მეთქი. თორემ ასეთ დღეში მყოფი შეიძლება ჭკუაზე შევშლილიყავი. ბედად, ბარაკში დამხვდა, გაღიმებული მომეგება, დიდის ამბით მომილოცა კარსმომდგარი თავისუფლება (თვითონ 25 წელი ჰქონდა მისჯილი და ამნისტია არ ეხებოდა). ყველაფერი ვუთხარი, რაც მეეჭვებოდა. ჩემმა ნაამბობმა ისიც ჩააფიქრა, გამომართვა ჩემი გაზეთი და ხელახლად გადაიკითხა.

— მდა, — თქვა ბოლოს, — მართლაც ბუნდოვანია და როგორ ამოვხსნათ ეგ საიდუმლო? მოდი, სპეცნაწილში წავიდეთ და ვკითხოთ, მაგათ უფრო ეცოდინებათ და სისწორეს გვეტყვიან, — მითხრა მაჩალკინმა, მეც ჭკუაში დამიჯდა მისი რჩევა და ორივენი ადმინისტრაციის შენობისაკენ გავეშურეთ, გული საგულეში აღარ მეტეოდა, ბრძანებულებაში მოცემული შინაარსის მიხედვით, წალმაც შეიძლებოდა მსჯელობა და უკულმაც.

აი, ამის გასარკვევად მივადექით მე და მაჩალკინი სპეცნაწილის კაბინეტს, კარი ხშირად იღებოდა, ზოგი შედიოდა, ზოგი გამოდიოდა, ყველას რაღაც ჰქონდა გასარკვევი. ამნისტიამდე ჯერ არავის ენახა, რომ სპეცნაწილის უფროსს ვინმესთვის გაეღიმოს, ახლა კი ძალაუნებურად თითქმის ყველას ღიმილით ელაპარაკებოდა. მე და მაჩალკინს ხელიც ჩამოგვართვა, შინაურულად მოგვიკითხა და რაზე შეწუხებულხართო — გვკითხა. ჩემი სათქმელი მაჩალკინმა დაიწყო:

— შალვა ალექსანდროვიჩი თქვენთვისაც და ჩვენთვისაც საყვარელი ახალგაზრდაა, თან დღეს ჩვენი სტუმარია, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ მზიურ საქართველოში დაბრუნებულს, ცუდი წარმოდგენა არ გაჰყვეს ჩვენზე, ამიტომ, როგორც იმსახურებს ან როგორც შეგვიძლია, ისე გავუწიოთ დახმარება.

— სწორი ბრძანებაა, — კვერი დაუკრა მაჩალკინს სპეცნაწილის უფროსმა, — ხომ შეიძლება ოდესღაც მაგასთან მოვხვდეთ საქართველოში, ამიტომ ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც კეთილად მოსაგონარი ჩვენზე, მაგრამ რა დახმარება სჭირდება და რა საკითხთან დაკავშირებით ხართ მოსული, ვერ გამიგია, — თქვა „სპეცმა" და კითხვის თვალებით მოგვაცქერდა ორივეს.

— აი, ივან ნიკალაევიჩ, აქ წერია, რომ ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლებულ იქნეს ყველა პატიმარი ხუთ წლამდე ვადის ჩათვლით, შალვას კი ხუთი წელი აქვს მისჯილი, არის თუ არა ასპროცენტიანი იმედი, რომ იგი ნამდვილად განთავისუფლდება? — ჰკითხა მაჩალკინმა და პასუხის მოლოდინში ორივენი გავინაბეთ.

— რა თქმა უნდა, განთავისუფლდება, — წამოიწყო „სპეცმა", — ან რა არის მანდ გაურკვეველი და საეჭვო, — მერე მე მომიბრუნდა: — ასე ჩათვალეთ, რომ როგორც გინდა გაჭიანურდეს განთავისუფლების დრო, პირველი მაისისთვის მაინც იქნებით თქვენს სამშობლოში.

— კი, მაგრამ მე ხომ გასამართლებული ვარ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193-12 „ა" მუხლით, მაგ ბრძანებულებაში კი წერია, რომ ამ მუხლით გასამართლებულს ამნისტია არ შეეფარდოსო, — ვუთხარი დაბოღმილმა.

შეცბუნებულმა „სპეცმა" ბრძანებულება ხელახლა ჩაიკითხა, მერე ჩაფიქრებულმა შემოგვხედა და ასე გვითხრა: — მართლაც გაურკვეველი ამბავია, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, რომ ხუთწლიანებს მუხლების მიხედვით აღარ გადაარჩევენ, ჩვენც ზოგ რამეში ვერ ვერკვევით, ამიტომ საკომენდატო ლაგერის უფროსობამ უნდა გვიხელმძღვანელოს ხალხის განთავისუფლების საკითხში. ისინი წინა დღეს გადმოგვცემენ ხოლმე იმ პირების სიას, ვინც მეორე დღეს უნდა გავათავისუფლოთ, ჩვენც გავაფრთხილებთ სიაში აღნიშნულ პირთ, რომ იმავე საღამოს მოასწრონ ჩასაბარების ჩაბარება და მეორე დილისათვის ხელთ ჰქონდეთ შევსებული შემოვლის ფურცელი. ვნახოთ, დაველოდოთ, რატომღაც მჯერა, რომ ხუთწლიანებს ყველას გაათავისუფლებენ მუხლების მიუხედავად.

ასე მცირე იმედმოცემულები დავემშვიდობეთ „სპეცს" და ჩვენ-ჩვენს ბარაკებში დავბრუნდით.

*(გაგრძელება იქნება)*

# 1924 წლის რაჭის შეთქმულება

**1924 წელს ქ. ონში დახვრეტილი რაჭის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ტერენტი ბოჭორიშვილის ქალიშვილის, ნაზი ტერენტის ასული ბოჭორიშვილის მოგონებები**

ისტორია გაარჩევს კეთილსა და ბოროტს, — ბრძანებს ვახუშტი ბაგრატიონი. ზოგჯერ ეს გარჩევა საუკუნეებს მოითხოვს, ზოგჯერ კი მოკლე დროში გამოაჩენს ჭეშმარიტებას და საცნაურ ჰყოფს სიყალბეს.

მეოცე საუკუნის საქართველო დიდი და მძიმე პოლიტიკური ქარტეხილებით ხასიათდება. მე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ამ პერიოდის ისტორიულ ექსკურსს, ეს სრულებითაც არ შედის ჩემს კომპეტენციაში, მაგრამ როგორც მსხვერპლი 1924 წლებში საქართველოში მომხდარი განუკითხაობისა, უფლებას ვიტოვებ საზოგადოებას ვამცნო ის, რაც დედის, ბაბუისა და ახლობელთა გადმოცემით ვიცი.

მამაჩემი ინტელიგენციის ფენას განეკუთვნებოდა. მისი მამა, ერასტი ბოჭორიშვილი, მღვდელი იყო. ღვთისადმი სამსახური ჩემი წინაპრებისა ადრინდელ საუკუნეებში იღებს სათავეს. მამაჩემის დედა, ალექსანდრა, დიდი სეით ჭიჭინაძის ასული იყო. ვერ გეტყვით, ჩემმა დიდმა ბაბუამ საიდან მიიღო თიკუნი დიდი, მაგრამ როგორც ჩანს, მან ეს რაღაცით დაიმსახურა. ალექსანდრა მაშინდელი დროისათვის კარგად აღზრდილი ქალი ყოფილა, ბრწყინვალედ იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა, აგრეთვე კარგად ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს. შვილებს პირველდაწყებითი სწავლა დედისაგან მიუღიათ. საუბედუროდ, იგი მალე გარდაიცვალა (მამა მაშინ გიმნაზიის მეორე კურსის სტუდენტი ყოფილა). მღვდელს უფლება არ ჰქონდა მეორედ ქორწინების და თქვენ თავად მიხვდებით, რა მძიმე უღელია მამისათვის ექვსი შვილის აღზრდა. ბაბუას ამ მძიმე მოვალეობისათვის თავი კარგად გაურთმევია და შვილებისათვის კარგი განათლება მიუცია. მამას დამთავრებული ჰქონდა ესტონეთის იურიევის უნივერსიტეტი. საქართველოში დაბრუნებისთანავე მას რაჭის სწავლა-განათლების საქმისათვის მოუკიდია ხელი. იგი ონში განაგებდა განათლების საქმეს. 1918 წელს დაოჯახებულა კიდეც. მეუღლე ტერენტი ბოჭორიშვილისა გახლდათ სეფორა სილიბისტროს ასული ფონჯავიძე. მეუღლის წინაპრებიც სასულიერო წოდებას მიეკუთვნებოდნენ. სილიბისტრო ბარაკონის ეკლესიის მღვდელი იყო. როცა ეკლესიებს სატანა დაეპატრონა, ბაბუა გულის შეტევით გარდაიცვალა.

დედას ორი ძმა ჰყავდა: ერთი ძმა, იოსები, კოჯორში დაიღუპა რუსეთთან შეტაკების დროს, მეორე — იონა ფონჯაძე, მამასთან ერთად დაატყვევეს. მართალია, იგი დახვრეტას გადარჩა, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე რეპრესირებული იყო.

დედა იხსენებდა, როგორ დაიწყო შეთქმულებისათვის მზადება: ერთ დღეს ჩვენს სახლში თავი მოიყარეს რაჭა-ლეჩხუმის საუკეთესო შვილებმა. დედას ყველას კარგად ახსოვდა, მაგრამ მე ზოგი რამ გადმომცა. ლეჩხუმიდან იყო ვინმე გარდაფხაძე (რომელიც შემდგომში დახვრეტილ იქნა), ასათიანი და ერთი ქალი, რომლის გვარიც არ მახსოვს. რაჭიდან იყვნენ მღვდელი თევდორე საგანელიძე, კაპანაძე და გელაშვილი, აქედან ერთ-ერთი თბილისიდან ჩამოსული მოღვაწე იყო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მამა იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეკუთვნოდა ამ პარტიას. „საიდუმლო სერობას“ დედაც ესწრებოდა. [illegible] საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა [illegible] კომუნისტური რეჟიმის [illegible]. ამ [illegible] მზადდებოდა შეთქმულება მთელ საქართველოში. [illegible] რაჭა-ლეჩხუმის მონაწილეობა ამ შეთქმულებაში. შეთქმულთა ლიდერებად [illegible] გარდაფხაძე და [illegible], ხოლო რაჭის შეთქმულების ხელმძღვანელები იყვნენ კი — მღვდელი თევდორე საგანელიძე და ტერენტი ბოჭორიშვილი.

როგორც დედა იტყოდა, შეთქმულება [illegible] ... [illegible] შეთქმულების ყველა მონაწილე. [illegible] სოფლებში, ყველანი ციხეში აღმოჩნდნენ, მაგრამ ჩემი რაჭველები [illegible] არ მიიჩნეოდა, აქედან გამომდინარე, [illegible] იმერეთის შეთქმულთა მსგავსად, ვაგონებში [illegible] ქართველ კომუნისტთა მიერ. გადარჩნენ ჩემი სათაყვანებელი რაჭველები. სამაგიეროდ, დახვრიტეს ხელმძღვანელები, რამეთუ არა ჰქონდათ უფლება სამშობლოს სიყვარულისა. დახვრიტეს მღვდელი თევდორე საგანელიძე, სახელოვანი სეხნია მღვდელი თევდორესი, დედა იტყოდა, ეს კაცი ღვთიური ქმნილება იყო, როგორც გარეგნობით, ისე სულიერებით. უყვარდა თავისი ქვეყანა სიცოცხლეზე მეტად, [illegible] შესწირა იგი სამშობლოს. მასთან ერთად დახვრიტეს [illegible] ტერენტი ბოჭორიშვილი, გელაშვილი და კაპანაძე.

ჩემს დედას ქმრის გარდაცვალებიდან [illegible] ვაჟიშვილი შეეძინა. მასაც ტერენტი დაარქვეს. [illegible] ბაბუა და ბიძები, რომლებიც [illegible], რომ ბავშვებს არაფერი მოკლებოდათ.

გადიოდა დრო, ჩვენ ვიზრდებოდით, არ გაუშვა მარჯვენა მამაჩემის [illegible]. მე და ჩემმა ძმამ [illegible] ბაბუას, რას ნიშნავდა ეს. მანაც ყველაფერი აგვიხსნა და ჩვენთვის გასაგები გახდა, თუ ვინ იყვნენ [illegible] მკაცრი სახის მამაკაცები, რომლებიც დრო და დრო შემოდიოდნენ [illegible] და გვაწიოკებდნენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მათგანი დაპატიმრებული იქნა 1937 წელს.

ერთ დღეს დედამ მამის საფლავზე [illegible] დრო გადიოდა, მაგრამ [illegible] მამის საფლავზე არ წაგვიყვანა, ჩვენ


ბ.[illegible]

30 [illegible] 19[illegible] წ.

ც ნ ო ბ ა

მოქ.ტერენტი ერასტის-ძე ბოჭორიშვილი დაბ.1896წ. ს.ჯვარისაში, რომელიც დახვრეტილი იქნა 1924წ. საქართველოს სსრ [illegible] 1924წ. აგვისტოს [illegible] საქართველოს [illegible] 1994წ. 25 მაისის [illegible] რეაბილიტირებულია.

განყოფილების უფროსი — ი.მირონოვი

ვიზრდებოდით არა მარტო ნათესავების წყალობით, არამედ მთელი ჩემი საყვარელი სოფლის, ჯვარისას სიყვარულით და მზრუნველობით გარემოცულნი. დედაჩემს გვერდით უდგნენ ვახტანგაძეები, წერეთლები, ავალიანები, ცუცხაშვილები, ბაქრაძეები, დაშნიანები, ტურძილაძეები, ხოლო ჩემი ბოჭორიშვილები თავს ვალდებულად თვლიდნენ ჩვენთვის მშობლიური სიყვარული არ მოეკლოთ.

გადიოდა დრო. ჩვენ ვიზრდებოდით არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. ჩვენი სულიერი მოძღვარი ხომ ჩვენი ბაბუა იყო. მთელი დრო ბიბლიას და სახარებას გვასწავლიდა, ხოლო დავითნი ზეპირად უნდა გვცოდნოდა.

როგორც ოჯახში, ისე სხვაგან, გვეუბნებოდნენ, რომ მამა ტიფით გარდაიცვალა, მაგრამ როდესაც სასკოლო ასაკისა გავხდით, რამდენჯერმე მოვკარით ყური ასეთ ფრაზებს: ვაი, შვილებო, რატომ თვითონვე წავიდოდით ქალაქ ონში, სადაც მამის საფლავი გვეგულებოდა. მაშინ დედა იძულებული გახდა ჩვენთვის ასეთი რამ მოეთხრო: მამა და მისი თანამოაზრეები ონში ხიდის ქვეშ დახვრიტეს და მიცვალებულები იქვე დატოვეს. ბაბუამ ჩვენი ოჯახის მეგობარი, ნიკალა ტურძილაძე, გაგზავნა ონში, რათა ყველაფერი თავისი თვალით ენახა და ბაბუასთვის ამბავი მოეტანა. ბატონმა ნიკალამ ასეთი ამბავი ჩამოუტანა ბაბუას: დახვრეტილები ოთხივენი რიყეზე ყრიან და არავინ აპირებს მათ დაკრძალვასო. მაშინ შეკრებილან მეზობლები: აბიბო და გაბო ბოჭორიშვილები, ბენედიქტე და ბაბულა წერეთლები, ბაგრატ ვახტანგაძე და, რა თქმა უნდა, ნიკალა ტურძილაძე. ღამით გაუმზადებიათ ურემი, მასზე დაუმაგრებიათ ჩელტი, შიგ თივა ჩაუფენიათ და გაბო და ნიკალა ღამით გამგზავრებულან ონში. ონთან ახლოს ურემს მილიცია დახვედრია და დამუქრებიან, თუ ახლავე უკან არ გაბრუნდებით, ჩვენც მაგ მავნებლების გვერდზე მიგაწვენთო. ნიკალა მაინც გაბრუნებულა უკან ფეხით და რამდენიმე დღე ჩუმად უყურებდა, თუ როგორ ჯიჯგნიდნენ წმინდანების სხეულს ფრინველები. შემდეგ მდინარე ადიდებულა და გვამები გამქრალან.

ჩემო საყვარელო გაზეთის მკითხველებო! ის, რაც მეხსიერებაში და სულში დევს, ისე ბევრი და დიდია... რომ მას არა მარტო ერთი საგაზეთო სტატია, ათასობით თაბახიც ვერ დაიტევს. 1924 წელს მომხდარი დანაშაულობანი ხომ „ათასი ფუთი ბრალდებაა“.

აქ წყდება ჩემი მცირე მოგონება მამაზე. მონათხრობს უკვდავი გოეთეს გახმაურებული ფრაზით ვამთავრებ; ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია, იგი ყველა დროში ცოცხლობს.

**P.S.** გაზეთის მკითხველებს, ბუნებრივია, დაებადებათ კითხვა: სად ცხოვრობენ ამჟამად ტერენტი ბოჭორიშვილის შთამომავლები?

მე, ნაზი ბოჭორიშვილმა, დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგის სპეციალობით, გავთხოვდი და შევქმენი კარგი ქართული ოჯახი გრიგოლ გოლუბიანთან. იგი მედიცინის მუშაკი იყო, კარგი ქართველი და კარგი მამულიშვილი. გარდაიცვალა ოთხი წლის წინ, ხოლო მისი უფროსი ვაჟი — ვლადიმერი, სამი წლის წინ გარდაიცვალა (იგი მოსკოვში მოღვაწეობდა). უმცროსი შვილი, დიმიტრი, სპეციალობით ექიმი, ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში, მას ორი შვილი ჰყავს.

ტერენტის ვაჟიშვილი, ისიც ტერენტი, სამამულო ომის მონაწილე იყო. ტყვეობიდან დაბრუნდა საქართველოში და სწავლა გააგრძელა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მაშინ ქართველ სპეციალისტებს გზავნიდნენ ორი წლით რუსეთში. მასაც შეეხო ეს კანონი და ტერენტი გაგზავნილ იქნა ლენინგრადში შინაგან საქმეთა საავადმყოფოში.

1954 წელს იგი დანიშნეს ახალქალაქში აფთიაქის გამგედ. ახალქალაქში საუკეთესო ქართველი პატრიოტები მოღვაწეობდნენ. მოხდა ისე, რომ ახალქალაქიდან ბევრი ქართველი გადმოიყვანეს თბილისში ან სხვა რაიონებში, რომლებიც შემდეგ დაპატიმრებული, ან ფიზიკურად განადგურებულ იქნენ. მათ შორის მოხვდა ჩემი ძმაც. ამბობდნენ, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება იყოო: ვინ იცის, მატიანე ჯერჯერობით დუმს.

უმცროსი ტერენტის ოჯახი ამჟამად რუსთავში ცხოვრობს. მისი შვილი, თამაზი და მისი სამი შვილიშვილი, აგრძელებენ სახელოვანი წინაპრის გვარს.

გამოხმაურება

# დიახ, ეს ყველამ უნდა იცოდეს!

## (პასუხი მ. კეშელავას წერილზე „წმინდანებსაც დაცვა სჭირდებათ?!“)

დავიწყოთ იმით, რაც ხაზგასმით აღნიშვნას საჭიროებს: ჩვენს მიერ გამოშვებული „ისტორიული კალენდარი“ არ წარმოადგენს არც საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებების კიდევ ერთხელ გამეორებას და არც ჩვენს მიერ მიკვლეული და გამომზეურებული სრულიად უცნობი ფაქტების პუბლიკაციას. არა! კალენდარში თავმოყრილი ინფორმაცია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დონით ყოველთვის ცნობილი იყო საქართველოსა და კავკასიის ისტორიის სპეციალისტებისათვის, მაგრამ ეს ინფორმაცია პოლიტიკური მიზეზების გამო იკრძალებოდა და ვერასოდეს ვერ აღწევდა ხალხთა ფართო მასებამდე.

შედეგად ის მივიღეთ, რომ საქართველოს ისტორიის ოფიციოზური ცოდნა საკმაოდ შეცვლილი, ცალმხრივი და ზოგ შემთხვევაში კი მთლიანად დამახინჯებული იყო.

თავის მხრივ, ნებისმიერი კალენდარი ფართო მოხმარებისაა და სწორედ ამან გამოიწვია ჩვენს მიერ საჭიროდ მიჩნეული ისტორიული თემატიკის კალენდარის ჩარჩოებში განთავსება. ბუნებრივია, რომ საქართველოს ისტორია საკალენდრო თორმეტ ფურცელში ვერ ჩაეტეოდა და ამის გამო, მოწოდებული ინფორმაცია საქართველოს ისტორიის სისტემატურ კურსს კი არ შეიცავს, არამედ იგი უაღრესად ფრაგმენტულია, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ იმ ფაქტებზე, რომლებიც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართული სამეცნიერო ისტორიული სკოლის ჩამოყალიბების პროცესში ი. ჭავჭავაძე უჩიოდა ქართული საისტორიო მწერლობის ცალმხრივობას („ჩვენი ისტორია მეფეების ისტორიაა, ხალხი არა ჩანს მასში, ხალხი“-ო), მაგრამ მისი ეს თვალსაზრისი არასწორი იყო: „ქართლის ცხოვრება“ საკმაოდ მრავალ ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, თუ საქართველოს სახელმწიფოში მეფის ხელისუფლების გარდა, რა ინსტიტუტები არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი გახლდათ „დარბაზის ერი“, რომელიც აქტიურად ზღუდავდა და აკონტროლებდა მეფის მოქმედებას. მისი არსებობა ქართული სახელმწიფოს ღირსებას წარმოადგენდა და მე მიმაჩნია, რომ ეს ყველამ უნდა იცოდეს! მართალია, ჩვენ არაფერი გვითქვამს არც დიდგორის ბრძოლაზე და არც დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელ რიგ ღონისძიებებზე, მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ დასახელებული საკითხები ელემენტარული ცოდნის დიაპაზონში თავსდება და სკოლის მერხიდან ყველამ კარგად იცის. სამაგიეროდ, ნაკლებად იციან ის ფაქტი, რომ **დავითი**, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის **აღმაშენებელი** გახდებოდა, სამეფო ტახტზე მამის სიცოცხლეშივე „დარბაზის ერმა“ აიყვანა. ისტორიკოსისათვის კი ეს იმის მაჩვენებელია, რომ მეფის ხელისუფლებასთან ერთად არსებობდა **დარბაზის ერი**, რომლის გადაწყვეტილებას გაცილებით დიდი ძალა ჰქონდა, ვიდრე ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის კანონს. კვლავ ვიმეორებ, რომ ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე, საქართველოში **არსებობდა ხალხი** და რაც მთავარია, **არსებობდა სახელმწიფო ინსტიტუტი**, რომელიც მტკიცედ და განუხრელად ატარებდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას მთელი კავკასიის მასშტაბით და საბედნიეროდ, ეს პოლიტიკა მთელი კავკასიელი ხალხის მხარდაჭერას ჰპოვებდა. აი, ეს უნდა იცოდეს ყველამ!

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ძლიერად იგრძნობა ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარება. ამის უშუალო შედეგია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი აჯანყებები, რომლებიც მიუხედავად კონკრეტული შედეგისა, ფართო მასშტაბით მაინც იწვევდა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ეხებოდა რა თამარის მეფობის ეპოქას, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებმა გადასწყვიტეს, რომ მათ უკვე დრო დაუდგათ და წინანდელი უპირატესობის დასაბრუნებლად სრული საშუალება მიეცათ“. თამარის მიერ ფეოდალთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ივ. ჯავახიშვილს შემდეგნაირად აქვს შეფასებული: **„ეს საქართველოს მეფის დიდი მარცხი იყო. მეტის თქმაც შეიძლება: ის მარტო თამარის მარცხს კი არ წარმოადგენდა, არამედ დავით აღმაშენებლისაგან, მეტადრე-კი მისი მამის გიორგის დროს მოპოვებული გამარჯვების მთელი შედეგის გაქარწყლებასაც უდრიდა“.**

დიახ, დიახ! ჩვენ შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებას კი არ უარვყოფთ (ეს ისედაც ყველასათვის ცნობილია), არამედ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ საბრძოლო ალაფიდან მეფემ არაფერი არ აიღო. სახელმწიფოს თვალსაზრისით ეს მისი გულუხვობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ სისუსტით. თუ XIII საუკუნის ეს ფაქტი მისი დროითი პერსპექტივის გამო ზოგიერთისათვის ძნელი გასაანალიზებელია, მაშინ მოქმედება აქეთ გადმოვიტანოთ, ჩვენს ეპოქაში და ვიკითხოთ: რა დაემართება სახელმწიფოს, თუ გადასახადის გადამხდელები თავს აარიდებენ ვალდებულების შესრულებას? ან რატომ არის, რომ გადასახადისადმი თავის არიდება ყველა სახელმწიფოში მკაცრად ისჯება? ვფიქრობთ, პასუხი ცალსახა უნდა იყოს! სწორედ ამიტომ საქართველოს ისტორიიდან წინ წამოვწიეთ ეს საკითხი, რადგანაც მიგვაჩნია, რომ **ეს ყველამ უნდა იცოდეს!**

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ის, რაც წერია „ისტორიული კალენდრის“ ფურცლებზე დიმიტრი II-ის შესახებ, რიტორიკული შეკითხვებისათვის ადგილს არ უნდა ტოვებდეს. მაგრამ შეკითხვა, თუნდაც უსაფუძვლო, რადგან პასუხს მოითხოვს, იძულებულს მხდის კვლავ ივ. ჯავახიშვილს მოვუხმო: „დემეტრე II-ის ზოგადი დახასიათება ადვილი არ არის, რადგან ცნობები მის შესახებ ორნაირი თვისებისა მოგვეპოვება. მის თავგანწირულებას მონღოლთადროინდელ **ჟამთააღმწერელზე** ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც საეკლესიო წრეებში დემეტრე II-ისადმი მანამდე სუფევდა მისი საეკლესიო უძრავი ქონების გაღარიბებული ერისკაცთათვის გადაცემისა და თავისი სამცოლიანო-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

კოსმოსი და კაცობრიობა

# ორთა „თამაში" საზღვრებს გარეშე

სიტყვა „ფრონტირ"-ი ინგლისური წარმომავლობისაა და საზღვარს, მიჯნას ნიშნავს. ჩრდილოეთ ამერიკაში „ფრონტირ"-ებს იმ პირველ ახალმოსახლეთ უწოდებდნენ, რომლებიც ამჟამინდელი ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის ხელუხლებელი მიწების, მთლიანად მხარის დასაპყრობად წინ შეუპოვრად მიიწევდნენ. ამერიკის აღმომჩენ-დამპყრობთა მიერ შემოკავშირებულ მცირე საზღვრებს აფართოვებდნენ. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან გადახვეწილი ბედის მაძიებლები დაუნდობელი სისასტიკით სპობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას — „ველურ ინდიელთა" ტომებს და მიტაცებულ გიგანტურ სივრცეებში მეთოდურად, მყარად მკვიდრდებოდნენ.

იმ პერიოდში დიდ ამერიკულ სულისკვეთებაზე, „ფრონტირ"-ისადმი სწრაფვაზე ანუ ტერიტორიების დაპყრობაზე ლეგენდები შეიქმნა. ლეგენდების თანახმად პირველი „ფრონტირ"-ები უბრალო, პატიოსანი, მშრომელი და ვაჟკაცი ადამიანები იყვნენ. ისინი მუდამ იარაღით აღკაზმულები დადიოდნენ, რათა ცოლ-შვილისათვის საკვები, ნანადირევი (!) ეშოვნათ და იმავ დროს ოჯახები ინდიელთა (!) მოსალოდნელი თავდასხმებისაგან დაეცვათ. სამშობლომიტოვებულმა სხვადასხვა ჯურის ავანტურისტებმა 9363 ათას კვ. კმ-ზე მსოფლიოში სიდიდით მეოთხე, „ახალი ქვეყანა" — ამერიკის შეერთებული შტატები დააარსეს.

„ვლადენიე" რუსული სიტყვაა და ფლობას, პყრობას ნიშნავს. 1530 წელს მოსკოვის დიდ მთავარს ვასილი მესამეს ვაჟიშვილი ივანე (შემდეგში მრისხანედ წოდებული) შეეძინა. ივანე მეოთხე სამი წლის იყო, მამით რომ დაობლდა და მოსკოვის დიდი მთავარი გახდა. რვა წლისას დედაც გარდაეცვალა . ერთგული რეგენტებისაგან მალავით ნაბუშარი უფროსი ძმის, ტახტის შესაძლო მოცილის, გიორგის არსებობა შეიტყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე მის გამოჩენას მუდამ ხელში ჩაბღუჯული იარაღით ელოდა.

მისი მეისტორიენი ივანე IV-ში მრისხანების, დაუნდობლობის ჩაბუდებას ტახტის მოცილე უფროსი ძმის ყოველ წუთს გამოჩენის შიშით, უდედმამოდ გაზრდილის ფსიქიკური ტრავმით ხსნიან. ასე თუ ისე, 15 წლის ჭაბუკმა თავისი სისხლისმსმელი ხასიათი მოახლის, მისთვის კაცობის პირველი შემგრძნობელის დაუნდობლად ცემაში გამოავლინა და მას შემდეგ წლების მანძილზე მისი სისასტიკე შინაურსა თუ გარეულზე ერთნაირად ვრცელდებოდა.

მოსკოვის სამთავროს ირგვლივ ჯერ რუსეთის სხვა სამთავროები მიიერთა, ხოლო შემდეგ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთ — „ვლადი ვოსტოკ"-ს გადაწვდა და კავკასია — „ვლადი კავკაზ"-ი დაიმეგობრ-დაიპყრო. უზარმაზარ 22402 ათას კვ. კმ-ზე იმპერია შექმნა. მსოფლიოს პყრობის — „ვლადი მირ"-ობის სურვილი შვილის მკვლელმა საფლავში ჩაიტანა.

თითქმის 370 წლის შემდეგ უარყოფილი მეფის ტირანია წითელმა მონსტრმა —საბჭოთა კავშირმა შეცვალა და 75 წელი იბოგინა.

მეორე მსოფლიო ომმა ახალი — ატომური ერის წარმოშობა დააჩქარა. ორი ზედიდი და ზემძლავრი სახელმწიფო — იმპერიიდან მოძმე რესპუბლიკები სახელშეცვლილი და ახალ ქვეყნად სახელწოდებული შეერთებული შტატები უძლიერესის სახელისათვის ჭიდილში ჩაებნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში „ხაი ფრონტირ"-მა — „უსაზღვრო მიჯნამ" ახალი კორექტირება, ახალი ცნება „პაკს ამერიკანა" — „მსოფლიო დიდი ამერიკა" შეიძინა. XX საუკუნის მიწურულს კი აქცენტი კოსმოსურ „ფრონტირ"-ზე „უნივერსუმ ამერიკანა" — „სამყარო ამერიკულად" გადაიტანეს.

ამ იდეის განსახორციელებლად შაიენნის კლდოვან მთებში, ნახევარი კილომეტრის სიღრმეზე აეროკოსმოსური თავდაცვის ცენტრი ჩააშენეს. გასაიდუმლოებული ცენტრის მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდმა ჯგუფმა რაკეტული სისტემის მართვისათვის ე. წ. „კოსმოსური ავიაფრთა" შექმნა. ცენტრში განლაგებულ ლაბორატორიებსა და „მცირე ქარხნებში" მზადდება: კოსმოსური მაქოები — „შატლები", რომლებსაც ორბიტაზე ახალი თანამგზავრები გაჰყავთ; კოსმოსური ტორპედოები; თანამგზავრთა ახალი სისტემები — ჰაერსა და მიწაზე რაკეტების მომკვლევები; ლაზერული იარაღი და სხვა. შექმნილია სამხედრო-კოსმოსური ფლოტი. დამუშავებულია პროექტი გიგანტური ორბიტალური აბდის, 433 კოსმოსური „ფორტ"-ის — „თავდაცვით ციხე-სიმაგრის" დედამიწის ირგვლივ განსალაგებლად. ცხელი წერტილებისადმი მუდმივად მოთვალთვალე „ფორტ"-ებიდან მოწინააღმდეგეთა მიერ რაკეტების გაშვების მცდელობისთანავე რაკეტების შახტებშივე მოსასპობად.

ცენტრის პროგრამით 1985 წელს წყნარ ოკეანეში კუნძულ ჯონსტონიდან 400კმ-ის დაშორებით ოპერაცია „დომინიკ"-ი განხორციელდა. ისტორიაში პირველმა თანამგზავრის საწინააღმდეგო დანადგარმა ერთნახევარი მეგატონის საბრძოლო ჭურვი ააფეთქა. 1300კმ-ით დაშორებულ ჰავაის კუნძულებზე სატელეფონო კავშირი გაითიშა, დაზიანდა. გამოცდის შედეგის გაანალიზებით დადგინდა, რომ ატმოსფეროს გარეთ ჩატარებული მსგავსი აფეთქების შედეგად შესაძლებელია რომელიმე კონტინენტზე რადიო და სატელეფონო კავშირები დიდი ხნით დაზიანდეს, ელექტროენერგიის მიმწოდებლებში მოკლე ჩართვები მოხდეს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ზესაიდუმლო გამოგონებებს აფიშირებას უკეთებს. სამეცნიერო-ფანტასტიკურ წიგნებში, თითქმის დოკუმენტალურობამდე მისულ მხატვრულ ფილმებში აშშ-ს მიღწევები თვალნათლივ აისახება. მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული: მიურეი ლეინსტერის „პირველი კონტაქტი"; რობერტ უილიამ კოულის „ბრძოლა იმპერიისათვის"; არტურ კლარკის „2001 — „კოსმოსური ოდისეა"; ედმონდ ჰამილტონის „სიკვდილის ვარსკვლავი"; ალენ დრურის „სატურნის გვირგვინი"; ჯეიმს მიჩენერის „კოსმოსი" და სხვები. ყოველ მათგანში აღწერილია და ფილმებში თვალნათლივ ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე კოსმოსური ხომალდების, რაკეტების დანიშნულებები, ფორმები, მოწყობილობა, ხელსაწყოები და სხვა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო საბჭოთა კავშირში. მუდამ ტყუილს, მალვას მიჩვეულებმა თავი არც კოსმოსისადმი მიმართებაში შეირცხვინეს.

სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის ყოფილი მთავარი კონსტრუქტორი აკადემიკოსი ვ. ა. მიშინი — „საბჭოთა კავშირიდან გაქცეულმა, ყოფილმა ჟურნალისტმა ლ. ვ. ვლადიმიროვმა ახალი სამშობლოს გული იმით მოინადირა, რომ წიგნი გამოსცა — „რუსული კოსმოსური ბლეფი". წიგნში გამონაგონი უფრო მეტი იყო, ვიდრე სიმართლე. თუმც მცირე, მაგრამ ზოგიერთი მაგალითი მწარე სინამდვილეა.

„ნ. ხრუშჩოვმა კოსმონავტიკას ალღო მალე აუღო და პოლიტიკური მიზნებისათვის ბევრჯერ გამოიყენა. სახელმწიფოს მეთაური ს. პ. კოროლიოვისაგან სწრაფ ტემპს, ახალ-ახალ წარმატებებს მოითხოვდა.

პირველი კოსმოსური თანამგზავრის გაშვებისთანავე ნ. ხრუშჩოვმა დიდი ოქტომბრის ზეიმისათვის მორიგი თანამგზავრით ძაღლის გაშვება ბრძანა. მანამდე, 1951 წელს მაღლივი რაკეტებით 100კმ სიმაღლეზე ორი ძაღლი, დეზიკი და ციგანი გააფრინეს, დედამიწას მშვიდობიანად დაუბრუნდნენ. კოსმოსური თანამგზავრი ატმოსფეროში რჩებოდა, უკან არ ბრუნდებოდა. ნიკიტა სერგის ძის გაბრაზება არავის გვინდოდა, ამიტომ მისი ბრძანება შევასრულეთ და ლაიკა კოსმოსის ათვისებას შეეწირა. ამ მოქმედებამ თავდაპირველად დასავლეთის მასობრივ ინფორმაციებში განცვიფრება და დაბნეულობა გამოიწვია. შემდეგ კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ინგლისის ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ლაიკას ცოცხლად დაწვისათვის ხმა აიმაღლა, საბჭოთა კავშირს წითელი ინკვიზიტორები გვიწოდა. მარტო ეს არ გვაკმარეს. საერთაშორისო სასამართლომ მსოფლიოს ცხოველთა დაცვის საზოგადოების სასარგებლოდ რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგით დაგვაჯარიმა.

პირველმა მარცხმა ნ. ხრუშჩოვი არ შეაშინა და მას შემდეგ, ვიდრე პოსტიდან გაათავისუფლებდნენ, საბჭოთა კოსმონავტიკა და პოლიტიკა ხელიხელჩაჭიდებულები ერთ საქმეს ემსახურებოდნენ. კოსმონავტიკაში ნ. ხრუშჩოვის მორიგი ჩართვისას ს. კოროლიოვმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა შეახსენა, რომ მისი ფავორიტი ჩელომეი ამ საქმეს კარგად გაუძღვებოდა. სერგეი პავლეს ძემ მისთვის სიცოცხლეზე უძვირფასეს საქმესთან ჩამოშორებას დანებება არჩია. კოსმონავტიკა საბჭოთა პოლიტიკის პრესის ქვეშ მოექცა. გამარჯვებულმა სახელმწიფოს ლიდერმა მეორე კოსმონავტის, ტიტოვის კოსმოსში გაშვება თავად დაგეგმა და თარიღიც გვიკარნახა. და მას შემდეგ დაიწყო ...

საბჭოთა კავშირი — ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის პერიოდში ნ. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ამერიკა დაეჯაბნა და ჯგუფური გაფრენის განხორციელების ბრძანება მოგვცა. იმ პერიოდში ამდაგვარი ექსპერიმენტისათვის მზად ჯერ არ ვიყავით, მაგრამ ...

ს. კოროლიოვმა გამოსავალი იპოვნა. გაშვებულ აპარატს ერთი დღე-ღამის შემდეგ კვლავ ბაიკონურის თავზე უნდა გადაეფრინა. ხელმძღვანელობა ნახაზებს ჩავუჯექით და სერგეი პავლეს ძის ნიჭმა, თუმც ამჟამად აფიორაში, კვლავ გაიბრწყინა. 1962 წლის 11 აგვისტოს ნიკოლაევის ხომალდი გავუშვით, ხოლო 12 აგვისტოს პოპოვიჩის. ხომალდები ერთმანეთთან 5კმ მანძილით იყვნენ დაშორებულები. დედამიწიდან რას შეამჩნევ. წინასწარი გაფრთხილებით ნიკოლაევი და პოპოვიჩი რადიოთი ხან რიგრიგობით, ხან კი ერთმანეთს არ აცდიდნენ, ერთდროულად „ ერთი ხომალდიდან" გველაპარაკებოდნენ. განცვიფრებული მსოფლიო ოვაციებს გვიწყობდა, ტაშს გვიკრავდა. ამ „ხმაურით" ისარგებლეს და ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით კუნძულ კუბაზე 20 ცალი საბრძოლო ატომისმუხტიანი რაკეტები „გადააპარეს".

მწვანედ შეღებილმა და პალმებში „შეფოთლილმა" რაკეტებმა მზეს თავი ვერ აარიდეს. ამერიკის საჰაერო დაცვის თვითმფრინავებმა თავისუფლების კუნძულზე საოცრება — მბრწყინავი მეტალის პალმები აღმოაჩინეს. ამერიკის მთავრობამ საბჭოთა კოლეგებს მკაცრი ნოტა გამოუგზავნა. განაწყენებულმა ნ. ხრუშჩოვმა პაწაწინა წითელი კუნძულისაკენ 40 ათასი ჯარისკაცითა და 20 საბრძოლო რაკეტებით დატვირთული გემები გაგზავნა. არც ამერიკა დაგვრჩა ვალში, კუბას ბლოკირება გაუკეთა. კარიბის კრიზისმა რამდენიმე დღეს გასტანა. დედამიწა მესამე მსოფლიო ომის (ამჯერად ატომურის) კარიბჭესთან იდგა. ახალგაზრდის გონიერებამ სძლია ხანდაზმულისას. ჯ. კენედი ბლოკადის მოხსნაზე იმ პირობით დაგვთანხმდა, თუ კუბაზე „აღმოცენებულ" რაკეტებს დემონტაჟს ჩავუტარებდით და სამშობლოში დავაბრუნებდით.

„კარიბის კრიზისში" დამარცხებით ნ. ხრუშჩოვი გაშმაგებული იყო. მსოფლიოს თვალში რეპუტაციის აღსადგენად მორიგი „იდეა" გვიბრძანა. 1963 წელს კოსმოსში ბიკოვსკი და მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა უნდა გაგვეშვა. ნიკიტა სერგის ძის გათვლებით, ქალის კოსმოსში გაშვებით საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ქალთა სიმპათიას დაიმსახურებდა, ჩვენს ქვეყანაში კაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის სინამდვილეს უფრო დაამტკიცებდა.

ჩემის აზრით ეს მოქმედებაგულუბრყვილობა იყო. თანასწორულებიანობა რაში გამოიხატა, ყველაზე არაპრესტიჟულ, ყველაზე მძიმე, სიცოცხლისათვის ყველაზე საშიშ მოქმედებაში?

როდესაც მოსკოვში, საკავშირო გამოფენის წინ აღმართულ მოქანდაკე ვ. მუხინას ქანდაკებას ვუყურებ, ტანში მზარავს. ეს ქანდაკება ხელით შრომის, ჩვენში ქალის მძიმე, ფიზიკური ექსპლოატაციის სიმბოლო უფრო არის.

ცნობილი გახდა, რომ ამერიკა ორადგილიან ხომალდ „ჯემინ"-ს ამზადებდა. ნ. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ამერიკა კვლავ დაემარცხებინა და სერგი პავლეს ძეს სამკოსმონავტიანი ხომალდი სასწრაფოდ გაეშვათ. „ვოსხოდ"-ში სამი, თანაც სკაფანდრიანი ადამიანის ჩასმა არაფრით არ შეიძლებოდა. ძირს სკაფანდრი! კატაპულტირებისათვის ხომალდს მხოლოდ ერთი ლუკი გააჩნდა. რამე რომ მომხდარიყო ... ძირს კატაპულტირება! ფეოკტისტოვმა კომაროვი და ეგოროვი დაითანხმა. სამეული დიდი რისკის ფასად კოსმოსში გავუშვით. მსოფლიო კვლავ ტაშს გვიკრავდა. აპლოდისმენტებს დამსახურებულად მივიჩნევდით, რადგან ჩვენ ხომ საცირკო ნომრებს ვასრულებდით.

წარმოიდგინეთ, ერთი კაცისათვის გათვალისწინებულ კაბინაში სამნი იმყოფებოდნენ. დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნებულები გამოგვიტყდნენ, რომ ერთადერთ სავარძელში რიგრიგობით, მტკიცედ განსაზღვრული დროით სხდებოდნენ და ისვენებდნენ. თავისუფლად ვერ ტრიალებდნენ, რადგან ეშინოდათ რომელიმე გადამრთველს სხეულით არ მოსდებოდნენ, ავარია არ გამოეწვიათ. რაიმე სასარგებლოს ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მათ, უბრალოდ, კოსმოსში „გაისეირნეს". კიდევ კარგი, ეს მოგზაურობა კარგად დამთავრდა. რამე რომ მომხდარიყო?

„სოიუზ"-ზე ვმუშაობდით. ახალი ტიპის ხომალდი ჯერ წესიერად არც კი გვქონდა შესწავლილი. საცდელად უპილოტოდ გავუშვით. უკან დაბრუნებისას რომელიღაც (!) ჭაობში ჩავარდა და უკვალოდ გაქრა. ამას ხომ არ გავამხელდით. ნ. ხრუშჩოვმა ყური მოკრა ახალი ხომალდი არსებობას და ვილაცისათვის თავის მოსაწონელად მოსკოვიდან კვლავ ბრძანება მოვიდა და ... კომაროვი თითქმის გამოუცდელი მეორე ხომალდით კოსმოსში გავუშვით. ვლადიმერი გამოცდილი მფრინავი იყო, მისი მრავალწლიანი პრაქტიკის იმედი გვქონდა. კოსმოდრომიდან აფრენისთანავე ხომალდის ხელით მართვა მოუხდა. „სოიუზ"-ი მოაბრუნა კიდეც დედამიწისაკენ და მის ატმოსფეროშიც შემოვიდა, მაგრამ პარაშუტის სისტემამ გვიღალატა, არ ამოქმედდა. ავბედითი შემთხვევითობა.

ნ. ხრუშჩოვი ლ. ბრეჟნევმა შეცვალა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ამით არ შეცვლილა. ახალ პირველს თავისი წილი დიდების მოპოვება სურდა და კვლავ — „ჩქარა", „მიდი". არ მახსოვს, რომ ზემოდან დაწოლის გარეშე, ვილაცისათვის თავის მოწონების გარეშე გვემუშაოს.

1967 წლის 2 მაისი ახლოვდებოდა. სამი კაცისათვის განკუთვნილ, მაგრამ ბოლომდე გამოუცდელ ხომალდში დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი ჩავსვით, გზა დავულოცეთ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ორბიტიდან ატმოსფეროში შემოსვლისას დედამიწის ატმოსფეროსთან კაბინის დამაკავშირებელი კლაპანი გახსნილია. ჰერმეტიზაცია დაირღვა. კაბინაში არსებული ჰაერი გარეთ, ვაკუუმში დიდი სისწრაფით გაიჭრა. კოსმონავტებს სტვენის ხმა უნდა გაეგოთ და ონკანი დაეკეტათ. ან უბრალოდ ნახვრეტი თითით დაეცოთ (!), მაგრამ ... შესაძლოა დაიბნენ. პაცაევი ქამრებიდან განთავისუფლებულია, ონკანამდე ველარ მიაღწია ... დაბალი წნევის გამო სისხლი ერთბაშად აუდუღდა, სხეულში არსებული სითხე აუორთქლდა და ...

დაბალი განათლების, ინტელექტის მქონე, გაუცნობიერებელი ჩინოვნიკების გამო ბევრი ადამიანი დავკარგეთ, ხომალდები დავწვით, სახელმწიფო ვაზარალეთ".

ორი ზედიდი, ზემძლავრი სახელმწიფო რამდენიმე ათეული წელია, რაც პრიორიტეტისათვის დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით ერთმანეთს დაუნდობლად ებრძვის. ორთავე მხარე არაფერს იშურებს იმისათვის, რათა დედამიწაზე უპირველესის სახელი მოიხვეჭოს და პლანეტა თავისი სურვილისამებრ მართოს, ერთპიროვნული მბრძანებელი გახდეს. მათთვის მთავარი მიზანია, თუ რა საშუალებებით, ამას არად დაგიდევენ.

**გია ტორიაშვილი**

მეცხრე გვერდიდან

# დიახ, ეს ყველამ უნდა იცოდეს!

ბით ხალხისათვის ცუდი მაგალითის მიცემის გამო, თავის მოთხრობაში მას, როგორც ეტყობა, შერბილებული უნდა ჰქონდეს.

თუ თანამედროვე ისტორიკოსი მის პიროვნებას წარმოიდგენს ისევე, როგორც სინამდვილეში და თავის ყოველდღიურს საქმიანობა-მოღვაწეობაში მოჩანს, უნდა ითქვას, რომ დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსთმთავრისა, ისევე მოძღვართადმი, ოდნავი პატივისცემაც-კი არ ჩანს". ყოველივე ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმდროინდელი საოჯახო კანონების მიხედვით არაერთი და ორი ქართველი დიდი ფეოდალი დიმიტრი II-ის მოსისხლედ ითვლებოდა, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მას ნამდვილად არ შეეძლო მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლა — მარცხი გარდაუვალი იყო.

თუ ნებას მომცემთ, ერთ კითხვას დავსვამ (ოღონდ პასუხი არ მჭირდება: დეე, საკუთარ თავს უპასუხონ): როგორ ხდება, რომ მონღოლების საქართველოში გამოჩენის შემდეგ დიმიტრი II-ის გარდა ყველა ქართველი მეფე იბრძვის მათ წინააღმდეგ?

კალენდრის ფურცლებზე გაცხადებული სკეფსისი ერეკლე II-ის მიერ გადახდილი „ასი ომის" შესახებ, მიუჩნევიათ „დღემდე უეჭველი პატარა კახის სამხედრო ნიჭის უარსაყოფად". აქ არამარტო ისტორიული ფაქტების უგულვებელყოფას აქვს ადგილი, არამედ ცნებების არევაც სახეზეა. **ომი** სულ სხვა ცნებაა და **ბრძოლა** კიდევ სხვა. სეფიანთა ირანთან და მის მემკვიდრეებთან სამასწლოვანი დაპირისპირების მანძილზე საქართველოს სულ არ გადაუხდია ასი ომი და ერეკლე II როგორღა გადაიხდიდა? ვიმეორებთ, რომ პოეტური აზროვნებით მოხდა **ბრძოლის** მაგიერ **ომის** ჩანაცვლება-დაფიქსირება და შედეგად მივიღეთ **ჰიპერბოლა**, რომლის სინამდვილედ აღქმას მხოლოდ ინფორმაციის დეფიციტი უდევს საფუძვლად. და თუნდაც ომი გავიაზროთ ბრძოლად, ას ბრძოლასაც ვერ დაასახელებენ... ვერც ორმოცდაათს... ვერც ოცდახუთს...

რაც შეეხება **სამხედრო ნიჭს**, აქაც არეულია ცნებები: **სამხედრო ნიჭი** სხვაა და **მეომრული მონაცემები** კი სხვა. სამხედრო ნიჭი სარდლის თვისებაა, მეომრული მონაცემები კი მეომრისა. მეომარი, რომელსაც სამხედრო ნიჭი გააჩნია, უეჭველად სარდალი გახდება. სარდალი კი, სულაც არ არის სავალდებულო, რომ მეომრული მონაცემებით ბრწყინავდეს (ნაპოლეონს სამხედრო ნიჭი არ აკლდა, მაგრამ კავალერგარდის მონაცემებს ვერ დაიტრაბახებდა). რაც შეეხება ერეკლე II-ის მეომრულ თვისებებს, მე ამ საკითხს არ შევხებივარ, რადგანაც მასში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ სამხედრო ნიჭის თვალსაზრისით ძალზე მაეჭვებს გინდ **ჭარი**, გინდ **ასპინძა** და გინდ **კრწანისი**. ვისაც სწამს, დეე, სწამდეს! ისე კი, ვურჩევდი, რომ გაერკვნენ საქართველოს ისტორიაში და განთავისუფლდნენ ინსტრუქციების დონეზე შექმნილი სტერეოტიპებისაგან, რომელთა დროც უკანმოუხედავად ჩაბარდა ისტორიას. **ეს უნდა იცოდეს ყველამ!**

**P.S.** ერთ საკითხში კი **სრულ თანხმობას** ვაცხადებ: **განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია, რადგანაც გვწამს, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.**

როლანდ გურჭულაძე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №28

# გურულები შერიგდნენ... ვინ არის რუხი კარდინალი?

**ძვირფასო მკითხველო, სანამ ჩემს კოლეგა მაია ფურცელაძესთან ერთად გავაგრძელებდე საქართველო-ისრაელის ერთობლივი ფირმა „ეკოტექსისა" და ლანჩხუთის რაიონის პოლიტიკური პარტიების მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის მომართვის მეთოდების ძებნას, მანამ მინდა მოგახაროთ, რომ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი გიგინეიშვილმა, როგორც იქნა, დასძლია ლანჩხუთის საკრებულოს მიმართ წყენა და... შეურიგდა მათ.**

ამ, ნამდვილად სასიხარულო ამბის პრეისტორია ასეთი იყო: როგორც წინათ მოგახსენეთ, ჟურნალ „სარკეში" (1999 წლის 7-14 აპრილის ნომერი), ჟურნალისტ ბელა ჩეკურიშვილთან ინტერვიუს დროს, ბატონი გივის ცხელ გულზე ნათქვამმა სიტყვამ „ლანჩხუთის საკრებულოს სახით ავაზაკთა ბანდაა წარმოდგენილიო" — საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ლანჩხუთში. რადგან პარლამენტის მიერ დრაკონული წესით მიღებული კანონის, (ამას მალე დაგიმტკიცებთ), „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" გარშემო, გურიის რეგიონსა და პარლამენტის კომიტეტს შორის ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, ვიფიქრე, ბატონი გივის ემოციები საქმეს ნამდვილად არ წაადგება-მეთქი და გადავწყვიტე ორ შეურიგებელ მხარეს შორის შუამავლის ფუნქცია მეკისრა.

ჩემს დიქტოფონზე ჩაწერილი, ბატონი გივის გამონათქვამი "ავაზაკთა ბანდის" გამო მობოდიშება, ალბათ, გახსოვთ, რომ ნახევარ სუფსასა და ლანჩხუთს მოვასმენინე. ისინი კი მოთმინებით ელოდნენ ამის ოფიციალურ დადასტურებას ჟურნალ „სარკის" მეშვეობით. ამის შემდეგ (გავიდა თვენახევარი), ისევ ვესტუმრე ბატონ გივის და ვთხოვე შერიგებოდა თავის მშობლიურ რაიონს. ჩვენს შორის შედგა ასეთი დიალოგი:

**მე — ბატონო გივი, 1999 წლის ლანჩხუთის 13 მარტის შეკრებაზე საკრებულოსა და გამგეობას საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა წყენა გამოეხატა თბილისელი სტუმრების მიმართ, მაგრამ ყველაზე მძაფრი ფორმით დარტყმა მიიღეთ თქვენ. ხომ არ დაფიქრებულხართ, რომ ხალხი არასდროს არ სტყუის, სტყუის მიდგომა მათდამი. აილეთ მაგალითი პრეზიდენტისაგან — ხომ ნახეთ, წალენჯიხაში სტუმრობისას ლამის პამიდორები ესროლეს და თავი როგორ ღირსეულად ეჭირა, თქვენ რაღა დაგემართათ?**

**ბ-ნი გივი — იცით რას გეტყვით? მაგისთანა კაცი (პრეზიდენტი) საუკუნეში ერთხელ იბადება და ყველას ხომ არ შეუძლია მაგდენი. მე ის წყენა ჯერ არ გამომნელებია და რა ვქნა ეხლა.**

**მე — ბატონო გივი, თუ გინდათ მე წამოგყვებით ლანჩხუთში და ყველა პრობლემას მოგიხსნით, თქვენ ოღონდ მოინდომეთ.**

**ბ-ნი გივი — გამანებე, თუ კაცი ხარ თავი, არ შემიძლია.**

ამის შემდეგ დავემშვიდობე მას და ცოტა გაფიცხებულმა (მეც გურული ვარ), ვიფიქრე, ამ კაცს ლანჩხუთის საკრებულო მართლა „ავაზაკთა ბუნაგი" ხომ არ ჰგონია-თქო და დავიწყე პუბლიკაციების გამოქვეყნება (იხილეთ წინა ნომრები), სათაურით — „გურული ავაზაკები და მცირე რევოლუცია ლანჩხუთში". არ მოეწონა ბატონ გივის ჩემი წერის მანერა და ახლა მე შემომწყრა (რას იზამ, ყველას გულს ხომ ვერ მოიგებ).

წერის მანერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პუბლიკაციების შინაარსით ძლიერ გაიხარეს გურულებმა. ფაქტიურად პირველად ხდება მათი პოზიციის რესპუბლიკური პრესით დაფიქსირება. აქამდე ბურთი და მოედანი პარლამენტის კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (მინისტრი ქალბატონი ნინო ჩხობაძე) ხელში იყო და ურტყამდნენ ცალ კარში, როგორც უნდოდათ, ისე. იხ. პუბლიკაციები (გაზ. „ალია", 1999წ. 15 მარტი, სტ. „რა ხდება სუფსაში?". გაზეთი დრონი, 1999წ. 10 ივნისი, სტ. „ძალით სულელთა და ნებით გაბრიყვებულთა ისტორია" — კიდევ ერთხელ კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ, სადაც ლანჩხუთის მოვლენები „პატარა რევოლუციად" იწოდება). იმის მაგივრად, რომ რეგიონის გული მოეგოთ, გამოაცხადეს სრული „საინფორმაციო ომი".

ძვირფასო მკითხველო, დავუბრუნდეთ ლანჩხუთელებისა და ბატონი გივის შერიგების ამბავს. მე არ დამვიწყებია, რომ შუამავლის ფუნქცია საკუთარი ნებით მქონდა ნაკისრი და ამ საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდოდა. ამიტომ, ჩემთან სტუმრად მყოფი ლანჩხუთის საკრებულოს წევრის, სოსო კვაჭაძისა და სუფსის საკრებულოს მდივნის კახა მელუას თანხლებით ვესტუმრე საქართველოს პარლამენტს. საბედნიეროდ, შემორიგების ობიექტი ადგილზე დაგვხვდა და ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ გულლიად შემოგვეგება.



**სევერიან (სოსო) კვაჭაძე**
**ლანჩხუთის საკრებულოს ადამიანთა უფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიის წევრი. ე.დ.პ-ს ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

ჩემთვის ყველაზე დიდი სენსაცია ის იყო, რომ ბატონ გივის ხელთ აღმოაჩნდა ჟურნალ „სარკის" (№18, 1999წ. 5-12 მაისი) ნომერი, სადაც რედაქციის მიერ გამოქვეყნებულია ასეთი სახის შენიშვნა:

**„ჟურნალ „სარკის" მიმდინარე წლის მე-14 ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ პარლამენტარ გივი გიგინეიშვილთან სათაურით „იესოს შემოსვლას ვზეიმობთ და ბუნებას ვანადგურებთ", სადაც რესპოდენტმა ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს მისამართით არაკორექტული ფრაზა გამოიყენა. ბატონმა გივიმ აღნიშნული გამოთქმა ცხელ გულზე წარმოთქვა და არა პრესისათვის, რის შესახებ კორესპონდენტი გააფრთხილა კიდეც, მაგრამ მისი თხოვნა ჟურნალისტს გამორჩა. ბატონი გივი გიგინეიშვილი და ჟურნალისტი ბელა ჩეკურიშვილი ლანჩხუთის საკრებულოს არაკორექტული გამოთქმისათვის ბოდიშს უხდიან".**

ბატონო გივი! თქვე კაი დედმამიშვილო, თუ ეს ნომერი ხელთა გქონდათ, ჩემი ბოლო ვიზიტის დროს გეჩვენებინათ, რა იქნებოდა? ხომ არ დავიღლებოდი ცალკე მე და ცალკე მკითხველი „ავაზაკების" ძებნით. მე რომ მეუბნებით — თუ „სარკის" სტაბილური მკითხველი და კაი კაცი ხარ, რატომ ეს ნომერი არ იყიდეო, მაგაზე ასე გიპასუხებთ — კაი კაცი ნამდვილად ვარ. ჟურნალ „სარკის" გარდა ხუთი გამოცემა კიდევ მომწონს და ხუთივეს ყველა ნომერი ყოველდღე რომ შევიძინო — შიმშილით მოვკვდები. რაც შეეხება ლანჩხუთის საკრებულოს, ეტყობა, ეგ ერთი თვის შემდეგ გამოსული ნომერი იმათაც არ უნახავთ, თორემ მე ლანჩხუთიდან მაისის ბოლოს ჩამოვედი და ხომ მაჩვენებდნენ. თან დიდუბის სასამართლოში შეტანილ ან უკვე გამოქვეყნებულ სარჩელსაც არ გამომატანდნენ დასაბეჭდად.



**კახა მელუა**
**სუფსის თემის საკრებულოს მდივანი, ე.დ.პ-ს წევრი**

ასეა თუ ისე, მეც და გურულმა სტუმრებმაც, რომლებიც პოლიტიკური პარტია — ედპ-ს წევრები არიან — დიდად გავიხარეთ. კიდევ კარგი, დროზე ამოვედით, თორემ საკრებულო უკვე მეორე სარჩელს ამზადებდა. მე, ბატონ გივის სტუმრების თანდასწრებით შევახსენე ჩემი ბოლო ვიზიტის დროს შემდგარი დიალოგი (იხ. ზემოთ), რისი შინაარსიც მან დამიდასტურა და დაამატა, საკრებულოზე ნაწყენი ეხლაცა ვარ და მაცალეთ თქვე ოჯახაშენებულებოო. ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" გამახსენდა, ოლღა ბებია რომ მოძღვრავს ზურიკელას — ნენა, გოუფრთხილდი მაგათ, ყიამყრალები ქე არიან, მაგრამ გული აქვთ კარგიო.

ჰოოდა! რაკი ბატონმა გივიმ მაცალეთო თქვა, ვინღა დააცლიდა ოქროს გულის ბერიკაცს, ეცნენ „ყაძახები" და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიყვარულის გამოხატვაში. ყოველივე ამის შემყურეს, სიხარულის ცრემლი მომადგა თვალზე. ჩემი მისია აღსრულებულად ჩავთვალე.

**ამის შემდეგ, დაიწყო საქმიანი საუბარი. გურულმა სტუმრებმა აუხსნეს ბატონ გივის, რომ კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის" შესახებ, რეგიონში არ იმუშავებს, რადგან კანონს 52-ე მუხლის (კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების გამოცემის ვადები) ამოქმედებას ასრულება არ უწერია. ამ მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, პრეზიდენტის ბრძანებულებით უნდა შეიქმნას 1999 წლის 1 დეკემბრამდე. ამ გეგმის შექმნისათვის საჭიროა საზღვრების დემარკაცია, რისი გაკეთებაც უახლოეს თვალსაწიერში არ მოისაზრება, რადგან კანონის შემოქმედთა ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, პ. შანშიაშვილი და ძმანი მისნი სათოფეზე არ ეკარებიან ლანჩხუთს, და რომც გაეკარონ, ამ ვადებში მაინც ვერ ჩაეტევიან, ე.ი. კანონში ირღვევა ნორმატიული აქტების საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი ყველა ვადა და კანონი რჩება ფარატინა ქაღალდად. აგრეთვე კანონის III თავის მე-8 მუხლი მთლიანად ამოსაღებია, რადგან საზღვრები, რომელშიც ვითომ მოქცეულია სახელმწიფო სატყეო მეურნეობის მიწები, არის ყალბი, რადგან კანონპროექტზე მომუშავეთა ჯგუფმა მისი დადგენის დროს ისარგებლეს 1989 წლის სატყეო მეურნეობის რუკებით, რომელიც დღევანდელ რეალობას არ შეესაბამება. მოგეხსენებათ, რომ 1992-98 წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის შედეგად, სატყეოს მიწების გარკვეული ნაწილი გადავიდა მოსახლეობის ხელში, საკუთრების სხვადასხვა ფორმით (კერძო საკუთარ., იჯარა და სხვა). ე.ი. მკაცრი დაცვის ზონაში, ყედღოვლათი ავტორების მიერ მოყვა მოსახლეობა, რომელსაც ეკრძალება ტრადიციული მეურნეობითი საქმიანობის ნებისმიერი ფორმა.**

რადგან მუხლობრივ ცვლილებებს სჭირდება დიდი დრო და კანონს ამავე მოწვევის პარლამენტმა უნდა მიხედოს, ამისათვის აუცილებელია კანონის შეჩერება და დროებით (ახალ რედაქციამდე) კოლხეთის დაცული ტერიტორიების საფუძვლად, რამსაარის კონვენციისა და კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის" შესახებ დატოვება.

ბატონი გივი სტუმრებს შეჰპირდა, რომ როსტომ დოლიძესთან გაეცნობოდა კანონის შეჩერების საპროცედურო მექანიზმს და ყურად იღებდა შემოთავაზებულ ვარიანტს. ბატონო გივი! „კონსტრუქციული" დიალოგი ზუსტად ამას ჰქვია და თქვენ თუ ნათქვამ სიტყვას აასრულებთ, მთელი გურია ხელის გულზე გატარებთ.

**ე.ი. შერიგება შედგა!**

ძვირფასო მკითხველო, მინდა შეგახსენოთ, რომ ორივე დაპირისპირებული მხარიდან (გურიის რეგიონი და კანონშემოქმედთა ჯგუფი) აღებული მაქვს 42 ინტერვიუ, რაც ჩაწერილია 30 აუდიო-კასეტაზე, გადაღებულია 700-მდე კადრი და ვარ 6 ვიდეოკასეტის მფლობელი. ამ თემასთან დაკავშირებით ვამზადებ 100 გვერდიან ჟურნალს, სადაც ყველაფერს ნათელი მოეფინება.

აშკარად იკვეთება, რომ კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" მიღებულია არც თუ უანგაროდ, ფორსირებული წესით, რეგიონის შესაბამისი საინფორმაციო დივერსიის ფონზე. საგაზეთო პუბლიკაციები მასალის სრულად წარმოჩენის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მასში გამოქვეყნებული დოკუმენტები ნელ-ნელა დაგვაყენებს საკითხის ობიექტური ხედვის გზაზე.

ეხლა კი, მე მინდა შეგახსენოთ ქალბატონ ნინო ჩხობაძის პასუხი ჟურნალისტ მაია ფურცელაძის შეკითხვაზე — იქნებ თქვენი უწყების მინუსია ის, რომ თუნდაც ფირმა „ეკოტექსისა" და პარტიების წარმომადგენლებს უფრო დიდი აგიტაცია აქვთ გაწეული, ვიდრე თქვენს თანამშრომლებს, გინდათ კოლხეთის ეროვნული პარკის თაობაზე?

ნ.ჩ. — მათ მუშაობის მეტი საშუალება ჰქონდათ, ვიდრე ჩემს თანამშრომლებს! რეალურად, მე დღესაც ამაში ჩემს თავს ვადანაშაულებ!.. სამწუხაროდ, მოსახლეობაზე თამაში ახალი არ არის, ეს არის დასავლეთის მეთოდი. დასავლეთის ქვეყნებში ასეთი მეთოდით ანუ მოსახლეობის საშუალებით ხელისუფლებაზე დაწოლა ხდება.

მაიკო, ჩვენ შევჩერდით იქ, რომ ფირმა „ეკოტექსს" მოღვაწეობა რეგიონის უმაღლეს მმართველობით ორგანოსთან (სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი) დაუწყია და მისი პარტიებთან ალიანსი ამ ეტაპზე აბსოლუტური სიცრუეა. გავყვეთ მოვლენებს...

ე.ი. ფირმა „ეკოტექსსა" და გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს შორის დადებული 1998 წლის 25 მარტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ბატონი კარლო გუჯაბიძე (გუბერნატორი) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ვალერიან მეტრეველს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს (1998 წლის 3 აპრილი).

**გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული**

**№ 129/11-03 3 აპრილი 1998 წელი**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ვალერიან მეტრეველს**

**ბატონო ვალერიან!**

**საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 სექტემბრის №530 ბრძანებულების, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმის შესახებ" მიღებამ, შესაძლებლობა მოგვცა დაგვეწყო მუშაობა გურიის მხარეში აგრარული სექტორის განვითარების გრძელვადიანი პროექტების დამუშავებაზე და მათ განხორციელებაზე.**

**სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შესაბამისად, გურიის მხარის ადმინისტრაცია შეუდგა მხარის ტერიტორიაზე არსებული აგრომადნეულის (ტორფი, საპროპელი, ცეოლითები) ათვისებისა და მისგან, ახალი თაობის ორგანულ-მინერალური სასუქების მიღების პროექტის განხორციელებისათვის მზადებას.**

**პროექტის ავტორსა და შემსრულებელს, სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ეკოტექს"-ს, რომელიც მოქმედებს გურიის მხარის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების ჩარჩოებში, პროექტის დამფინანსებელ საერთაშორისო ორგანიზაციებში საინვესტიციო პროგრამის წარსადგენად, ესაჭიროება საქართველოს მხარის გარანტიები ტორფისა და პალიასტომის ტბის საპროპელების მარაგის ათვისების პრაქტიკულ შესაძლებლობებზე. მასალებს აღნიშნულზე თქვენთან წარმოადგენს აკადემიკოსი ვ. ცანავა და პროექტის ავტორი და შემსრულებელი, ფირმა „ეკოტექს"-ის გენერალური დირექტორი ბატონი ი. რამაზაშვილი.**

**ვანიჭებთ რა პროექტს განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და მის უდიდეს წვლილს საქართველოს სოფლის**



გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის
სახელმწიფო რწმუნებული

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 გვერდიდან

# გურულები შერიგდნენ... ვინ არის რუხი კარდინალი?

მეურნეობის აღორძინების საქმეში, გთხოვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოცენოლოგიური შეფასების მიზნით, განიხილოთ ტორფისა და საპროპელების საბადოების ექსპლოატაციის შესაძლებლობები.

პატივისცემით
კარლო გუჯაბიძე

1998 წლის 9 ივლისს უკვე „ეკოტექსის" გენერალურმა დირექტორმა ი. რამაზაშვილმა გამოიბა ფხა და მისწერა წერილი წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ქუთელიას (1998 წლის 9 ივლისი).

წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს

ბატონო ზურაბ

გთხოვთ მოგვცეთ ლიცენზია იმნათის ტორფის საბადოს ექსპლოატაციისათვის. ყველა საჭირო დოკუმენტს წარმოგიდგენთ მოთხოვნისთანავე.

პატივისცემით,

ზეევ ფრენკელი, პრეზიდენტი (ისრაელი)
იური რამაზაშვილი, გენერალური დირექტორი (საქართველო)

1998 წლის 16 ივლისს ბატონი ზურაბი იძლევა პასუხს შ.პ.ს. „ეკოტექსის" პრეზიდენტს

წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი
შემ. № 11-12/79
09. 07 1998 წ.



ზურაბ ქუთელია
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ბ-ნ ზეევ ფრენკელს
შ.პ.ს „ეკოტექსის" გენერალურ დირექტორს
ბ-ნ იური რამაზაშვილს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი წერილი, რომელიც ეხება იმნათის ტორფის საბადოს ექსპლოატაციისათვის საჭირო ლიცენზიის გაცემას. დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ იმნათის ტორფის საბადო განთავსებულია ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებში და მასზე ლიცენზიის გაცემა შეუძლებელია. ამავე დროს, ქვემოთ მოყვანილია იმ საბადოების ნუსხა, რომელთა ექსპლოატაცია შესაძლებელია:

1. ოცანცალეში — სამეგრელოს რეგიონი
2. ანაკლია — სამეგრელოს რეგიონი
3. ტიკორი — სამეგრელოს რეგიონი
4. ლევოტიკორი — სამეგრელოს რეგიონი
5. ჩერნორეჩინსკაია — სამეგრელოსა და გურიის რეგიონების საზღვარზე
6. ფიჩორა — სამეგრელოსა და გურიის რეგიონების საზღვარზე

ზემოთჩამოთვლილ საბადოთა შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში.

ზ. ქუთელია
დეპარტამენტის თავმჯდომარე



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION OF GEORGIA
წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი
DEPARTMENT FOR PROTECTION OF MINERAL RESOURCES AND MINING

16 07 1998
№ 11-10/142
თქვენი 1998 წლის 09 07
№ გ-2 წერილის პასუხად

შ.პ.ს. „ეკოტექსის" პრეზიდენტს
ბ-ნ ზეევ ფრენკელს
შ.პ.ს. „ეკოტექსის" გენერალურ დირექტორს
ბ-ნ იური რამაზაშვილს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი წერილი, რომელიც ეხება იმნათის ტორფის საბადოს ექსპლოატაციისათვის საჭირო ლიცენზიის გაცემას. დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ იმნათის ტორფის საბადო განთავსებულია ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებში და მასზე ლიცენზიის გაცემა შეუძლებელია. ამავე დროს ქვემოთ მოყვანილია იმ საბადოების ნუსხა, რომელთა ექსპლოატაცია შესაძლებელია:

1. ოცანცალეში – სამეგრელოს რეგიონი
2. ანაკლია – სამეგრელოს რეგიონი
3. ტიკორი – სამეგრელოს რეგიონი
4. ლევოტიკორი – სამეგრელოს რეგიონი
5. ჩერნორეჩინსკაია – სამეგრელოსა და გურიის რეგიონების საზღვარზე
6. ფიჩორა – სამეგრელოსა და გურიის რეგიონების საზღვარზე

ზემოთჩამოთვლილ საბადოთა შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში.

ზ. ქუთელია
დეპარტამენტის თავმჯდომარე

ძალიან საოცარია, რომ ზ. ქუთელიას მოტივაცია (იმნათის ტორფის საბადოს ექსპლოატაციაზე უარის თქმა) ეყრდნობა იმას, რომ ეს საბადო შედის „ეროვნული პარკის" ტერიტორიის ფარგლებში.

ამ დროს კანონი მიღებული არ არის (იგი მიიღეს 9 დეკემბერს). რა ემართება ბატონ ზურაბს, სტილისტური შეცდომაა დაშვებული?

1998 წლის 22 ივლისს იური რამაზაშვილი ისევ სწერს პასუხს ბატონ ზურაბს:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ ქუთელიას

თქვენი ჩვენდამი 09.07.1998წ №გ-2 წერილის პასუხში 16.07.98 №11-10/142 ჩამოთვლილია იმ საბადოთა ნუსხა, რომელთა ექსპლოატაციის უფლებას გვრთავთ, ესენია:

1. ოცანცალეში — მარტვილის რაიონში მარაგები 2,2 მილიონ კუბ. მ., რომელიც ჩვენთვის არასამრეწველო მნიშვნელობისაა მარაგების სიმცირის გამო.

2. ანაკლია, ტიკორი და ლევოტიკორი განლაგებულია ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

3. ჩერნორეჩენსკაია და ფიჩორის საბადოები კი უშუალოდ ეკვრიან პალიასტომის ტბას ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელთა დამუშავება გეოეკოლოგიური და ეკონომიური თვალსაზრისით შეუძლებელია.

ვინაიდან ყველა საბადო განლაგებულია ეროვნული პარკისა და რამსარის კონვენციის ტერიტორიის ფარგლებში, ასევე ამ ფარგლებშია განლაგებული იმნათის ტორფის საბადო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 8-12 კილომეტრის დაშორებით, გთხოვთ იმნათის ტორფის საბადოს საერთო ფართიდან (3890ჰა) გამოგვიყოთ 1000-1200 ჰექტარი (რომლის საშუალებასაც რამსარის კონვენციის მუხლი 4-ის პუნქტი 2 იძლევა), ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიკურადაც ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით.

ასეთ ფართს წარმოადგენს „საქსოფლნაყოფიერების" მიერ ექსპლოატაციაში მყოფი ტერიტორია, რომელიც ნაწილობრივ დამუშავებულია.

გთხოვთ განიხილოთ ჩვენი მოთხოვნა, რითაც შესაძლებლობას მოგვცემთ უდიდესი წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის აგრარული რეფორმის განხორციელების ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, ნიადაგის ჰუმუსის გაზრდისა და ნაყოფიერების ამაღლების საქმეში.

დანართი: ტორფის საბადოების განლაგების სქემატური რუკა — 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ზეევ ფრენკელი, პრეზიდენტი (ისრაელი)
იური რამაზაშვილი, გენერალური დირექტორი (საქართველო)

წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი
შემ. № 11-09/125
22. 07 1998წ.

**ოქმი**

ქ. ლანჩხუთი 1998 წლის 5 აგვისტო
ლანჩხუთის რაიონი
ლანჩხუთის რაიონის აქტივის კრების სხდომის

მონაწილეობდნენ: საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო შპს „ეკოტექსის" გენერალური დირექტორი, ბატონი იური რამაზაშვილი, ანასეულის ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და გადამუშავების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი ბატონი ვალერიან ცანავა, საქართველოს პრეზიდენტის გურიის რეგიონში რწმუნებულის მთავარი მრჩეველი, ბატონი რევაზ შავიშვილი, ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ გვარჯალაძე, გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ბატონები: თენგიზ ქერქაძე, ლევან შალიკაშვილი და იოსებ კილაძე. რაიონის საკრებულოს მდივანი, ბატონი რომან ბიწაძე.

მოწვეულნი: რაიონის სოფლების ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარეები, სახელმწიფო მოხელეები, სოფლის მეურნეობის მთავარი, წამყვანი, დარგობრივი სპეციალისტები, მიწათმოქმედი ფერმერები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები, პრესის წარმომადგენლები.

კრებას თავმჯდომარეობდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ გვარჯალაძე.

მდივანი: სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მთავარი აგრონომი ბატონი გულივერ აფხაზავა.

დღის წესრიგი

1. საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ეკოტექსის" პროექტის — „კომპლექსური ორგანო-მინერალური გრანულირებული სასუქების წარმოების შექმნა საქართველოში" განხილვა და საქართველოში მისი განხორციელების რაციონალური გზების განსაზღვრა.

მომხსენებლები: პროექტის მონაწილეები, ბატონები: აკადემიკოსი ვალერიან ცანავა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იური რამაზაშვილი, რევაზ შავიშვილი.

მოისმინეს: ბატონებმა რ. შავიშვილმა, ვ.ცანავამ და ი. რამაზაშვილმა წარმოადგინეს ინფორმაცია საქართველოში ნიადაგების ნაყოფიერების ბოლო წლებში მკვეთრი გაუარესების, აგრობიოორგანული მეცნიერების განვითარების აუცილებლობისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებით ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაჯანსაღების აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნები ეძებენ ყველა საშუალებას მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რესურსები, განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა კანადაში, ფინეთში, აშშ, ისრაელში, ბელორუსიაში და რიგ სხვა ქვეყნებში, სადაც მასშტაბურად იყენებენ გრანულირებული ტორფის, ნაკელის, ნახერხისა და სხვა ანარჩენების ნეშომპალასა და სხვა ორგანულ და ორგანულ-მინერალურ პროდუქციებს მაშინ, როცა საქართველოში არსებული ასეთი მდიდარი აგრომადნები და მარაგები ჯერ კიდევ ხელშეუხებელი და გამოუყენებელია.

სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ 1996 წლის დეკემბერში ლანჩხუთში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით თემაზე: „გურიის რეგიონში არსებული აგრომადნების მოპოვებისა და ეროვნულ მეურნეობაში მათი გამოყენების პერსპექტივები", რომლის დასკვნებმა დასაბამი მისცა საქართველოში კომპლექსური ორგანო-მინერალური სასუქების წარმოების შექმნის პროექტის შემუშავებას, რომელიც დღეს ლანჩხუთის რაიონის აქტივის წინაშე წარმოდგენილია გამჭვირვალე საჯარო განხილვისათვის.

გამოვიდნენ: მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი გურამ წილოსანი, რაიონის საკრებულოს მდივანი ბატონი რომან ბიწაძე, რაიონის გამგებელი ბატონი მიხეილ გვარჯალაძე, მაჩხვარეთის სოფლის გამგებელი ბატონი გურამ ბისიეშვილი, საქართველოს სახალხო პარტიის პარლამენტის ფრაქციის წარმომადგენელი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მთავარი აგრონომი ბატონი გულივერ აფხაზავა, ჟურნალისტი ქალბატონი ქეთევან ნაკაშიძე, ეკოლოგიის სამინისტროს გურიის რეგიონალური სამმართველოს რაიონის კურატორი ეკოლოგი ქალბატონი მანანა გოგუაძე და სხვები.

ყველა გამომსვლელმა პროექტის ირგვლივ დასვა ამომწურავი შეკითხვები, რომლებიც შეეხებოდა ეკოლოგიის მუშაკთა დასაქმებისა და ბიუჯეტთან ურთიერთობა და სხვა საკითხებს, რაზედაც პასუხობდნენ აკადემიკოსი ვ. ცანავა, ტექ. მეცნიერებათა კანდიდატი ი. რამაზაშვილი, ბატონი რ. შავიშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბატონი ი. კილაძე, მთავარი სპეციალისტები.

დაისვა საყურადღებო და პროექტისათვის აუცილებელი წინადადებები, კერძოდ: პროექტში დეტალურად იქნას განსაზღვრული საბადოების ექსპლოატაციის პროცესში ბიოცენოზთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები.

აუცილებლად უნდა იქნეს შეთანხმებული პროექტი რამსარის კონვენციის პროგრამასთან და საჭიროებისამებრ მოხდეს სათანადო ცვლილებები კონვენციის პროგრამაში.

აქტივის კრების მონაწილეებმა პროექტის ამომწურავი განხილვის შემდგომ დააყენეს ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის საკითხი სათანადო ორგანოების მიერ.

პირველი: ტორფის საქართველოს საბადოთა არსებული ანალიზიდან ჩანს, რომ ყველაზე უკეთესი პირობები განხილვიდან გამომდინარე, გამოიკვეთა იმნათის ტორფის საბადოს ტერიტორიაზე, მითუმეტეს, რომ ხდება არა მარტო ტორფის ექსპლოატაცია, არამედ მისი ორმაგი მოყვანაც.

მეორე: შესაბამისად, ტორფის ექსპლოატაციის უკეთესი პირობებისა და ლანჩხუთის და ოზურგეთის რაიონებში არსებული სხვა აგრომადნების (საპროპელი, ფილიპსიტი, აპატიტი) მძლავრი გაზები დღის წესრიგში აყენებს აუცილებლობას გრანულირებული ტორფის ქარხანა აშენდეს ლანჩხუთის რაიონში, სოფელ სუფსაში.

დასკვნაში ლანჩხუთის რაიონის აქტივის კრებამ მოითხოვა:

— დასმულ იქნას საკითხი გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტროს წინაშე, იმნათის ტორფის საბადოს 2900 ჰექტარი ფართობიდან საექსპლოატაციოდ გამოიყენოს ნაწილი ამ საბადოს 1000-1200 ჰექტარის ოდენობით, რომლის საშუალებას იძლევა რამსაარის კონვენციის მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი.

— აქტივის კრება მთლიანად იწონებს პროექტს „კომპლექსური ორგანო-მინერალური გრანულირებული სასუქების წარმოების შექმნა საქართველოში", უცხადებს ნდობას და განახორციელებს ყოველმხრივ მხარდაჭერას მისი დროულად ამოქმედებისათვის, როგორც ეკოლოგიურად, ეკონომიურად და ფიზიოლოგიურად აუცილებელ სასიცოცხლო ღონისძიებას.

— ქარხანა აუცილებლად აშენდეს სოფელ სუფსაში.

აქტივის კრების თავმჯდომარე (მ. გვარჯალაძე)
მდივანი (გ. აფხაზავა)



მიხეილ გვარჯალაძე
ლანჩხუთის გამგებელი

1998 წლის 5 აგვისტოს, გურიის გუბერნატორი ბატონი კარლო გუჯაბიძე სთხოვს ლანჩხუთის გამგებელს მიხეილ გვარჯალაძეს საზოგადოების ფართო ფენების თანდასწრებით მოუწყოს შეხვედრა იური რამაზაშვილს. თან აყოლებს ბატონებს: ვ. ცანავასა და რ. შავიშვილს. ლანჩხუთის გამგეობის სააქტო დარბაზში დგება კრება ბატონი მ. გვარჯალაძის თავმჯდომარეობით.

მაიკო, როგორც ხედავ, პოლიტიკური პარტიების არავითარი მოძრაობა არ შეინიშნება. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით მე "ეკოტექსს" კი არ ვიცავ, არამედ ვეძებ რუხ კარდინალს, რომლის ხელი წითელი ზოლივით გასდევს მთელ ამ საქმეს, რომელსაც ძალიან სჭირდება „ეკოტექსისა" და პარტიების არარსებულ ალიანსზე მოსახლეობის ყურადღების გადატანით შექმნას „ბუა", რაც ყოველთვის დიდი დანაშაულის მიჩქმალვას ემსახურება...

დამოუკიდებელი ჟურნალისტი
**გიორგი ვასაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**რედაქციისაგან:** *პუბლიკაციაში მოცემულ საკითხებზე მომდევნო ნომერში საკუთარ მოსაზრებას შემოგვთავაზებს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, ბ-ნი გივი გიგინეიშვილი*

## ფრიად დაგვიანებული, მაგრამ ფრიად აქტუალური რეპლიკა სრულიად საქართველოსა და მეფისა ედვარდისა მიმართ მუხრანისებურად

ამხანაგებო,
მეგობრებო,
მოყვრებო,
მტრებო,
ოჯახი ჩემი
იმედებით როდემდე ვკვებო?!
თუ მარხვა არის,
ვიმარხულოთ ჩვენ ყველამ ერთად
და არა მხოლოდ
მუშათ, გლეხთა და მეცნიერთა.
დამეთანხმება
კახი,
კოლხი,
ჯავახი,
შავში,
ჰყავს საქართველოს
მაწანწალა ურიცხვი ბავშვი.
დღეს, როგორც ვატყობ,
უსათუოდ ტვინი აქვს თავში,
ვინც გაინაღდა ადგილები
ხელმწიფის ნავში.
დავიმსახურეთ დამცირება ამდენი რაში?!
ნაცარს გვაყრიან ულირსები
ღირსეულთ თვალში!
დამეთანხმება
კახი,
კოლხი,
ჯავახი,
თუში,
შემოსავალი რომ არ გვყოფნის
მარტოდენ პურში.
და ხალხის კვნესა
რომ არ ესმის მთავრობას ყურში,
ნეტავ რას ფიქრობს
პრეზიდენტი თავისთვის გულში!
დამეთანხმება
კახი,
კოლხი,
ტაოხი,
სვანი,
ვერ შეგვიმოსავს უბრალოთი
სამოსით ტანი,
ჩვენი სიბრიყვით,
ქართველებო, გვეზრდება რქანი,
ეკონომიკით, პოლიტიკით
გვჯობნიან სხვანი!
რაც არაერთხელ თქვენ გასმიათ,
ბატონო ედვარდ!
მეც ბევრჯერ მითქვამს,
ვამბობ ახლაც,
მშივრები ვსხედვართ!
პოლიტიკოსი თქვენი დონის არავის არ
ჰყავს,
მაგრამ რა ვუყოთ ამდენ მშივრებს,
მათხოვრებს საწყალთ?
რაც ხდება ქვეყნად
კარგად ხედავს, მე მგონი, ყველა!
ვერ დავიჯერებ,
მე ვხედავ და
სხვებისთვის ბნელა?!

### დანარჩენს რა დარჩა

დანახვაც არ მინდა, ვერ ვიტან თავხედ
კაცს,
სკამისთვის კაცს რომ კლავს, ან ცე-
მით გახეთქავს,
დღეს ვისაც ბრექი გჭირთ, რა წესით
მოხვედით
თუ გახსოვთ?! — ზარბაზნით, ტანკე-
ბით, თოფებით...
რაც მოხდა, ჯანდაბას, მოხვედით,
მოხვედით,
მე ის მკლავს, მოსვლა რომ დაიწყეთ
მოხვეტით.
ეგ საქმეც ჯანდაბას, მოხვეტეთ? მოხ-
ვეტეთ,
ამ მშიერ, მათხოვარ ხალხს მაინც
მოხედეთ!..
მითხარით, რას ნიშნავს პრივატიზაცია?
იმას, რომ ქონებას ხელთ იგდებს ტაცია
და ქვეყნად მდიდარი სულ ასი კაცია?
დანარჩენს რა დარჩა, კანალიზაცია?!...

### მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა (მუხრანისებურად)

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
ისეთ პირმოთნე ამხანაგს,
დიდ ხელფასზე რომ თანხმდება
უფროსს წელსქვევით დაფხანას.
რა დითირამბი მივუძღვნა
ისეთ უზნეო ამხანაგს,
დოლარებით რომ შეაცდენს
არასრულწლოვან „ბალანას“.
იმ პოლიტიკოსს რა ვუთხრა,
ქვეყნის დარდით რომ არ სძინავს,
სამაჩაბლო რომ ოსს მისცა
და აფხაზეთი — არძინბას.
რა ჭკუა მოეთხოვება
ისეთ ხელმძღვანელ ამხანაგს,
რომ მოშლის მეურნეობას,
ფაბრიკასა და ქარხანას.
ისეთ პარლამენტს რა ვკადრო,
ან მათ მიღებულ კანონებს,
მაფიოზებს რომ ალაღებს
და პატიოსნებს ამონებს.
რა ვუთხრა იმ პოლიციას,
დაცვას შინაგანს, გარეგანს,
თოფიან მტერს რომ გაურბის
და მიტინგს ცემით გარეკავს.
რა შევაგონო, რა ვუთხრა
ვინც მიეტმასნა „აპარატს“,
უსამართლობას რომ ხედავს
და თავს არიდებს ლაპარაკს.

# სატირისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
ნიკოლოზ იოსებიძე



მურთაზ აბაშიძის ნახატი

### შაირები

— ქვეყანაა არეული,
ვერ გაიგებ, ვინ, რას შვება,
მოდი, ბიჭო, ვიშაიროთ
ცოტა გულზე მოგვეშვება.
— ნეტავ ერთი მაცოდინა
საბაჟო ვის აბარია,
უცხოური საქონელის
ნახევარი ნაგავია.
— თბილისური ბაზრობაა
სასწაული სანახავი
პროდუქტებში უნახიათ,
სამსალა და საწამლავი.
— მყიდველ თვალებს უბრმავებენ
იარლიყით ლამაზითა,
პროდუქტებით გვიშვებიან,
რაც ვერ გვიქნეს ზარბაზნითა.
— ვერავინ ვერ მაიფიქრებს
მსოფლიოში საქმეს ასეთს,
ვინც კი წერა-კითხვა იცის,
ყველა უშვებს ჟურნალ-გაზეთს.
— ერთ ადგილზე გაზეთს ჰყიდნენ,
მოვკვდი თვალის ცეცებითა,
დედაკაცებ სულ უჩანდათ
წელქვევით და წელზევითა.
— ვერ გავიგე, პრეზიდენტმა
ვისი მხარე დაიჭირა
საშუალო სკოლებში რომ
დააწესეს სწავლის ქირა.
— მაშა, კაცო, ეგ არ მიკვირს?!
შიმშილისგან გვძვრება სული,
სწავლის ქირა როგორ მივცე,
როცა არ მაქვს პურის ფული.
— ველარც ღმერთი გვიშველის და
ვერც ქართული ყველა წმინდა,
საქართველოს მტერ-მოყვარე
მალე თუ არ გამოვლინდა.

### კურიოზსაც გააჩნია

ჩემი ნათესავი თამაზ მგელაძე, ქ. ხარკოვში იყო პრაქტიკაზე. შესულა კაფეში, უყიდია 10 ცალი ღვეზელი, ღვეზელებიანი თეფში დაუდგია მაგიდაზე და წასულა ლიმონათის მოსატანად. უკან რომ მობრუნდა, ზანგი იჯდა და მის ღვეზელებს მიირთმევდა. თამაზს მეტი ფული არ ჰქონდა და იფიქრა, სულ არ შემიჭამოს, იქნებ მეც მოვასწრო ერთი-ორი ცალის ჭამაო. რომ დაიწყო ჭამა, ზანგს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ რას ეტყოდა, ტემპს მოუმატა, რაღა თქმა უნდა, თამაზმაც მოუმატა და სამი-ოთხი ცალის შეჭმა მოასწრო. ზანგი წამოდგა და ტუჩების წმენდა-წმენდით, უკანსვლით გავიდა კაფედან ისე, რომ თამაზისთვის თვალი არ მოუცილებია. ნახევრად მშიერმა თამაზმა ბოთლიდან ლიმონათი მოსვა, გვერდით მდგარ მაგიდისკენ გაიხედა და... რას ხედავს, მისი ღვეზელები ხელუხლებელი აწყვია. მაშინვე წამოხტა და ბოდიშის მოსახდელად ზანგს გამოეკიდა. ზანგმა დაინახა თამაზი და მოკურცხლა, ალბათ, იფიქრა, სხვა რამეც არ წამართვასო.

### „მკვლელი“

